

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კაფეტრის გამოცემა.

სამოზლოს პრემია.

მოკლე სახელმძღვანელო საქართველოს გეოგრაფიისა
სურათებით და კარტეთ.

შედგენილი

ქუთაისის ქართული კიბინაზიის მასწავლებლის

ს. რობაზიძისაგან

ქუთაისის საქართველო სასწავლებელთა საბჭოსაგან წესადართულია
სახელმძღვანელოთ.

წიგნი მოწონებულია გამგეობასთან არსებული სარედაქციო
კომისიისგან.



გუთა 1060

ქართ. შ. წ.-კით. გამ. საზოგ. ქუთ. განყოფ. სტამბა

1917



ଶୁରେବାଳେତ୍

სამოგლოს კრიტიკა.

საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელო

სურათებით და კარტით.

შედგენილი და გამოცემული

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლის

ს. რობაჭიძის აგ. 1917.

19448

მესამე გამოცემა.



ქუთაისი

ქართ. შ. წ.-კ. გამავრც. საჭ. ქუთ. განყ. სტამბა

1917

ს ა რ ჩ მ 3 0.

ხაგნების მდებარეობა საკლასო ოთახში	3
ხაკლასო ოთახის პლანი და სურათი	4
სასწავლებლის და მისი ეზოს პლანი	5
პლანი და რუკა	7
ჰიტორიუმი და მისი მხარეები	3
ჰიტორიუმის მხარეების გამოცნობა მზის შემწეობით	10
ქომქასი და მისი მნიშვნელობა	10
ძალაქი	12
სოფელი	13
ჩვენი სასწავლებლის მახლობელი ქუჩები	13
ძალ. ქუთაისი და მდინარე რიონი	15
ჩუთაისის ნაწილები	16
ჩუთაისის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი	16
ჩუთაისის მდებარეობა და ჰავა	17
ჩუთაისის დაახლოებითი პლანი	18
ჩუთაისის მცხოვრებნი	19
ჩუთაისის მცხოვრებნი ხელობით	19
სოფელი და მისი მცხოვრებნი	21
ჩუთაისის მახლობელი სოფლები და მონასტრები	21
მდინარე რიონი და მისი ნაწილები	23
დედამიწის პირი	25
ნიადაგი და მისი შედგენილობა	25
ჭყაროები	26
ნაკადული და მდინარე	27
ტბა და ჭაობი	28
ზღვა	28
ნამი და რთვილი	30
ლოუბელი, წვიმა, თოვლი და სეტყვა	30
საქართველოს მოკლე გეოგრაფია. იმერეთი	32
იმერეთის რწყვა	33
მცენარეულობა იმერეთში	34
მევენახეობა	35
ბამბის მოყვანა	63

შებალეობა	36
შებოსტნეობა	37
შინაური საქონლის მოშენება	37
იმერეთის მცხოვრებნი	39
იმერეთის შესანიშნავი ადგილები	39
ზურია	43
ზურიის მცხოვრებნი	44
სამეგრელო	48
სწავლა-განათლება სამეგრელოში	51
სამუოზაყანო	52
აფხაზეთი	54
სვანეთი	57
რაჭა	61
ლეჩხუმი	64
დასავლეთი საქართველო	66
ქართლი	68
ქართლის მცხოვრებნი	73
ოსეთი	81
ქახეთი	83
შიზიყი	91
საინგილო	93
თუშეთი	94
გარეთ ქახეთი	96
ახალციხის მხარე და ჭავახეთი	100
მონასტრები ახალციხის მხარეში	102
აღმოსავლეთი საქართველო	104
სამხრეთი საქართველო ანუ მესხეთი	105
შავშეთი	107
ერუშეთი	108
ქობულეთი	108
ლიგანა	109
ჭანეთი	110
ქავკასია	111
რუსეთი	112

შირვანის მიმდევრობა.

სამშობლოს აღწერის სახელმძღვანელოს შედგენა დიდი ხანია საჭიროთ იქნ ცნობილი ისეთ შეკლებში, სადაც სამშობლოს გეო-
გრაფიის სწავლება შემოღებულია მოსწავლეთა დედა ენაზე. აგრ
თუთხმეტი წელიწადია, ამ საგანს ვასწავლი ქუთაისის ქართული გიმ-
ნაზიის მოსამზადებელ კლასებში და ამ დროს განმავლობაში არ
შემსვედრია არც ერთი ისეთი სახელმძღვანელო, რომლის შემწერ-
ბითაც ბავშებს შესძლებოდათ საქართველოს გეოგრაფიის შესწავლა.

საგნის სწავლების დროს იძულებული ვიუავი თანდათანობით
შემედგინა, როგორც სწავლების გეგმა, ისე სასწავლო მასალაც და
აი, მთელ ამ შეგროვილ მასალას ვაწვდი სახელმძღვანელოთ, რო-
გორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებსა, რომელნიც მოისურვებენ
სამშობლო გეოგრაფიის სწავლების დაწყებითი შეკლებში ქართულ
ენაზე. მთელი მასალა განაწილებულია როი წლის კურსათ; იმაზე
ჰაპარაკიც მეტია, რომ სამშობლოს შესწავლა იმ ადგილიდან უნდა
დაიწყოს, სადაც დაასესებულია შეკლია, რომელშიაც სამშობლოს აღ-
წერას ასწავლიან. შირველი გაგებითილები თვით შეკლის აღწერით
იწყება: მოსწავლეები ეცნობან იმ საგნებს, რომელნიც საკლასო
ოთახში არიან, ეცნობან მათ მდებარეობას და სწავლობენ საკლასო
ოთახის შლანის ხატვის. საკლასო ოთახიდან გადადიან მთელ შეკ-
ლაზე, ეზოზე, ქუჩაზე, რომელზედაც შეკლია აგებული, შემდეგ
სხვა ქუჩებზე და ბოლოს იმ ქალაქზე თუ სოფელზე, სადაც შეკ-
ლაა დაასესებული. ამას შემდეგ ადგილი იქნება გადასვლა ქალაქის ანუ
სოფლის გაშემო ადგილებზე და ამ გვარათ თანდათან გათვართვე-
დება შესასწავლი ადგილების ფარგალი, რომელიც საბოლოოთ მთელ
სამშობლოს შეიცავს.

სახელმძღვანელოს შედგენის დროს შე გხელმძღვანელობდი იმ
წესითა და გეგმით, რა გეგმითაც ეს საგანი ისწავლებოდა ქუთაისის
ქართულ გიმნაზიაში: ამიტომ ქალ ქუთაისისა და მისი მახლობელი
სოფლების შესწავლას უფრო მეტი უკადეგება აქვს მიჰცევული, თუმც

ეს მასალა მსოფლი წვრილი შრიუტით არის მოთავსებული სახელმძღვანელოში.

ამ წვრილი შრიუტით დასტამბულ მასალას წინ უძღვის თრი შატარა თავი: ქალაქი და სოფელი: ამ თავებში არის დასმული კითხვები, რომლის შემწერითაც შეიძლება მასწავლებელმა შეასწავლოს მოსწავლეებს ურველი სოფელი და ქალაქი.

ხოდა წვრილი შრიუტით დასტამბული მასალა შესხებ ქუთასისისა და მისი მახლობელი სოფელებისა შეიძლება გამოიყენოს მსურველებმა, როგორც სანიმუშო აღწერა, ასეთი ადგილებისა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს სახელმძღვანელო, როგორც პირველი ცდა უნაკლულო არ იქნება, მაგრამ მანც ვბედავ მის დასტამბვას. იმედი მაქს, საქართველოს გეოგრაფიის მცოდნე პირები დარიგებას მომცემ და საჭირო შენიშვნებსაც გაუკეთებენ. ამ ჩემს საშრომის, რათაც მე დიდი სიამოვნებით ვისარგებლებ და შემდეგისათვის ვეცდები ჩვენს შკოლებს უფრო გაუმჯობესებული სახელმძღვანელო. მივაწოდო.

Quod huic opisculo deest, suppleat aetas.

(აუც ამ მცირე შრომას აკლა, ღევ, დოომ შეავსოს).

6. რობაქიძე.


კ ლ ა ნ ი.

საგნების მდებარეობა საკლასო ოთახში.

საკლასო ოთახში მდებარე საგნებს თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ზოგი მათგანი მუდამ ერთსა და იმავე აღგილზე არის, ზოგი კი შეიძლება ერთი აღგილიდან მეორე აღგილზე გადავიტანოთ. ღუმელი, კედლები, კარები და ფანჯრები მუდამ ერთ აღგილას არის. სტოლები, სკამები, საკლასო დაფა და შკაფი ჩვენ შეგვიძლია ერთი აღგილიდან მეორე აღგილზე გადავიტანოთ. თუ გვინდა გავიგოთ რომელიმე საგნის აღგილ-მდებარეობა, მაგალ., სამასწავლებლო სტოლის, ჩვენ უნდა გავზომოთ მანძილი ამ საგნიდან რომელიმე ორ უძრავ საგნამდი, მაგალ., ორ კედლამდი, შემდეგ უნდა გავზომოთ თვითონ ამ სტოლის სიგდე-სიგანე. ასეთ გაზომვის შემდეგ ჩვენ გვეცოდინება სამასწავლებლო სტოლის აღგილ-მდებარეობა. თუ ვიცით საკლასო ოთახის სიგდე-სიგანე და მასში მდებარე საგნების მდებარეობა, ჩვენ შეგვიძლია ეს საკლასო ოთახი თავისი საგნებით დავხატოთ დაპატარავებულათ. პლანის დახატვა შეიძლება ან თვალდათვალ, დაახლოვებით, ან მაშტაბის შემწეობით. მაშტაბი არის პატარა საზომი, რომელიც იხმარება ხატვის დროს დიდი საზომის მაგიერ. მაშტაბათ ხმარობენ ხშირათ არშინის, საჟენის ანუ ვერსის მაგიერ გოჯს ანუ დუიმს, მაგალითად, თუ საკლასო ოთახის სიგრძე უდრის 12 არშინს, ამ ოთახს პლანზე დახატავენ 12 ღუიმის სიგძისას. აქვე დავხატოთ ჩვენი საკლასო ოთახის პლანი. ჩვენს საკლასო ოთახს სიგდე აქვს თორმეტი არშინი და სიგანე ათი არშინი. მაშტაბათ ვიხმაროთ არშინის მაგიერ მეოთხედი ღუიმი.

ნოდილფეთის კედელი

მარტინ სამხრეთის



მარტინ სამხრეთის კედელი

სამხრეთის კედელი

საკლასო ოთახის პლანი და ცურათი.

თუ შევაღარებთ ერთმანეთს საკლასო ოთახის პლანს და სურათს, მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებას შევამჩნევთ.

ოთახის სურათზე ჩვენ ვხედავთ მთელ ოთახს და მდებარე საგნებს იმ სახით, რა სახითაც არიან ეს საგნები ნამდვილათ. აქ ჩვენ შეგვიძლია ვიცნოთ თითოეული საგანი, მაგალ., საკლასო დაუა, სტოლი, სკამი და სხვა. პლანზე კი ჩვენ ვამჩნევთ მხოლოდ იმ ადგილს, რომელიც ნამდვილათ უჭირავს ამა თუ იმ საგანს.

კითხვები:

შეაღარეთ ერთმანეთს საკლასო ოთახის პლანი და სურათი.

რით განიოჩევას ისინი ერთმანეთისაგან? გაზომეთ თქვენი საკლასო
თთახი არშინით და დახატეთ მისი პლანი თქვენს რეეფლში.



საკლასო თთახის სურათი.

სასუავლებლის და მისი მზოს პლანი.

მაშტაბის შემწეობით ჩვენ შეგვიძლია დავხატოთ მთელი
სასწავლებლის და მისი ეზოს პლანიც. აქაც საჭიროა გავი-
გოთ მანძილი საგნებს შორის და თვითონ ამ საგნების სიგძე-
სიგანე. ამ შემთხვევაში გაშტაბის მნიშვნელობა სულ სხვა
უნდა იყოს, ვიდრე წინათ. საკლასო ოთახის პლანის დახა-
ტვის დროს ჩვენ ვიხმარეთ არშინის მაგიერ მეოთხედი დუიმი;
აქ ასეთი მაშტაბი არ გამოგვადგება, რადგან დასახატი სა-
განი დიდია და არშინის მაგიერ რომ მეოთხედი დუიმი ვიხ-
მაროთ, საკლასო დაფაზე ვერ დავტევთ მთელი შენობისა და
მისი ეზოს პლანს. ამიტომ ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია

მეოთხედი დუიმი ვიხმაროთ საჟენის მავიერ. თუ მთელი ქუჩის ან მთელი ქალაქის პლანის დახატვა გვინდა, მაშინ მეოთხედი დუიმი შეგვიძლია ვიხმაროთ ვერსის ბაგიერათ.




სასწავლებლის სურათი.

კითხები:

რთ გაირჩევა ერთმანეთისაგან შეფლის სურათი და პლანი? რა უნდა ვიხმაროთ მაშტაბათ შეფლის პლანის დახატვის დროს? გაზომეთ არშინით შეფლის სიგრძე-სიგანე და ჩასწერეთ რვეულებში.

გაზომეთ თქვენი შეფლის ეზოს სიგრძე-სიგანე და ჩასწერეთ რვეულებში. შეფლის ეზოს პლანი დახატეთ თქვენს რვეულებში. არშინის მაგიერათ რომ დყიმი ვიხმაროთ პლანის დახატვის დროს, რომდენჯერ საკლები იქნება დახატული პლანი ნამდვილ საგანზე? როგორი საზომი უნდა ვიხმაროთ დიდი საგნების დახატვის დროს მაშტაბათ?



სასწავლებლის, ჩდანი.

პლანი და რუკა (კარტა).

დიდი მზგავსება აქვს პლანთან რუკაზედაც მაშტაბის შემწეობით იხატება რომელიმე ადგილი, მაგალ., მთელი მხარე ანუ მთელი ქვეყანა. აქ, რასაკვირველია, წინანდელი მაშტაბი არ გამოგვადგება (რატომ?). ამ შემთხვევაში მეოთხედი დუიმი შეიძლება ვიხმაროთ ასი ან ათასი ვერსის მაგიერათ. პლანზე ინიშნება ადგილი ქუჩების, სახლების პატარა მდინარეებისა და პატარა ტბების. ხოლო რუკაზე ასეთი პატარა საგნების ადგილის დანიშვნა შეუძლებელია. აქ მხოლოდ ძალიან დიდი საგნების ადგილი ინიშნება. ძალაკის ადგილს რუკაზე წერტილით ნიშნავენ, დიდი მდინარე პატარა ხაზით ინიშნება და სხვა.

კით ს ვ ე ბ ა:

რით გაირჩევა ერთმანეთისაგან პლანი და რუკა?

რა ისმარება მშეტაბათ რუკის დახატვის დროს? როგორი სა-
გნები ინიშნება პლანზე და როგორი რუკაზე?


ჰორიზონტი და მისი მხარეები.

როდესაც ჩვენ ვაკე ადგილზე ვდგავართ, გვგონია, რომ
ჩვენს გარშემო, კარგა მოშორებით, ცა უერთდება დედა-
მიწას. საითაც უნდა გავიხედოთ, ყოველი მხრით ვხედავთ წრის
მზგავს ხაზს, რომელიც თითქო აერთებს ცას დედამიწასთან.
ამ წრის ყოველი წერტილი ჩვენზე ერთნაირათ არის დაშო-
რებული. ჩვენ ამ წრის შუა გულში ვდგავართ. აი, ამ ხაზს
ეძახიან ჰორიზონტს. ცა, როგორც გუმბათი, ისეა გადმოხუ-
რული ჩვენს თავზე და თავისი ნაპირებით თითქო დედამიწას
უერთდება სწორეთ აი ამ ხაზზე. (მართლა უერთდება ცა დე-
დამიწას?)

ჰორიზონტს დაფაზე ან ქაღალდზე ხატვენ წრის შეგავსი
ხაზით. ამ წრის ზევითა მხარეზე ნიშვნენ ჩრდილოეთს, მის პირ-
დაპირ ქვეით—სამხრეთს, მარჯვნივ—აღმოსავლეთს და მის
პირდაპირ მარცხნივ—დასავლეთს.

კით ს ვ ე ბ ა:

დახატეთ თქვენს რეეულში ჭრიზონტი და დანიშნება ქვე-
ნის მხარეები. როგორ გამოიცვლება ჭრიზონტი, მაღალ ადგილ-
ზე რომ ავიდეთ? - ჭრიზონტის ერთი მხრისაკენ რომ წავიდეთ,
მივალთ თუ არა მის ნაპირთან?



პორიზონტის მხარეები.

მოწმენდილ დღეს რომ ცას მივაჩერდეთ, შევამჩნევთ, რომ ცაზე მოძრაობს მზე. უმაღლესი ადგილი მზეს ცაზე უჭირავს სწორეთ შუადლისას. ამ დროს რომ პირი მზისაკენ ვქნათ, ჩვენს წინ იქნება ჰორიზონტის შუადლის მხარე ანუ სამხრეთი. ამავე დროს ჩვენს ზურგს უკან იქნება ჩრდილი და ამიტომ იმ მხარეს, საითაც ამ დროს ჩრდილია მიმართული, ეძახიან ჩრდილოეთს. ჩვენი მარცხენა ხელისკენ იქნება ის მხარე, საბრანაც მზე ამოდის — აღმოსავლეთი, ხოლო მარჯვენა ხელისკენ იქნება დასავლეთი. ჰორიზონტის ამ მხარეებს ეძახიან უმთავრეს მხარეებს. ამათ გარდა კიდევ აქვს ჰორიზონტს ოთხი მხარე: ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ-დასავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი. მსენი არიან ჰორიზონტის მეორეხარისხოვანი მხარეები. გაშვილი არიან ჰორიზონტს სულ რვა მხარე ჰქონია: ოთხი უმთავრესი და ოთხი მეორეხარისხოვანი.


ჰორიზონტის მხარეების გამოცნობა მზის შემწეობით ჩვენ
შეგვიძლია მთელი დღის განმავლობაში სამჯერ: დილას, შუა-
დღისას და, საღამოს. დილას ადვილათ მოვძებნით იმ ადგილს,
საიდანაც მზე ამოდის. მს მხარე იქნება აღმოსავლეთი. პლა-
ზავლეთისაკენ რომ პირი ვქნათ, ზურგს უკან იქნება დასავ-
ლეთი, მარჯვენა ხელისაკენ — სამხრეთი და მარცხენა ხელისაკენ
— ჩრდილოეთი.

ამავე წესით ადვილი გამოსაცნობია ჰორიზონტის მხა-
რეები საღამოსაც (რა ნაირათ??) ჰორიზონტის მხარეების გა-
მოცნობა ჩრდილის შემწეობითაც შეიძლება. შუადღეზე ყოვე-
ლივე საგნის ჩრდილი მიმართულია ჩრდილოეთისაკენ. რაკი
ვნახავთ ჩრდილოეთს, მერე სხვა. მხარეების მონახვაც ადვი-
ლია (რა ნაირათ?)?

კომპასი და მისი მნიშვნელობა.

ჰორიზონტის მხარეების გამოცნობა მზის და ჩრდილის
შემწეობით შეიძლება მხოლოდ დღისით და ისიც მოწმენ-
დილ ამინდში, ხოლო ღამე და ღრუბლიან ამინდში არა. ასეთ
შემთხვევებში მხარეების გამოსაცნობათ ხმარობენ ერთგვარ
იარაღს, რომელსაც სახელით კომპასს ეძახიან. რა არის კომ-
პასი? კომპასი არის თუნცუქის რგვალი ყუთია, რომელსაც სა-
ხურავი მინისა აქვს. ამ ყუთის შუა გულში არის ჯასობილი
პატარა პალო. ამ პალოზე არის დატმული თავისუფლათ მო-
ძრავი ორწვეტიანი ანდამატის ისარი. ანდამატი ლითონია.
ამ ლითონს აქვს ისეთი თვისება, რომ რკინისა და ფოლადის
პატარა ნაჭრებს თავისკენ იზიდავს. ამ ლითონის ისარი რომ
პალოზე თავისუფლათ ჩამოაცვათ და ატრიალოთ, გაჩერების
შემდეგ ერთი და იგივე თავი ამ ისარს მუდამ ჩრდილოეთი-
საკენ ექნება მიშვერილი.

ამ ლითონის ასეთი თვისებით ისარგებლა ადამიანმა და გააკეთა ქვეყნის მხარეების გამოსაცნობი იარაღი — კომპასი. ტრწვეტიანი ისარი, ოომელიც პალოზეა ჩამოცმული, არის გაკეთებული ამ ლითონისაგან. ჩრდილოეთის მაჩვენებელი თავი ამ ისარს შეღებილი აქვს. ისარი თავისუფლათ ტრიალობს პალოზე. მას იარაღი ოომ სწორ აღგილზე დასდგათ,



კ ა მ ჩ ს ს ი.

ისარი იტრიალებს და ბოლოს გაჩერდება. ის მხარე, საითაც ისრის შეღებილი თავი იქნება მრშვერილი, არის ჩრდილოეთი. რაკი გამოვიცნაბთ ჩრდილოეთს, მერე ადვილი იქნება. სხვა მხარეების გამოცნობაც (რა ნაირათ?) ამ გვარათ კომპასი ყოველთვის შეუცომლათ გვაჩვენებს ქვეყნის მხარეებს.. პომპასის გამოგონებამდი უდაბნოებში და ზღვებზე მოგზაურობა გასძირი იყო. პომპასის გამოგონების შემდეგ კი ასეთი მოგზაურობა გაადვილდა.

კ ი თ ხ ვ ე ბ . ი :

რისთვის იხმარება კომპასი? რა თვისება აქვს ანდამატს? როგორ მხარეებს გვაჩვენებს ანდამატის ისარი? როგორ ვიცით ჩრდილოეთი, როგორ უნდა გავიგოთ ქვეყნის სხვა მხარეები? დასახელეთ

სასწავლებლის ეზოს მხარეები და ჩატათვალეთ ის საგნები, რომელ-
ნიც არაან მის სხვადასხვა მხარეზე.

დაასახელეთ, სასწავლებლიდან დასავლეთისაკენ რა და რა ქუჩ-
ბი მდებარეობს.

გ ა ლ ა ქ ი.

ჩვენი ქალაქის სახელი არის (?). ამ ქალაქში ბევრი ქუ-
ჩა. უმთავრეს ქუჩებათ ითვლება: (უმთავრესი ქუჩების სახე-
ლები) ჩვენი სასწავლებელი მდებარეობს (სახელი) ქუჩაზე. ჩვენს
ქალაქში რამდენიმე ეკლესია (მათი სახელები).

რომელ ქუჩებზეა ეკლესიები? დაასახელეთ, რა და რა
საზოგადო დაწესებულება არის ჩვენს ქალაქში. რომელი და?
წესებულება არის მოთავსებული ყველაზე უფრო დიდ შენო-
ბაში? დაასახელეთ ჩვენი ქალაქის სასწავლებლები. არის თუ
არა ჩვენს ქალაქში მდინარე? რამდენი ხიდია ამ მდინარეზე?
არის თუ არა ჩვენი ქალაქი დაყოფილი ნაწილებათ? დაასა-
ხელეთ ჩვენი ქალაქის ყველა უბანი. არის თუ არა ჩვენს ქა-
ლაქში სასეირნო ბაღი? შალაქის რომელ ნაწილშია ეს ბაღი?
დაასახელეთ ჩვენი ქალაქის სავაჭრო მოედნები. არის თუ
არა ჩვენს ქალაქში ქარხანა ან ფაბრიკა? რამდენი მცხოვრები
ითვლება ჩვენს ქალაქში? რა და რა ტომის ხალხი ცხოვრობს
ჩვენს ქალაქში? დაასახელეთ ჩვენს ქალაქში მცხოვრები სხვადა-
სხვა ხალხი. რა და რა სარწმუნოების ხალხი. ცხოვრობს ჩვენს
ქალაქში? რა სარწმუნოებას აღიარებენ ქართველები, სომხები,
ებრაელები და სხვა ხალხი? რა და რა ენაზე ლაპარაკობენ
ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები? რა შეიდგენს ქალაქის მცხოვ-
რებლების უმთავრეს ხელობას? ვის ეძახიან ვაჭარს? რაში
მდგომარეობს ვაჭრობა? რა და რა გვარი ვაჭრობა არის ჩვენს
ქალაქში? ვისგან ყიდულობენ სანოვაგეს ქალაქის მცხოვრებ-
ლები? რომელი დაწესებულება განაგებს და მართავს ქალაქის

საქმეებს? შისგან შესდგება ქალაქის თვითმართველობა? გინ
ირჩევს ხმოსნებს? რა საქმეები აძირია თვითმართველობას?
არის თუ არა ჩვენს ქალაქში რამე გასართობი? აღნიშნეთ,
ჩვენი ქალაქის პლანზე უმთავრესი უბნები, ქუჩები, მდინარე,
ხიდები და საყურადღებო დაწესებულებანი.

დაასახელეთ ჩვენი ქალაქის მახლობელი სოფლები. რა
მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის ამ მახლობელ სოფლებს და
და ან ქალაქს მათთვის?

ს ი ფ ე ლ ი.

რა ქვია ჩვენს სოფელს? რამდენი ქუჩა არის ჩვენ სო-
ფელში? რამდენი ეკლესია არის ჩვენს სოფელში? არის თუ
არა შკოლა? არის თუ არა ჩვენს სოფელში რამე სახელოსნო?,
თუ არის, რა ადგილას არის და რას ამზადებენ ამ სახელოს-
ნოში? არის თუ არა ჩვენს სოფელში სავაჭრო ადგილი? რა
შეადგენს ჩვენი სოფლის უმთავრეს საქმიანობას? მეურნეო-
ბას გარდა კიდევ რა საქმეს მისდევენ სოფლელები? რა და
რა საქმეს შეიცავს ჩვენი სოფლელების მეურნეობა? რა და რა
ჭირნახული უფრო ითესება? მოყავთ თუ არა ჩვენი სოფლის.
მცხოვრებლებს გასაყიდი ჭირნახული? მევენახეობას მისდევენ თუ
არა ჩვენს სოფელში? რამდენი მცხოვრები ითვლება ჩვენს-
სოფელში. გარდა ქართველებისა. რა და რა ხალხი ცხოვრობს
ჩვენს სოფელში ან სხვა მახლობელ სოფელში?


მიღიან თუ არა ჩვენი სოფლის მცხოვრებლები სხვაგან
სამუშაოს საძებრათ? მზიდებიან თუ არა ჩვენი სოფლის მცხოვ-
რებლები რასმე ქალაქში გასაყიდათ?

ჩვენი სასწავლებლის მახლობელი ქუჩები.

რავი ჭორიზონტის შესარევების გამოცხობა ვიცით, ჩვენთვის
ადგილი გასაგებია, რომელი მხრიდან რა ქუჩა ახლავს ჩვენს სას-

წავლებელს და ქალაქის ორმეზ მხარეზეა აგებული თვითონ წვენი
სასწავლებელი. სათავად-აზსაურო გიმნაზია აგებულია იღვა ჰავაზა-
ძის ქუჩაზე. ეს ქუჩა ახლავს სასწავლებელს აღმოსავლეთის მხრით.
ამ ქუჩას მიმართულება აქვს სამსრული ჩრდილოეთისაკენ. თუ ამ
ქუჩას ჩრდილოეთისაკენ გავივინოთ, გავალო თოპირის ქუჩაზე. თოპი-
რის ქუჩა მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამ ქუჩით
ჩვენ გავივილით ხიდს და გავალო ქარვასლის ქუჩაზე. ქარვასლის
ქუჩა უხვევს ჩრდილოეთისაკენ. და უერთდება გიმნაზიის ქუჩას. გიმ-
ნაზიის ქუჩაზეა აგებული სავაჭრო კლასიკური გიმნაზია, ქალაქის თე-
ატრიდა და სასეინო ბაზი-ბულვარი. ქარვასლის ქუჩას სამსრულით
ახლავს შუშეინის ქუჩა. ეს ქუჩა მიმართება აღმოსავლეთისაკენ. და
უერთდება თვითონისის ქუჩას, ორმეზიც მიმართება სამსრულისაკენ
და მიდის რკინის გზის სადგურამდი. შუშეინის ქუჩაზეა აგებული
საქალა წმინდა ნინოს სასწავლებელი. თვითონისის ქუჩაზეა აგებული
რეალური სასწავლებელი.

ეველა ჩამოთვლილი ქუჩები წვენს სასწავლებელს ახლავს ჩრდი-
ლოეთით და აღმოსავლეთით.



ქუჩის გლანი.

კითხვები:

ჩვენი სასწავლებლიდან ჩრდილოეთისკენ რომელი ქუჩა მიღის? დაზატეთ თქვენს რვეულებში ქუჩების მიმართულება სასწავლებლიდან რკინის გზის სადგურამდი.

ქალ. ქუთაისი და მდინარე რიონი.

ქართული გიმნაზია ასებობს ქალ. ქუთაისში. ქუთაისი კარ. გა მოზღიული ქალაქია. ამ ქალაქში სულ ითვლება 60,000 მცხოვრები. ქუთაისი არის გაშენებული მდინარე რიონის არსევ ნაპირზე, აღმოსავლეთით ქალაქი უწევს მდ. წევალწითელამდი, დასავლეთით — სოფ. ქვიტირამდი, ჩრდილოეთით — სოფ. ჭომამდი და სამხრეთით — კახიანურამდი. მდინარე რიონი ქუთაისს შეუზე უჰილს. ეს მდინარე ქუთაისში ჩამოდის ჩრდილოეთიდან და მიმმართება სამხრეთისაკენ. მდინარეს თორი ნაპირი აქვს: მარჯვენა და მარცხენა. როგორ უნდა გავიგოთ, რომელია მდინარის მარჯვენა ნაპირი და რომელი მარცხენა? ამისთვის საჭიროა მდინარის ნაპირზე დავდგეთ და პირი იქით ვქნათ, საითაც მდინარე მიდის, ჩვენი მარჯვენა ხელისაკენ იქნება მდინარის მარჯვენა ნაპირი და მარცხენა ხელისაკენ — მარცხენა ნაპირი. მაშასადამე, ჩვენი სასწავლებელი უთვილა აგებული მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე. მდინარე თავის მიმდინარეობის დროს დედამიწის პირს თხრის, აღმავებს. ასეთ ჩაღრმავებულ ადგილს უწიდებენ მდინარის კალაპოტის. რიონის კალაპოტი ქალაქ ქუთაისში ჩრდილოეთისაკენ უთვილ ვიწრო, დროს და კლდიანია, ვიღრე სამხრეთისაკენ.

კითხვები:

საიდან ჩამოდის მდინარე რიონი? რიონის რომელ ნაპირზეა ჩვენი სასწავლებელი? როგორ გაიგება მდინარის ნაპირები?

ქუთაისის ნაწილები.

მდ. რიონი ქუთაისს უთვის თუ ნაწილი, რომ
მეჭიც რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, ჩეკნოვის იქნება.
გამოდის ნაწილი; რომელიც რიონის მარცხენა ნაპირზეა, იქნება გა-
ღმა ნაწილი. ქუთაისის გაღმა ნაწილი შესდგება შემდეგი უბნებისა-
გან: მწერანეუფავილა, ურიების უბანი, საფიქჩისა, საღორია, ბალახ-
ებანი და ბაზარი. გამოღმა ნაწილის უბნებია: ვერმა, არქიელის გო-
რა, ლდასკურა, გოჭურა და სილა. ჩეკნი სასწავლებელი აგებულია
იმ უბანში, რომელსაც სილას ეძახან. არქიელის გორაზე დირს
შესანიშნავი და საუკადღებოა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. აქ
უოფილა აგებული დადებული ტაძრი მეთერთმეტე საუბრები. მისი
აგება დაუწევია იმერეთის მეფეს ბაგრატ მესამეს, ხოლო ტაძრის
აგება დაუსრულებია მეფე ბაგრატ მეოთხის მეუღლეს, ელენეს. ამ
ტაძრის ნანგრევები შესანიშნავი უურადღებას იქცევს რეგარც თა-
ვისი სიდიდით, ისე თავისი შესანიშნავი ხუროთმოძღვრებით.

კითხვები:

დასახელეთ მუთაისის ნაწილები რიონს გაღმა სამხრეთიდან დაწ-
ყებული ჩრდილოეთის საზღვრამდი. მუთაისის რომელ უბანშია მოთავ-
სებული ჩეკნი სასწავლებელი? დასახელეთ ყველა უბნების შესანიშნავი
აღილები.

ქალ. ქუთაისის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი.

ქალ. ქუთაისში არის დარსებული რამდენიმე სახელმწიფო და
საზოგადო დაწესებულებანი. სახელმწიფო დაწესებულებანია: სასამართლო,
პოლიცია, საგუბერნიო სამსართველო, სახაზინო პალატა, ხაზინა,
ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა. საზოგადო დაწესებულებებს ეკუთვნიან:
ქალაქის თვითმართველობა, საადგილ-მამულო ბანკი, საურთეერთო
ნდობის ბანკი და სხვა. საკრედიტო დაწესებულებანი. სახელმწიფო
დაწესებულებებს განაგებენ და მართვენ მთავრობისაგან დანიშნული.
პირები, რომელთაც მოხელეებს უწოდებენ, ხოლო საზოგადო დაწე-

სებულებათა მართვა-გამტება ჩაბარებული აქვს საზოგადოებისაგან არჩეულ პირების. ქალაქის თვითმართველობა შესდგება ქალაქის თავისა და ხმასწებისაგან. ხმასწების აღნევებ თასი წლის ვადით ქალაქის მცხოვრებლები. არჩეული ხმასწები თავიანთ შორის იმჩევენ თასი წლისავე ვადით ქალაქის თავს. ა. ამ პირთა კრებულს ეძახიან ქალაქის თვითმართველობის საბჭოს. ეს საბჭო განაგებს ქალაქის უფლებების საფუძვლო საქმეს, როგორც მაგალ., გზების კეთება, ქალაქის განათება, წეალ-საევანის მოწყობა, დარიბ მცხოვრებლათვის სასწავლებლების დაარსება, საავათმეოვოების აგება და მრავალი სხვა. საზოგადო დაწესებულებების ეკუთვნის აგრეთვე უცელა პერიოდის წარმატებები და ეკლესიები.

კითხვები:

როგორ დაწესებულებებს ქვია სახელმწიფო? როგორ დაწესებულებებს ქვია საზოგადო?

ქუთაისის მდებარეობა და ჰავა:

როგორც ზევით ვთქვით, ქუთაისი გაშენებულია შდ. რიონის ალსავე ნაპირზე. მთელ-ქალაქს რომ არქიელის გორილან თვალი გა-დაუვლოთ, შეკამჩნევთ, რომ ამ ქალაქში დედამიწის ზედა პირის შენიან უგელებან ერთნაირი არ არის. ქალაქის ჩრდილოეთისა და აღ-მოსავლეთის ნაწილი მთაგორიანია, ხოლო სამხრეთისა და დასავლეთის ნაწილები — გაეპ.

ქუთაისის ჭავა საერთოთ საღია, ხოლო მერით ქალაქის გად-მა ნაწილში, რიონის მარცხენა ნაპირზე, ბევრათ უფრო სასარგებლობა ჯანმრთელობისათვის, ვიდრე გამოღმა ნაწილში. ამის მიზეზი ის არის, რომ გაღმა ნაწილი მდებარეობით მაღალია და ამიტომ იქ ნაწილიმარი წეალი არ გუბდება და ჭარბის არაუქნის, ხოლო გამოღმა ნაწილში კი, როგორც დაბლობი ადგიდზე წერდა გუბდება, ლპება და ჭავასაც სწამლავს. ამიტომ მცირდება არაუქნის სამორია გამოღმა ნაწილში, სრულია და არნაცის ჭალების უკანასკნელი ნაწილი.

მთელ ქალაქის საერთოთ ჭავა სითბო-სიცივის და სინოტიეხ შისედვით ზომიერია: არც ძლიერ ციფი ზამითარი იცის და არც ძლიერ ცხელი ზაფხული. ქალაქის გადმა-გამოლმა საწილების შესა-ერთებლათ მდინარე რიონზე აგებულია სამი ხიდი; იმ ხიდს, რო-მელიც არის ქალაქის ჩრდილოეთ საწილები „ჯაჭვის ხიდს“ ეძახიან, შეა ხიდს „წითელი ხიდი“ ქვია, ხოლო სულ ქვედა ხიდს „თე-რი ხიდი“.

ქუთაისის დაახლოვებითი პლანი.

რავი ვიცით ქუთაისის უმთავრესი საწილები, უბნები და ქუჩები, ჩვენ შეგვიძლია დავხატოთ ამ ქალაქის დასხლებითი პლანი. პლან-ზე დავნიშნავთ მასტაბის შემწეობით მდ. რიონს, ქალაქის გადმა-გამოლმა საწილებს, უმთავრეს ქუჩებს და საუკადლებო დაწესებუ-ლებს ამ ქუჩებზე.

კითხვები:

რატომ არის მაღლობ ადგილზე უფრო ციფი ჰავა? რისგან წარმო-სდგება ჰავის სინოტიე? რისთვის არის სასარგებლო ნოტიო ჰავა?

როგორი იქნება ზამთარი ციფ ჰავიან აღგილებში? როგორი ჰავა არის კარგი ჯანმთელობისათვის? როგორია ჰავა თქვენს სოფელში?

ქუთაისის მცხოვრებნი.

ქუთაისის მეგიდრ შცხოვრებლებათ ითვლებიან ქართველები, რომელთაც იმერლებს ეძახიან. გარდა ქართველებისა ქუთაისში ცხოვ-რებეს ებრაელები, სომები და რუსები.. როგორც ებრაელები, ისე სომები მეგიდრ მცხოვრებლებათ არ ითვლებიან. ისინი დიდი ხნის გადმოსახლებული არიან ქუთაისში და წმინდა ქართულ ენაზედაც დაპარაკებენ. რუსები უფრო მთხელეების ადგილზე არიან სახელმწი-ფო დაწესებულებებში და ამიტომ მეგიდრ მცხოვრებლებათ არც ისი-ნი ის ლებიან.

სარწმუნოების მისედგით ქუთაისის მცხოვრები თან საწილათ იუთვებიან. მცხოვრებთა დად უმრავლესობას შეადგენენ ქრისტიანები, ხოლო მცირე ნაწილს — ებრაელები.

ქრისტიანთა უმრავლესობას მართლმადიდებელი ქრისტიანები შეადგენენ. ამათ ეკუთვნიან ქართველები და რუსები. შემდეგ მოუვება ქრისტიანები გრიგორიანები. ამ სარწმუნოების არიან სომხები. არიან ქუთაისში აგრეთვე ქართველი გათოლიგები, რომელიც კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებენ. ებრაელები სარწმუნოებით მოესცველის მიმდევანი არიან.

კითხვები:

დაასახელეთ თქვენი სოფლის მკვიდრი მცხოვრებნი. არიან თუ არა თქვენს სოფელში ქართველებს გარდა სხვა მცხოვრებლები?

ქალაქის მცხოვრებნი ხელობით.

ქალაქში ცხოვრობს სხვადასხვა ხელობის ხალხი: გაჭირები, ხელობნები, მოხელეები, სამდვდელოება, მხედრობა და სხვა. ქალაქის მცხოვრები მიწის მუშაობას სრულიად არ მისდევენ. ისინი იძულებული არიან უველავერი, რაც მათი ცხოვრებისათვის საჭიროა, როგორც მაგალი, საჭმელი, სამელი, უშა, ბოსტნეული, საკალავი და სხვა სახოვაგე შეიძინონ. სოფლის მცხოვრებლებისაგან, რომელიც უველავე ამას სოფლებში აწარმოებენ. სოფლების თავისი ნაწარმოები ქალაქში მიაქვთ გასაუიდათ. ქალაქის მცხოვრები ამ ნაწარმოებს უიღულობს თავის საჭიროების დასაკმარისებლებით. მაგრამ უველას არ შეუძლია საჭირო საგანი პირდაპირ აწარმოებლისაგან იუიდოს. ამიტომ ქალაქის მცხოვრებთა ზოგიერთი პირები სხვადასხვა გვარ ნაწარმოებს უიღულობენ. მწარმოებლებისაგან და შემდეგ თვითონ უიდიან მხმარებლებზე. ისეთ პირებს, რომელიც ამგვარ უიღვა-გაუიდგის აწარმოებენ, ეძნებიან ვაჭრებს. ვაჭრები უიღულობენ და უიდიან არა მარტო სოფლის ნაწარმოებს, არამედ ქარხნის და უაბრიგის ნაწარმოუბსაც. ასეთ წწარმოებს ისინი ხშა-

რათ შორეული ქვეებიდან იწერენ და ადგილობრივ მცხოვრებლებზე ასაღებენ. საქმის ასეთი წარმოებისათვის ვაჭრები თავის შრომის ფასსაც იღებენ და ზედმეტ ფასსაც ახდევინებენ მხმარებელს. აი, ეს ზედმეტი ფასი შეადგენს მათ მოგებას.

ქველ ღრმში ვაჭრობა ისე არ ხდებოდა, როგორც ახლა. მაშინ მწარმოებლები პირდაპირ ცვლილენ. თავის ნაწარმოებს ისეთ ნაწარმოებში, რომელიც მათთვის იყო საჭირო. საქონლის ასეთი გაცვლა-გამოცვლა მეტად ძნელი საქმე იყო, რადგანაც საქონლის პატრონს უხდებოდა მისთვის საჭირო საქონლის ძებნა ხშირად ძალიან დიდხასს და შორს. ეს გარემოება აძნელებდა საქონლის ცვლას ამ სიძნელეში გამოიწვია ფულის გამოგონება. რა არის ფული? ეს არის საგანი, რომელიც შეიძლება უოველგვარ საგანში გაიცვალოს. სიმიდის გამუიდველი იღებს ფულს მუიდველისაგან და ამ ფულით იქცეს უველა იმ საგანს, რომელიც მისთვის საჭიროა. ფულის გამოგონების შემდგრ ვაჭრობა ძლიერ გაადვილდა. ახლა საქონლის პატრონთათვას საჭირო აღარა ერთმანეთის ძებნა. ფულის შემწეობით ინგლისელი ქუთაისში უიდულობს აქაურ ნაწარმოებს. სამაგიეროთ აქაური მცხოვრები ვაჭრის დახმარებით ქუთაისის ბაზარზე უიდულობს. ინგლისში და სხვა უცხო ქვეექნაში დამზადებულ საქონელს. ეს გარემოება კი ძალიან აადვილებს ვაჭრობას. სოფლის მცხოვრებნი ქალაქის ბაზარზე უიდან თავის ნაწარმოებს: სიმიდს, პურს, ღვინოს, ღობიოს, საქონელს, ხილს და სხვას. სამაგიეროთ ისინი აქვე უიდულობენ ვაჭრებისაგან საჭირო საგნებს: მარილს, ნავთას, უოველგვარ სამუშაო იარაღს, ტანსაცმელს და სხვას.

ჩვენში სხვადადასხვა ნივთიერებისაგან გაპეტებული ფული ისმარება. წვრილი ხურდა-ფული სპილენძისაგან და ვერცხლისაგან კეთდება. უფრო სხვილი ფული კეთდება ჟრონისა და ქადალდისაგან.

კითხვები:

რა და რა ხელობის ხალხი ცხოვრობს თქვენს ქალაქში? რით გაირჩევა ქალაქის და სოფლის მცხოვრები ერთმანეთისაგან? მალაქში მეტია სასწავლებლები თუ სოფელში? დასახელეთ სოფლის მცხოვრებთა საქმიანობა. დასახელეთ სხვადასხვა ფული, რომელიც ჩვენში იხმარება.

სოფელი და მისი მცხოვრებნი.

ჩვენ ზეგითა ვსოდებით, რომ სოფლის მცხოვრებნი მიწის მუშაობას მისდევენ. მიწის მუშაობას მეურნეობასაც ეძახიან. რაში გამოისატება ეს მეურნეობა? ხვია-თესვა, მევენასება, მებოსტნეობა, მეაბრეშუმება, მეფუტკრეობა, საქონლის მოვლა-მოშენება და სხვა შეადგენს მეურნეობას.

სოფლები უპირველეს უფლისა მეურნეობას ეწევიან თავის აჯახის დასაქმაუთვილებლათ. მაგრამ სოფლელს ხშირათ სჭირდება ფული სხვადასხვა მოთხოვნილებათა დასაქმაუთვილებლათ, როგორც მაგალი, სახელმწიფო და საბატონო გადასახადი, ტანისამოსისა და ფეხსაცმელის შეძენა, ქორწილი, ნაოვლა, მიცდალებულის დამარხვა და სხვა. ამ საჭირო ფულის შესაძენათ სოფლელებს მიაქვთ თავისი ნაწარმოები ქალაქის ბაზარზე და იქ ეიდიან ქალაქის მცხოვრებლებზე. თავის ნაწარმოებში აღებული ფულით სოფლელი იქმაუთვილებს სხვა-დასხვა გვარ მოთხოვნილებას. ხშირათ მას თავის აჯახის საუთი ჭირნახულიც არ მოსდის, მაგრამ აუცილებელი მოთხოვნილება აიძულებს მას თავის ცოლ-შვილს მთავროს საზღვა და ფულათ აქციოს, ესე იგი, გაუიდოს, რათა თავი იხსნას ქარზე მიმდგარ გაჭირვებისა-გან. სოფლელის ასეთი მდგრმარეობით ხშირათ სარგებლობენ. სოფლის და ქალაქის ჩარჩები — წვრილი ვაჭრები, რომელიც გაჭირვებულ შწარმოებელს ჩალის ფასათ აცლიან ხელიდან მისი ცოლ-შვილისთვის საჭირო ლუქმა ჰურს.

კითხვები:

რა აიძულებს გლეხს თავის ნაჭირნახულევის გაყიდვას? რას ყიდის და რას ყიდულობს მიწის მუშა?

ქუთაისის მახლობელი სოფლები და მონასტრები.

ქუთაისის რკინის გზის სადგურიდან რომ ამ რკინის გზას სამხრეთისაკენ გავივეთ, ჩავალოთ რიცნის სადგურზე. აქიდან რკინის

გ ზა თრი შერისავენ მიდის: ერთი — აღმოსავლეთისავენ, მეორე — დასავლეთისავენ.

რიცნის სადგურიდან რომ ჩრდილოეთისავენ გავემზავრთ, გავიგდოვავთ, შემძეგ ქუთაისის მახლობელ სოფლებს: ჭოგნარს, გოდოგნს, მოწამეთას და გელათს. მოწამეთას გარდა უველა ეს სოფლები გაშენებულია მდ. წყალწითელას მარცხენა ნაპირზე. ეს მდინარე ერთვის რიცნის შენავადს, უვირცილას, მარჯვენა ნაპირიდან. სათავე ამ მდინარეს ნაქერალას მთის ძირში აქვს. ნაქერალას მთა მდებარეობს ქუთაისიდან ჩრდილოეთისავენ არმოცდათი ვერისი მანძილზე. მდინარე წყალწითელას კალაპოტი კარგა დიდ მანძილზე სულ მოწითალოდ თიხის ნიადაგზე მიდის და ამიტომ წყალდიდობის დროს ამ მდინარის წყალს მდგრიე მოწითალოდ ფერი აქვს. ამ მდინარის სახელიც სწორეთ ამ მოწითალოდ ფერისაგან წარმოსდგება. წყალწითელას მარჯვენა ნაპირზე, ქუთაისიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, სამი ვერსის მანძილზე არის გაშენებული სოფელი მოწამეთა. ამ სოფელში არის აგებული მოწამეთის მონასტერი. ეს მონასტერი აუგიათ წმინდა და დავით და გოსტანტინეს სახელზე. დავით და გოსტანტინე, როგორც ისტორია გადმოგვცემს, უფლისან მმები, არგვეთის თავადნი მხედები. მათ თავი დაუდიათ სამშობლოს და სარწმუნოებისათვის არაბების შემოსევის დროს იმერეთში. ისინი იარაღით და ჯვრით ხელში წინ უძღვდენ იმერია მცირეოდენ ჯარს და თავგანწირვით ებრძოდენ მურჯან ურუს ურცხვო ჯარს. არაბების მრავალ რიცხვებისა ჯარშა სძლია ქართველ შემართა სიმამაცე და თავგანწირვა. ქართველთა დამარცხების შემძეგ მოტრებმა სასტიკათ აწამეს დავითი და გოსტანტინე და მათი ნაწამები გვამი გადაუარეს მდინარე. რიცნში იმ ადგილას, სადაც ამ უამათ წითელი ხიდია გადებული ამ მდინარეზე. აქიდან მათი გვამი წაუსვენებიათ ქალაქ კარეთ, მოუქებნიათ უფრო მიუვალი ადგილი და იქ მიუბარებიათ მიწისათვის სამშობლოსათვის თავდადებულოა გვამები. დავითი და გოსტანტინე, როგორც სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის წამებულნი, ხალხს წმიდათა შორის ხაურიცხავს და მათ საფლავზე აუშენებია მონასტერი, რომელსაც სახელათ მოწამეთა დაერქვა. აქიდანვე წარმოსდგა თვითონ ამ

სოფლის სახელი მოწამეთაც. დავით და კოსტანტინეს სახელს დღუ-
სასწაულიბენ დვინობისთვის თას. ამ დღეს სოფელ მოწამეთაში
დიდძალი ხალხი იყრის თავს იმერეთის უოგელი კუთხიდან.

სოფელ მოწამეთადან ჩრდილოეთისაკენ, ასე ერთ-ნახევარი გერ-
სის მანძილზე, მდებარეობს სოფელი გელათი. ამ სოფელში აგებელია
მეთერთმეტე საუკუნეში დავით ადმაშენებლის მეფობის დროს დიდუ-
ბიული გელათის (გაენათის) მონასტერი. ეს მონასტერი შესანიშნავია,
როგორც უმშენესიერების ხუროთმოქმედობის მხრივ, აგრეთვე მრავალი
უძველესი საშთებით. ჩამოთვლილი სოფელი გაშენებულია მდინარე რი-
ონის მარცხენა ნაპირზე, სოლო რიონს მარჯვენა ნაპირზე, ქუთაისის
მასლობლათ იმუთვება: ჯიმისტარი, ბანოჭა, ქვიტირი, გეგუთი და მეს-
ხეთი. უველა ქუთაისის მასლობლათ მდებარე სოფელებს ის უპირატესობა
აქვს შორს მდებარე სოფელების წინაშე, რომ ამ სოფელებიდან მაღის-
ან ადგილია ქალაქში მისვლა-მისვლა. ამის გამო ამ სოფელების მცხოვ-
რებლებს საშვალება ეძლევათ ადგილათ გაიტანონ თავისი საწარმისები
ქუთაისის ბაზარზე. თითქმის უველა ამ სოფელებში გავრცელებულია
მებჟარენეობა, მებაღეობა და წვრილოვები საქონლის მოშენება. ასეთი
საწარმისებისათვის საუკეთესო ბაზარია ქალაქი და კიდევ აქ ასაღებენ
ამ საწარმისების მასლობლი სოფელების მცხოვრებლები. საუკრადღებოა
აგრეთვე სოფელ ბანოჭაში ჭურჭლების საკეთებელი და კირის სა-
წვავი ქარხნები. გოჭურაზე გავრცელებულია აგურის მზადება, რის-
თვისაც აქ ბლობათ არის აშენებული აგურხანები.

კითხვები:

დასახელთ შესანიშნავი მონასტრები ქუთაისის მახლობლათ. რა
გზით შეიძლება ქუთაისიდან ბელათს წასვლა? რას აწარმოებენ მცხოვრებ-
ლები? ქუთაისის მახლობელ სოფელებში? რა უპირატესობა აქვს ამ სოფ-
ლებს შორეულ სოფლების წინაშე?

მდინარე რიონი და მისი ნაწილები.

ქუთაისს შეაზე უთვს მდინარე რიონი. ქუთაისიდან რომ ამ
მდინარეს ზევით, ჩრდილოეთისაკენ ავევეთ, გავიყლით დენსუშსა და

რაჭის და მიგალთ კავკასიონის ქედის ძირში, სადაც მდინარე რიონი იწყება. თვითონ იმ მთას, ოომლიდასაც რიონი გამოდის, სახელათ ფასის მთა ქვია. ოოგორც კავკასიონის ქედის, ისე ფასის მთის უმაღლესი მწვერვალები მუდამ თოვლითაა დაფარული. ზაფხულისთვის მუდმივი თოვლის მხოლოდ ზედა პირ მოღნება ხლომე და გამდნარი თოვლის წყალი ჩადის ძირს, თოვლს ქვეშ მიწას დარავს, ფზას იკეთებს და დაღმართისაკენ მიექანება. აი, ასეთი ნაკადულები ერთმანეთს უერთდება და მდინარეთ იქცევა. იმ ადგილს, სადაც მდინარე იწყება, მდინარის სათავე ეწოდება. მდინარე რიონის სათავე იშულვება ფასის მთაში. სათავიდან დაწყებული ქუთასამდი რიონი თთემის სულ მთა-კლდიან ადგილებზე მომდინარეობს, ამიტომ აქ რიონს კალაპოტი დრმა და ვიწრო აქვს. მდინარის ძირი და ნაპირები სულ ნანგრევი კლდის ქვებით არის დაფარული; ადგილი დაქანებულია და ამიტომ წელიც ჩქარა მიდის. ქუთასის ქვევით რიონის კალაპოტი თანდათან ფართოვდება, მდინარე სულ ვაკე ადგილზე მიიზარდნება და მავ ზღვაში ჩადის. იმ ადგილას, სადაც ერთი მდინარე ერთვის მეორე მდინარეს, ან ტბას, ანუ ზღვას, შესართავს უწოდებენ. რიონის შესართავი შავ ზღვაში აქვს.

რიონი კარგი მოზღვილი მდინარეა. მისი კალაპოტი იმდენათ ფართოა შესართავიდან ზევით აღმდენიშე გერსის მანძილზე, რომ ზატარა გემები ადგილათ შემოდის ამ მდინარეში რამდენისამე ათავერსის მანძილზე. ქუთასის ქვევით რიონის ერთვის მდინარეები, რომელთაც რიონის შენაკადებს ეძახიან. ასეთი შენაკადები არაა: მარჯვენა ნაპირიდან ცხენის-წეალი, აბაშა და ტეხური; ცხენის წეალი სათავე აქვს ფასის მთაში, რიონის სათავის მახლობლათ. აბაშა და ტეხური სვანეთის მთებიდან გამოდის.

მარცხენა ნაპირიდან რიონის ერთვის მდინარე უვირილა, რომელიც ნაქერალას მთის ჩრდილოეთი ნაწილიდან გამოდის. ეს მდინარე მიიმართება ჯერ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, შემდეგ უხვევს დასაჭლეულისაკენ და ერთვის რიონის მარცხენა ნაპირიდან.

კითხვები:

სად იწყება მდ. რიონი? რატომ არა შრება ეს მდინარე?

დედამიწის პირი.

სრულიად სწორი ადგილი დედამიწის პირზე არსად არ მოიპოვება. ჩვენ ყველგან ვამჩნევთ ან ამაღლებულსა და ან ჩაღრმავებულ ადგილებს. ისეთ ადგილს, რომელსაც მხოლოდ ცოტათი ეტყობა უსწორ-მასწორობა, ეწოდება **ვაკე**. ვაკე ადგილზე შეიძლება იყოს **გორაკი**. გორაკი ისეთ ამაღლებულ ადგილს ქვია, რომლის სიმაღლე ას საუენს არ აღამატება. გორაკს სამი ნაწილი აქვს: **მწვერვალი**, **კალთები** და **ძირი**.

კითხვები:

რა განსხვავებაა გორაკსა და მთას შუა? როგორი კალთები შეიძლება ქონდეს გორაკს?

ნიადაგი და მისი შედგენილობა.

დედამიწის ზელა პირს საერთოთ მუქი ფერი აქვს. ამ მუქი ფერის ფენას ადამიანები დაამუშავებენ ხოლმე მცენარეების მოსაშენებლათ. ამავე ფენაში თავისუფლათ ცხოვრობენ სხვადასხვა გვარი ცხოველები: მწერები, ქვეწარმავალნი და სხვა. დედამიწის ამ ფენას ნიადაგს ეძახიან. რა აძლევს ნიადაგს მუქ ფერს? დედამიწის ზედა პირზე ხშირათ ცვივა მცენარეების ნაწილები: ფოთლები, ტოტები, ყვავილები და სხვა. მცენარის ეს ნაწილები მიწაზე ლაპება და მიწას უერთდება. აი, ეს მცენარის დამპალი ნაწილები და დახოცილი ცხოველები აძლევენ ნიადაგს მუქ ფერს. დამპალი მცენარეებისა და ცხოველების ნაწილებისაგან შემდგარ ნიადაგს. **დამპალას** ეძახიან. ამ დამპალას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეებისთვის. ის ასუქებს და ანაურთიერებს ნიადაგს. ასეთ გასუქებულ ნიადაგზე კარგათ ხარობს მრავალგვარი მცენარე. **დამპალათი** ხშირად ხელოვნურათ ანაურთიერებენ ნიადაგს. **დამპალა** ბევრი მზადდება ტყეებში. იმას დიდი მზგავსება აქვს საქონლის.

პატივთან (კელა). დამპალას გარდა ნიადაგში შედის სილა, თინა და სხვა მინერალი.

ნიადაგს ქვეშაც ამავე ნივთიერებათაგან შემდგარი ფენები არის დალაგებული სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა რიგზე.

კითხები:

რის გამო აქვს ნიადაგში მუქი ფერი? როგორი ნიადაგი სჯობია მცენარეთვის?

შ უ ა რ ი ლ ე ბ ი.

როდესაც ჭისათვის ორმოს სთხრიან, რამოდენიმე სილრმეზე ხვდებათ ისეთი ფენა, რომელიც წყლითაა გაჟღენილი. საიდან გაჩნდა ამ ფენაში წყალი? მს არის წვიმისა და თოვლის წყალი. ნაწვიმარი წყალი მიწის ზოგიერთ ფენებში აღვილათ გადის. ასეთია სილის ფენა. რამოდენიმე სილრმეზე წყალს ისეთი ფენა ხვდება, რომელიც მას არ უშვებს; აქ წყალი გუბდება და შემდეგ დაქანებულ შხრისაკენ მიდის. ამნაირათ ნაგუბი წყალი ხშირათ ისევ დედამიწის პირზე ამოდის და აჩენს წყაროს. წყაროს წყალი ძლიერ გამჭვირვალეა, რადგან მიწის სხვადასხვა ფენებში გავლის ღროს ის იწმინდება, მიწის ფენებში ჭურჭელი სტოვებს და მიწრდან ან კარა წყაროთ ამოჩუხჩუხობს. წყაროს წყალი რომ ჭურჭელში დიდნანს ვადულოთ, მთლათ ორთქლათ გადაიქცევა, მხოლოდ ჭურჭლის ძირზე დარჩება დალეკილი სხვადასხვა ნივთიერება, რომელიც ამ წყალში იყო გამდნარი. ამ დანალექს თუ გავშინავთ, შევიტყობთ, რა ნივთიერება ყოფილა გამდნარი წყაროს წყალში. ასეთ წყალში უფრო ხშირათ არის გახსნილი მარილი, კირი, გოგირდი და რკინა. ასეთ წყლებს მინერალურ ან მაღალეულ წყლებს ეძახიან. მაღალეულ წყლებს ადამიანი სამ-

კურნალოთ ხმარობს. ასეთი სამკურნალო წყლები ჩვენს ქვე-
ყანაში ბევრგანაა. (დასახელეთ).

კითხვები:

რანაირათ ჩნდება წყარო? რა და რა მინერალი შეიძლება იყოს
წყაროს წყალში?

ნაკადული და მდინარე.

წყაროს წყალი, რაკი მიწიდან გამოვა, პატარა კალაპოტს
თხრის და დაღმართი ადგილებისაკენ ნაკადულათ მიღის. ასე-
თი ნაკადულები გზადაგზა ერთმანეთს უერთდება და მდი-
ნარეთ იქცევა. იმ ადგილს, საიდანაც მდინარე გამოდის,
სათავე ეწოდება. მდინარის ბოლო, ანუ ის ადგილი,
სადაც მდინარე ერთვის ზღვას, ტბას, ანუ მდინარეს, იწო-
დება მდინარის **შესართავათ**. თუ ერთი მდინარე ერთვის
მეორეს, პირველი იქნება შენაკადი და მეორე უმთავრესი
მდინარე. მდინარეს აქვს აგრეთვე შუა წელიც. იმ ჩაღრმავე-
ბულ ადგილს, რომელშიაც მდინარე მიღის, ეწოდება **კალა-
პოტი**. მდინარეს აქვს ორი ნაპირი: **მარჯვენა** და **მარცხენა**.
იმის გასაგებათ, თუ რომელია მარცხენა და რომელი მარ-
ჯვენა ნაპირი, საჭიროა პირი ვქნათ იქით, საითაც მდინარე
მიღის. **მარცხენა** ხელისაკენ იქნება მარცხენა ნაპირი და მარჯ-
ვენა ხელისაკენ — მარჯვენა ნაპირი.

მდინარეს დიდი სარგებლობა მოაქვს იმ ადგილებისათვის,
რომელზედაც მიღის. მდინარის წყალს ხმარობენ სასმელათ;
მით რწყავენ სახნავსაოეს ადგილებს, სადაც ეს მოსახრებებე-
ლია, აბრუნებენ წისქვილებს, ამოძრავებენ სხვადასხვა გვარ.
ჩარხებს, ეზიდებიან ტივებს, ნავებს და გემებს; მდი-
ნარის წყალს ხმარობენ აგრეთვე სარეცხათ, საბანაოთ და
მრავალი სხვა საჭიროებისათვის. მდინარეში იჭერენ აგრეთვე
თევზს.

ტბა და ჭაობი.

დედამიწის პირზე ჩვენ ხშირათ გვხვდება ჩალრმავებული ადგილები, რომელებშიაც გუბდება ნაწვიმარი წყალი. ასეთ ადგილს ეძახიან ტბას. ტბის გასაჩენათ არ კმარა მარტო ჩალრმავებული ადგილი. საჭიროა, ამ ჩალრმავებულ ადგილს ნიადაგი ან ნიადაგის ქვედა ფენა თიხისა ქონდეს. ასეთი ნიადაგი წყალს ქვევით არ გაუშვებს და გაჩნდება ტბა. ზოგი ტბა აივსება, წყალი გაღმოვა და ამგვარათ ტბა მდინარის სათავეთ გახდება.

თუ ადგილი ვაკე და დაბლობია, ჟეიძლება ჭაობი გაჩნდეს. ნიადაგი აქაც ისეთი უნდა იყოს, რომელიც წყალს არ უშვებს. ჭაობებში ბლობათ იზდება სხვადასხვა გვარი მცენარე: ხავსი, გვიმრა, ლერწამი, ჭილი, რომლისგანაც ქსოვენ ჭილობებს და სხვა. ზაფხულობით ჭაობი სანახევროთ შრება, დარჩენილი წყალი ლპება, ალპობს მცენარეებსაც და ამის გამო აყენებს თავის გარშემო ცუდ, სიდამპლის სუნს. მს ცუდი სუნი სწამლავს ჰაერს, და ჭაობების მახლობელ ადგილებში სხვადასხვა გვარ სნეულებებს აჩენს: მაგალითათ, ციება, ჭარები და სხვა.

კითხვები:

როგორი ნიადაგია საჭირო ჭაობის გასაჩენათ? რითაა მავნებელი ჯანმთელობისათვის ჭაობი?

ჭ ლ ვ ა.

ზღვაც ისე ჩნდება, როგორც ტბა; მხოლოდ ზღვისათვის ჩალრმავებული ადგილი ძლიერ დიდია; ზღვის წყალს მწარე და მლაშე გემო აქვს, რადგან მასში მარილს გარდა მრავალი სხვა მინერალიც არის გამდნარი. ზღვის წყალი რომ ჭურჭელში ადულოთ, წყალი სულ ორთქლათ გაღაიქცევა და ჭურჭელში ძირზე მარილი დარჩება. მარილს ზღვიდან სხვადასხვა საშვალებით იღებენ

და ხმარობენ საჭმლისთვის. თბილ ქვეყნებში ზღვის წყალს გადაუშვებენ ორმოში; აქ წყალი ორთქლათ იქცევა, მარილი კი ძირს ილეკება. დალეკილ ჩარილს იღებენ, აშრობენ მხებე და საჭმლისათვის ხმარობენ. ცივ ქვეყნებშიაც ორმოში უშვებენ ზღვის წყალს, მხოლოდ აქ წყალი ორთქლათ არ იქცევა, მაგრამ მარილი აქაც ძირს ილეკება, ზევით კი წმინდა წყალი რჩება. მს წმინდა წყალი იყინება, ყინულს ამოამტვრევენ; ზევით ამოყრიან და დალეკილ მარილს ცეცხლის შემწეობით აშრობენ.

ზღვის წყალი სრულიად გამსჭვირვალე და უფერულია. ზოგიერთ ზღვაში წყალი იმდენათ გამსჭვირვალეა, რომ ოცი საჟენის სილრმეზე შეიძლება ზღვის ფსკერის დანახვა. ზღვის წყალი თუმცა უფერულია, მაგრამ ზღვას ხშირათ სხვადასხვა ფერი აქვს. მოწმენდილ ამინდში ზღვა მოლურჯო ფერის არის, მოღრუბლულ ამინდში კი შავ ფერს იღებს და სხვა. ზღვას მცხოვრებთათვის დიდი სარგებლობა მოაქვს. ზღვეზე ატარებენ ნავებსა და ხომალდებს, იჭერენ ურიცხვ თევზს, იქიდან იღებენ მარილს და სხვა. დიდი გავლენა აქვს ზღვას ჰავის სითბო-სიცივესა და სინოტიეზედაც. ზაფხულში ზღვა უფრო ღრმას თბება მზის სხივებისაგან, ვიღრე ხმელეთი. ხმელეთში მზის სხივებს დიდ სილრმეზე ვერ ჩააქვს სითბო და ამიტომ მხოლოდ მიწის ზედა პირი თბება ხოლმე, ხოლო ზღვაში კი მზის სხივები წყალს დიდ სილრმეზე ათბობს. ამიტომ ზამთარ-ში ხმელეთი უფრო მაღე კარგავს თავის სითბოს, ზღვა კი ზაფხულში შეძენილ სითბოს ნელნელა კარგავს და ამგვარათ ჰაერს დიდ ხანს ათბობს. ამიტომ არის, რომ ზამთრობით ზღვიდან ხშირათ თბილი ქარი ჰქინის ხოლმე. ზღვიდან ასული ორთქლი ღრუბლებად იქცევა და ზღვის მახლობლათ მდებარე ქვეყნებს ხშირი წვიმის სახით ევლინება ხოლმე.

კითხვები:

ზღვიდან ორთქლი მუდამ ადის? რატომ ზღვა არ კლებულობს? რა-

ტომ არ იცხება ზღვა და ნაპირებზე არ გადადის? ზამთარში უფრო თბება ზღვა თუ ზაფხულში? შეაღარეთ ხმელეთისა და ზღვის გათბობა ზაფხულში. ზღვა უფრო მაღე ცივდება ზამთარში თუ ხმელეთი?

ნამი და რთვილი.

ზღვებიდან, ტბებიდან და მდინარეებიდან მუდამ ბევრი ორთქლი აღის ცაში. ამის გამო ჰაერი მუდამ გაედენთილია წყლის ორთქლით. ჩვენ ამ ორთქლს ხშირათ სრულიად ვერ ვამჩნევთ, იმიტომ რომ ეს ორთქლი ჰაერისაგან თითქმის არაურით გაირჩევა. ცივსა და მოწმენდილ ღამეში ზაფხულობით ჩვენ ვამჩნევთ ბალახებზე და სხვა საგნებზე სისოვლეს. მას სისოვლე არის ნამი. ჩვენ ესთქვით, რომ ჰაერი მუდამ გაედენთილია ორთქლით. მოწმენდილ ღამეში დედამიწის პირი ცივდება, სითბო დედამიწიდან ზევით, ჰაერში აღის: ზაცივებულ მიწის პირს და მასზე მდებარე საგნებს ეხება ჰაერში მცურავი ორთქლი. ღრმა ცივდება, იკუმშება და წყლის წვეთებათ იქცევა. აი, ეს წყლის წვეთებია ნამი. თუ იმდენათ ცივა, რომ წყლის წვეთები გაიყინა, მაშინ ნამის მაგიერათ დედამიწას ეფინება რთვილი. ნამი და რთვილი უფრო ხშირათ ისეთ აღილებში იცის, სადაც ჰავა ნოტიოა.

ზაფხულის მოწმენდილ ღამეებში ნოტიო აღგილები ნისლით ითარება. ნისლი არის შეკუმშული ორთქლი, რომელიც მიწის პირთ დაცურავს ხოლმე. ნამი, რთვილი და ნისლი ჩნდება მხოლოდ ღამით. მზის ამოსვლის შემდეგ ისინი ქრებიან — ორთქლათ იქცევიან.

დრუზელი, წვიმა, თოვლი და სეტჭვა.

რაც უფრო ზევით ავიწევთ ცაში, ჰაერი მით უფრო ცივია. წყლის ორთქლიც ზევით ასვლის დროს თანდათან ცივდება. ზაცივებული ორთქლი იკუმშება და ღრუბლათ იქცევა. ღრუბელი შესდგება წყლის ჰატარა წვეთებისაგან რა გმელნიც.

ჰაერში დაცურავენ. როდესაც ღრუბელი ძალიან შეიკუმშება, წყლის პატარა წვეთები ერთმანეთს უერთდება და უფრო დიდ წვეთებათ იქცევა. მს დიდი წვეთები თავის სიმძიმის გამო ჰაერში ვეღარ ჩერდება და ძირს ცვივა. ამნაირათ მოდის წვიმა. ხშირათ თვითონ ღრუბელი იყინება ხოლმე და მაშინ დედამიწაზე ცვივა სხვადასხვა სახის პატარპატარა ღრუბლის ნაწყვეტები - თოვლი.

ზევიდან წამოსული წვეთები თუ სიცივისაგან გზაში გაიყინა, მაშინ წვიმის მაგიერათ დედამიწაზე მოდის სეტჩვა. იმერეთში სეტყვას კოხსაც ეძახიან.

კითხვები:

რატომ ზაფხულში არა ჩნდება თოვლი და როვილი? რა მნიშვნელობა აქვს წვიმისათვის ზღვას? რა მნიშვნელობა აქვს წვიმისათვის მაღალ მთებს?

საქართველოს მოკლე გეოგრაფია.

მ ე რ ე თ ი.

შუთაისიდან რომ აღმოსავლეთისაკენ გავემგზავროთ, მის ვადგებით კარგა მოზრდილ მთას, რომელსაც სურამის, ანუ ლიხის მთას ეძახიან. მს მთა შეადგენს ძავისიონის ქედის ტოტს და მიიმართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ,

შუთაისიდან დასავლეთისაკენ რომ გავემგზავროთ, ოცდა-ხუთი კერძის მანძილზე დაგვიხვდება მდინარე ცხენის-წყალი. ამ მდინარესა და სურამის მთას შუა მდებარე ქვეყანას იმერეთს ეძახიან. იმერეთს აღმოსავლეთის მხრიდან საზღვრავს სურამის ანუ ლიხის მთა, დასავლეთის მხრიდან — მდ. ცხენის-წყალი; სამხრეთისაკენ იმერეთი აჭარა-ახალციხის მთამდი უწევს; ხოლო ჩრდილოეთით — რაჭამდი და ლეჩხუმამდი. რაჭისაგან იმე-რეთს ყოფს ნაქერალას მთა, რომელიც აღმოსავლეთიდან და-სავლეთისაკენ მიიმართება. მთელ იმერეთს ქალაქი შუთაისი ყოფს ორ ნაწილათ. შუთაისიდან აღმოსავლეთით და ჩრდი-ლოეთით ძევს ზემო იმერეთი, დასავლეთით და სამხრეთით — ქვემო იმერეთი. იმერეთის ეს ორი ნაწილი ერთმანეთისა-გან გაირჩევა როგორც დედამიწის პირის შენობით აგ-რეთვე სხვა თვისებითაც. ზემო იმერეთი თიოქმის მთლად მთაგორიანი ადგილია, ქვემო იმერეთი კი თითქმის სულ ვა-კეა. ზემო იმერეთში, როგორც მთაგორიან ადგილში, წვი-მის წყალი ერთ ადგილს არ გუბდება და ჭაობები არა ჩნდე-ბა. ამიტომ აქ მიწა ბევრათ უფრო მშრალია, ვიდრე ქვემო იმერეთში, სადაც ნაწვიმარი წყალი ვაკე ადგილებზე გუბდება და ჭაობები ჩნდება. საერთოდ მთელ იმერეთში წვიმები ხში-

რათ იცის. ამის მიზეზია შავი ზღვის სიახლოვე. შავი ზღვი-დან ცაში ბეკრი ორთქლი ადის; ორთქლი იქცევა ღრუბლებათ; დასავლეთის ქარს იმერეთში ღრუბლები აღვილათ გად-მოაქვს და ამის გამო წვიმაც ხშირათ იცის ხოლმე. რადგან იმერეთის ჰაერი თითქმის მუდამ გაულენთილია ორთქლით, ამიტომ აქ ჰავაც ნოტიოა.

მრთმანეთს თუ შევადარებთ ჰავის მხრივ ზემოსა და შვე-მო იმერეთს, შევამჩნევთ, რომ შვემო იმერეთში უფრო ნო-ტია ჰავაა, ვიდრე ზემო იმერეთში. (რატომ?)

ჰავა სითპო-სიცივის მიხედვით მთელ იმერეთში ზომიე-რია: ზაფხული არ იცის ძალიან ცხელი და ზამთარი ძალიან ცივი.

ხშირი წვიმები და ადგილის ვაკე მდებარეობა ხელს უწ-ყობს შვემო იმერეთში ტბებისა და ჭაობების გაჩენას. ჭაობებ-ში მცენარეები ლპება და შვემო იმერეთის მიდამოებში ცუდ სიდამპლის სუნს ავრცელებს. ამის გამო შვემო იმერეთის ჰავა ბევრათ უფრო მავნებელია ჯანმთელობისათვის, ვიდრე ზემო იმერეთისა. შვემო იმერეთში ხშირია ციებ-ცხელება, კუჭისა და ფილტვების სნეულება. ზემო იმერეთში კი ასეთი ავათ-მყოფობა იშვიათია.

ზამთარში იმერეთში თოვლი თუმც ბლომათ მოდის ხოლ-მე, მაგრამ ეს თოვლი ძალიან მალე დნება. ძლიერი ყინვა-იშვიათია მთელ იმერეთში. (რატომ?) იმერეთში ორგვარი უმ-თავრესი ქარი ქრის: აღმოსავლეთისა და დასავლეთის. აღმო-სავლეთის ქარი ზაფხულში ცხელი და მშრალია, ხოლო ზამ-თარში ცივი და მშრალი. დასავლეთის ქარი მუდამ ნოტიოა, ხოლო ზამთარში თბილი, ზაფხულში კი გრილი. (რატომ?)

იმართის რწყვა.

როგორც ზევითა ვსთქვით, იმერეთში წვიმები ხშირათ იცის და ამიტომ ჰატარა ნაკადულები და ღელეები აქ ბლო-

მათ არის. უფრო მოზღიულ მდინარეებში საყურადღებოა: მდ. რიონი და მისი შენაკადები: შვირილა, ცხენის-წყალი და გუბის-წყალი. ხელოვნური რწყვა აქ, უმეტესად ზემო იმერეთში, სრულიად მოუხერხებელია. ამის მიზეზი ისაა, რომ ზემო იმერეთს მდებარეობა მთა-გორიანი აქვს, მდინარის კალაპოტები ღრმა ხევებშია და აქიდან მაღალ აღვილებზე წყლის არხების გაყვანა შეუძლებელია. უფრო მოსახერხებელია. ხელოვნური რწყვა ჩვემო იმერეთში და აქ კიდეც სარგებლობენ ამ საშვალებით სახნავ-სათესი აღვილების სარწყავათ. მდინარე ცხენის-წყალიდან გამოყვანილია სარწყავი არხი ხონში, საიდანაც წყალი. მიჰყავთ სხვადასხვა სოფლებისაკენ.

ზაფხულის ღამეებში, როცა იღმოსავლეთის ქარი არა ქრის, მთელი იმერეთის არე-მარე ნამით სოვლდება; ნამს იმერეთში ცვარს ეძახიან. რთვილი იმერეთში იშვიათი მოვლენაა, რაღან გაზაფხულზე და შემოდგომაზე უფრო ხშირათ ღრუბლიანი ღამეები იცის ხოლმე.

არც სეტყვა იცის იმერეთში ხშირათ. ზემო იმერეთში მოვა ხოლმე სეტყვა, მაგრამ ძალიან სხვილი არა და ამიტომ არც დიდ ზარალს იყენებს ამ ქვეყანას. სეტყვას იმერეთში კოხს ეძახიან.

კითხვები:

შეადარეთ ქვემო იმერეთისა და ზემო იმერეთის ჭავა. რათ არის უფრო სიცივე მაღლობ აღგიფებში, გილრე დაბლობში.

მცხარმაზლობა იმართვი.

ზომიერი ჰავა და ნოტიო ნიადაგი ხელს უწყობს იმერეთში მრავალგვარი მცენარეების გავრცელებას. აქ თავისუფლათ ხარობს და იზღება ბევრი ისეთი მცენარე, რომელიც უფრო ცივ ჰავაში ვერ იხეირებს. ასეთია მაგალ., ბამბა, თამბაქო, თუთის ხე, ვაზი და მრავალი სხვა.

ჭირნახულში აქ უფრო გავრცელებულია სიმიდისა და ლომის თესვა. ლომს უფრო ზემო იმერეთის ჩრდილოეთ ნაწილში სთესვენ. მთელ ღკრიბაში ეს ჭირნახული კარგა ბლომათ მოჰყავთ. პურის თესვა იმერეთში არ არის გავრცელებული. მხოლოდ ზემო იმერეთში ვარგობს ეს მცენარე და კარგ მოსავალსაც იძლევა. საერთოდ ამ მცენარეს ნოტიო ჰავა და ნიადაგი არ უყვარს და, რასაკვირველია, შვემო იმერეთში უერ იხეირებს.

სიმიდი კი იმდენი მოყავთ შვემო იმერეთში, რომ არამც თუ ადგილობრივ მცხოვრებლებს ყოფნისთ თავის გამოსაკვებათ, არამედ სხვა ქვეყნებშიაც ბლომათ გააქვთ გასაყიდათ.

მ ე ვ ე ნ ა ხ ე თ ბ ა .

მევენახეობა და მეღვინეობა გავრცელებულია უფრო ზემო იმერეთში. აქ არის ისეთი კუთხეები, სადაც მცხოვრებლები მხოლოდ მევენახეობას ეწევიან. ასეთი სოფლებია: სვირი, ძვალითი, ღბჩა, თერჯოლა და სხვა.

ამ რამდენიმე ათი წლის წინათ ვენახები სრულიად განადგურა ამ ქვეყანაში ვაზის სენმა—ფილოქსერამ. მს სენი შემთხვევით არის შემოტანილი უცხოეთიდან. ვილოქსერა ძალიან პატარა მწერია; მისი ღანახვა მხოლოდ გამაღიღებელი შუშის შემწეობით შეიძლება. მს პატარა მწერი საშინელ ზარალს აყენებს ვაზს. თითოეულ ფესვზე ათასობით ბინავდება ეს უხილავი მწერი და საშინელი გაუმაძლრობით სწუწნის სისოვლეს ვაზის ფესვებიდან. სისოვლესთან ერთად ფილოქსერა აცლის ვაზს საკვებ მასალას, ვაზი თანდათან სუსტდება და ბოლოს სრულიად ხმება. ამ ათი-თუთხმეტი წლის წინეთ ისე გავრცელდა ფილოქსერა იმერეთში, რომ თითქმის სრულიად მოსპოტ ვენახები. ხალხი ამ გარემოებამ ძლიერ შეაწუხა და არ იცოდა, რა ექნა, რით ეშველა საქმისთვის. მაგრამ ამ ღროს შემოიღეს ამ ქვეყანაში აქაური ვაზის მყნობა ამერიკული ვაზის.

რქაზე, და ვენახებიც გამობრუნდა. ამ ვაზის მყნობას ის აზრი აქვს, რომ ფილოქსერა ამერიკული ვაზის ფესვებს ვერაფერსა ვნებს. ამიტომ ამერიკულ ვაზის რქაზე დამყნილი ჩვენებური ვაზი სრულიად უვნებლათ რჩება ფილოქსერასაგან. ამგვარათ ვაზის მყნობა ძლიერ გავრცელდა იმერეთში. ახლა ზემო იმერეთში, საღაც კი ვაზი ხეირობს, ერთ სოფელსაც ვერ ნახავს ქაცი, რომ ნამყენი ვენახები არ იყოს გაშენებული. იმერეთში ამ უკანასკნელ დროს ვაზს ბევრი სხვა გვარი სენიც გაუჩნდა, მაგრამ მათ წინააღმდეგაც თავგამოდებით იბრძვის იმერელი მუშა. ასეთი სენია მაგალი, ვაზის ობი და ნაცარი. მაგრამ საწინააღმდეგოთ აქ ჯარიბენ შაბიაბანის სითხეს, ნაცრის წინააღმდეგ კი გოგირდის მტვერს.

ბამბის მოყვანა.

ზემო იმერეთის დასავლეთ ნაწილში ძლიერ გავრცელებულია ბამბის მოყვანა.

ამ მცენარეს უყვარს ისეთი ადგილი, საღაც საკმაოთ თბილი და თან ზომიერი ქარი ხვდება ხოლმე. ასეთია ზემო იმერეთში რამდენიმე სოფელი და აი ამ სოფლებში ბლომათაც თესვენ ბამბას.

სოფელი სიმონეთი, ეწერი და სხვა იმდენს სთესავს ამ მცენარეს, რომ უცხოეთშიაც კი გააქვთ ქაჭილან ეს ნაწარმოები.

მებაღეობა.

ხეხილის მოვლა-მოშენებას თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს თითქმის მთელი იმერეთის ყველა კუთხეში.

ვაშლი, სხალი, ატამი, ლელვი და მრავალი სხვა ზილი იმერეთში ყველგან კარგათ ხეირობს, მაგრამ ეს ხილი ისეთი თვისების არის, რომ შორს წასაღებათ არ ვარგა, რადგან

ჰავის სინოტიის გამო ნამეტანი წყლიანია. მს გარემოება ძლიერ აფერხებს ხეხილის გამრავლებას იმერეთში, თუმცა ახლაც საკმაოთ აწარმოებენ ამ საქმეს. რაკი შორს გასაზიდათ აქაური ხილი არ ვარგა, მცხოვრებლებმა დაიწყეს ხილის ჩირვა. ჩირს კი ხშირათ კარგ ფასათ ყიდულობენ სხვა ქვეყნებში გასაგზავნათ.

მებოსტნეობა.

მებოსტნეობაც კარგ სამსახურს უწევს იმერელ გლეხს. შუთაისის მახლობელი სოფლები: ქვიტირი, ზეგუთი, ფარცხანაყანევი და სხვა თითქმის მარტო მებოსტნეობას მისდევენ. მს სოფლები ახლო არიან შუთაისზე და თავის ნაწარმოებს ადვილათ ასალებენ შუთაისის ბაზარზე. იმერეთის ნიაღაგზე კარგათ ხეირობს კიტრი, ნესვი, კომბოსტო, კართოფილი, წითელი ბაღრიჯანი და სხვა ბოსტნეული. ბოსტნეულობა აქ იმდენი მოჰყავთ, რომ აქიდან სხვა ქალაქებშიაც ბევრსა გზავნიან (თბილის, ბაქოს და სხვაგან). შუთაისის ბაზარზე ბევრია მწვანილეულობა არა მარტო გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე, არამედ მთელი ზამთრის განმავლობაშიაც (რატომ?)

შინაური საქონლის მოშენება.

შინაური საქონლის მოვლა-მოშენებას ხელს უშლის იმერეთში საძოვარი ადგილების სიმცირე.

ზემო იმერეთის სოფლებში იშვიათად შეხვდება კაცი საძოვრათ დატოვებულ მიღვრებს. თითო უღელ ხარს, ცალ ძროხას და ერთ ცხენსაც დიდი გაჭირებით თუ შეინახავს ზემო იმერეთში მოსახლე, ოორემ საქონლის ჯოგს და ცხვრის ფარას ხომ სრულიად ვერ ნახავს აქ კაცი. რადგან აქ შინაურ ცხოველებს ნაკლებათ აშენებენ, ამიტომ ერბოსა და მაწვნის კეთება სრულიად არ იციან.

იმერეთში გარეული ცხოველების სიმცირის მიზეზია ის გარემოება, რომ აქ ადგილის სივიწროვის გამო ტყეებს სჩენენ და ყანებათ იღებენ. ამგვარათ უდაბური და მიუვალი ტყეების რიცხვი თანდათან კლებულობს და ამის გამო გარეულ ცხოველთა რიცხვიც მცირდება.

ი მ ე რ ე თ ი ს მ ც ხ ვ ა რ ე ბ ი ნ ი.

მთელი იმერეთის მკვიდრ მცხოვრებლებს შეადგენენ ქართველები, რომელთაც იმერლებს ეძახიან. იმერლები იქნებიან



ი მ ე რ ე ბ ი ნ ი.

რიცხვით 400,000. ისინი მიწის მუშები არიან, მაგრამ რაღაც იმერეთში საკმაო დასამუშავებელი მიწა არ არის, მცხოვრებთა კარგა დიდი ნაწილი სხვაგან მიღის სამუშაოს საძებრათ. პავკასიის დიდ ქალაქებში, რეინის გზის სადგურებზე და ზღვისპირის ქალაქებში ბლომათ შეხვდება კაცი იმერეთიდან წამოსულ მუშებს.

შართველებს გარდა იმერეთში დიდი ხნის დასახლებული არიან ებრაელები და სომხები. შმოავრესათ ისინი ცხოვრობენ ქალაქებში, დაბებში და საზოგადოთ სავაჭრო ადგილებში. მათ ხელობას თითქმის ყველგან ვაჭრობა შეადგენს.

ებრაელები მიწის მუშაობას სრულიად არ მისდევენ, სომხები კი სოფლათ რამდენათმე მიწის მუშაობასაც აწარმოებენ. ებრაელები შართულ ენაზე ლაპარაკობენ და იმერლებისაგან მხოლოდ სარწმუნოებით გაირჩევიან. ისინი მოსეს სჯულს აღიარებენ. საცოველდღეო სახმარ ენათ სომხებიც ქართულ ენას ხმარობენ. თავის სამშობლო სომხურ ენაზე მხოლოდ წირვა-ლოცვას და სხვა ლეთის-მსახურებას ასრულებენ. სარწმუნოებით სომხები გრიგორიანი ქრისტიანები არიან.

იმპრეოსის შესანიშნავი აღგილები.

მთელ იმერეთის უნთავრეს ქალაქათ ითვლება შუთა-ისი, როიელშიც ითვლება 60,000 მცხოვრები. ქალაქი ფრიად ლამაზ ადგილზეა გაშენებული, სახლები თითქმის სულ ბალებშია აგებული და ჰავაც ჯანმთელობისათვის სალია, თუ მხედველობაში არ მივიღება ციებას, რომელიც საგრძნობლათ ბუდობს ქალაქის დაბლობ ნაწილში, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე. უცხო მნახველის ყურადღებას იქცევს ამ ქალაქში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. მს ტაძარი აგებულია არქიელის გორაზე. მისი ნანგრევები დღესაც ცხადათ

უჩვენებენ მნახველს ოდესლაც ღიღებული ტაძრის სიმშვენიერება და სიღიადეს.



ბაგრატის ტაძრის ნანგრევები.

შუქაისიდან დასავლეთით, ოცდახუთი ვერსის მანძილზე მდებარეობს დაბა ხონი. მს დაბა წარმოადგენს საუკეთესო სავაჭრო ადგილს მთელ იმერეთში. დაბა პატარა ლამაზ ქალაქს მოაგონებს მნახველს თავის სუფთა და ლამაზი შენობებით, კარგა მოზღიული ბაზრით და ფართო ქუჩებით. აქაური ხალხი ძლიერ თავგამოდებულია სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. თითქმის ზოგიერთ მოზღიულ სამაზრო ქალაქშიაც არაა იმდენი სასწავლებელი, რამდენიც დაბა ხონშია. აქ არის სამასწავლებლო სემინარია, სავაურ და საქალო გიმნაზიები, სამოქალაქო ექვს-კლასიანი სასწავლებელი, სახელოსნო სასწავლებელი და მრავალი სხვა დაბალი და პირველდაწყებითი შკოლა.

საუცხოო სანახავია დაბა ხონში ბაზრობა პარასკევ დღეს. ამ დღეს ხონის ბაზარი ივსება ყოველგვარი სანოვაგით

და საქონლით, რომელიც მოაქვთ ბაზარში არა მარტო მახლობელი სოფლებიდან, არამედ საქართველოს უფრო და-შორებული კუთხეებიდანაც კი. ზაფხულობით აქაურ ბაზარზე იყიდება დიდალი აბრეშუმეულობა, როგორც ძაფათ, ისე სხვადასხვა გვარ ქსრვილებათ. მთელი ბაზარი სავსეა სავაჭ-როთ მოსული დედაკაცებით, რომელთაც თავზე მოხვეული აქვთ ჩაღრისებული მოსახურავი, და მხოლოდ თვალებრ უჩანთ.

ზემო იმერეთში საყურადღებო ადგილებია: ტყიბული—თავის ქვანახშირით, ხრესილი და მურსები—გოგირდის აბა-



ბ ე ჭ ა თ ი .

ნოებით, მოწამეთა ჭ ბელათი—მონასტრებით და ჭიათუ-რა—შავი ქვით ანუ მარგანეცით. შუთაისიდან ტყიბულამდი და ჭიათურამდი გაყვანილია რკინის გზა.

მთელი იმერეთი თრი მაზრისაგან შესდგება. მსენი არი-ან შუთაისისა და შორაპნის მაზრა. შუთაისის მაზრის შუაგულ

ადგილათ ითვლება შუთაისი. აქ ცხოვრობს შუთაისის მაზრის უფროსი, რომელიც განაგებს მთელი მაზრის საპოლიციო საქმეებს.

შორაპნის მაზრის შუა ადგილათ ითვლება დაბა ჭესტაფონი, სადაც მოთავსებულია ამ მაზრის სახელმწიფო დაწესებულებანი. ჭიათურის მახლობლათ, სოფ. მღვიმევში, არის მიუვალ კლდეში გამოქვაბული ლირსშესანიშნავი დედათა „მღვიმევის მონასტერი“.

კითხვები:

დაასახელეთ იმერეთის საზღვრები. რატომ არის ქვემო აშერეთში უფრო თბილი და ნოტიო ჭავა, ვიდრე ზემო იმერეთში? რატომ არ ხერხდება ზემო იმერეთში ხელოვნური რწყვა?

რა აიძულებს იმერეთის მცხოვრებლებს იმერეთიდან სხვა ქვეუნებში წასვლას სამუშაოს საძებრათ? რა მნიშვნელობა აქვს იმერლების სათვის ჭიათურას და ტეიბულს? დაასახელეთ იმერეთის შესანიშნავი სოფლები და მონასტრები.

გ უ რ ი ა.

მს ქვეყანა ისაზღვრება აღმოსავლეთიდან ტბერეთით, და-
სავლეთიდან — შავი ზღვით, ჩრდილოეთიდან მდ.— რიონით და
სამხრეთიდან — აჭარა-ახალციხის მთით. ზურიას ამ საზღვრებში
კარგა მოზრდილი ადგილი უჭირავს. მდებარეობით ეს ქვეყანა
ყველგან ერთნაირი არ არის: მდინარე რიონის დაყოლებით
ვაკე ადგილებია, ხოლო აჭარა-ახალციხის მთისაკენ კი მთა-
გორიანია. ვაკესა და მთაგორიან ზურიას შუა ჩასდევს კარგა
მოზღდილი ნიგოითის მთა, რომელიც აჭარა-ახალციხის მთის
ტოტია. მს მთა მიმართება ჯერ სამხრეთიდან ჩრდი-
ლოეთისაკენ, შემდეგ რიონის მახლობლათ უხვევს დასავლე-
თისაკენ და თითქმის შავზღვაში მიყვება რიონის მარცხენა
ნაპირს.

ჰავა ამ ქვეყანაში ნოტიო და თბილია. ამის მიზეზი ის
არის, რომ ზურიას დასავლეთიდან აკრავს შავი ზღვა, რომე-
ლიც ხშირ წვიმებსა და სითბოს უგზავნის ამ ქვეყანას. პატა-
რა მდინარეებიც ბლომათ არის ამ ქვეყანაში, მაგრამ ხელოვ-
ნური რწყვა ხმარებაში არაა, რაღან ჰავაც და ნიაღაგიც აქ
ბუნებრივათ საკმაო ნოტიოა.

თბილი და ნოტიო ჰავა ხელს უწყობს ამ ქვეყანაში მცე-
ნარეულობის სიმდიდრეს. როგორც ვაკე, ისე მთაგორიანი
ადგილები დაფარულია ხშირი ტყეებით; ტყეებში ჩინებულათ
იზდება სხვადასხვა ჯიშის მცენარეები: მუხა, წიფელა, რცხილა,
კოპიტი, ვერხვი, ფიჭვი, ნაძვი და უძვირფასესი მცენარე ბზა..
სხვა სასარგებლო მცენარეებში საყურადღებოა აქ ჩაის მცე-
ნარე, თამბაქო, თუთის ხე, ბამბუკი და ლიმონისა და ფორ-
თოხლის ხე. შირნახულში უფრო გავრცელებულია სიმიდი და

ლომი. ამ მცენარეებს უყვარს თბილი და ნოტიო ჰავა და ამიტომაც ჩინებულათ ხარობს ზურის თბილსა და ნოტიო ადგილებში. სიმიღი იმდენი მოყვავთ აქ, რომ აქიდან სხვა ქვეყნებშიაც ბევრი გააქვთ გასაყიდათ.

პურს აქ იშვიათათ სთესვენ, რადგან აქაური ნოტიო ჰავა სრულებით არ უწყობს ხელს ამ მცენარის მოყვანას. და-სამუშავებელი ადგილის სივიწროვე ზურიაში საგრძნობელია და ამიტომ საბალახე და საძოვარი ადგილებიც აქ ძალიან ტოკაა. ამის გამო შინაური საქონლის მოვლა-მოშენება აქაც შეუ-ძლებელია. ცხვრის ფარა და საქონლის ჯოგები აქაც იშვია-თად შეხვდება კაცს. საქონლის მოშენება უფრო მოსახერ-ხებელია ზურის ზოგიერთ მაღალ ადგილებზე, სადაც კიდევაც აწარმოებენ ამ საქმეს.

ზურიაში გარეული ცხოველები ბლომათ არის, რადგან აქ ტყე ბევრია.

გურიის მცხოვრები.

მთელი ზურია დასახლებულია ქართველებით, რომელ-თაც გურულებს ეძახიან. ზურულები ძლიერ ნიჭიერნი არიან. ისინი ადვილათ ითვისებენ ყოველგვარ ცოდნას და ცდილო-ბენ შეძენილი ცოდნა ცხოვრებაში გამოიყენონ. ზურული მარდი, ამაყი, პირდაპირი და თავისუფლების მოყვარული ადა-მიანია. სწავლა-განათლებას გურულები ყველა ქართველებზე მეტად ეტანებიან. სწორეთ ამით იხსნება, რომ საქართველოს არც ერთ კუთხეში არაა იმდენი შკოლა და ბიბლიოთეკა და არსებული, რამდენიც ზურიაში. აქ ისეთ სოფელს ვერ შეხვდება კაცი, რომ ერთი შკოლა მაინც არ იყოს. მოზღიულ სოფლებში კი ხშირათ რამდენიმე საქალო და სავაჭო შკო-ლაც არის დაარსებული. ამის გამო ზურიაში იშვიათად შე-ხვდება კაცი ისეთ ახალგაზდას, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდეს.

ბურიის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ხვნა-თესვას მისდევს, მაგრამ, რადგან აქ ადგილის სიყიშროე ძლიერ საგრძნობელია, მცხოვრებთა კარგა ბლომა ნაწილი გურიიდან სხვა



ბ უ რ ი ა .

ადგილებში გადის სამუშაოს საძებრათ. ხვნა-თესვას გარდა აქა-ური მცხოვრებლები მუყაითად აწარმოებენ აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენებას. ისეთი ოჯახი არ მოიპოვება ბურიაში, რომ

რამდენიმე ფუთი პარკი არ მოიწიოს. ამ საქმეს აქ უფრო დედაკაცები აწარმოებენ.

შავი ზღვის მახლობელ ადგილებში ამ ბოლო დროს ჩაის მცენარისა და ბამბუკის გაშენებასაც მიჰყვეს ხელი.

თამბაქოს ანუ თუთუნის მოყვანა ძევლი დროიდანვე იყო გავრცელებული ბურიაში. ამ უკანასკნელ დროს კიდევ მეტ უურადებას აქცევენ მეურნეობის ამ დარგში.

მევენახეობა აქ ძლიერ შეაფერხა ფილოქსერამ, მაგრამ სენის წინააღმდეგ ბრჭოლამ კარგი ნიადაგი მოიპოვა და ამიტომ მევენახეობა ისევ თვალსაჩინო ადგილს იჭერს აქაურ მეურნეობაში. ძველათ ნაქები საუკეთესო ჯიშის ვაზი „ჩხავერი“ თითქმის სრულიად მოისპო ბურიაში და, თუ მყნობის შეწყვეტით არ გამოაბრუნეს ეს მშვენიერი ვაზი, ახლო მომავალში მისი რქა შეიძლება კაცმა სანიმუშოთაც ვეღარ იშოვოს.

ცურვერებთა რაოდენობა ბურიაში ოღწევს 100,000-მდი. ბურია შესდგება მხოლოდ ერთი—**ოზურგეთის**—მაზრისაგან. ამ მაზრის შუა ადგილათ ითვლება სამაზრო ქალაქი ოზურგეთი, — საღაც ცურვერობს შაზრის უფროსი და არის დაარსებული რამდენიმე დაბალი საქალო და სავაურ სასწავლებელი..

დაბა ლანჩხუთი რკინის გზაზე მდებარეობს და ერთი საუკეთესო ადგილი უჭირავს აქაურ სავაჭრო ადგილებში. აქ არის დაარსებული სამოქალაქო ოთხკლასიანი სასწავლებელი. შემოქმედი, ჯუმათი და ბახვი კარგა მოზღიული სოფლებია. სოფელ ნაგომარში ყოველ წლობით იმართება დიდი ბაზრობა (იარმარკა).

კ ი თ ხ ვ ე ბ ი:

დასასხელეთ გურიის საზღვრები, როგორი მდებარეობა და ჭიათურების გურიას? რისგან წარმოსდგება გურიის ჭავის სინოტიე და სითბო? რატომ არის ადგილის სიგიშროე გურიაში? რა უშლის ხელს შურის მცენარის თესვას გურიაში? რატომ არ ხერხდება გურიაში

სელოგნური რწევა? რა უწეობს სელს გურიაში მცენარეულობის სიმღლიდრეს?

გრს ეპუთვნის გურიაში მამულის უმეტესი ნაწილი? არან თუ არა გურიაში სხვა ტომის მცხოვრებლები? დასახელეთ შესანიშნავი სოფლები და მოსასტოები გურიაში?



ს ა მ ე ბ რ ე ლ ო.

სამეგრელოს იმერეთისაგან პყოფს მდინარე ცხენის წყალი. ჩრდილოეთით სამეგრელო უწევს ლეჩეუმამდი და სვანეთამდი, სამხრეთით პყოფს მას ზურისაგან მდინარე რიონი. დასავლეთიდან სამეგრელოს აკრავს შავი ზღვა; ამ საზღვრებ შორის სამეგრელოს უმეტეს ნაწილს სულ ვაკე ადგილი უჭირავს. მაღლობი ადგილები სამეგრელოს მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილში აქვს, ლეჩეუმისა და სვანეთის საზღვრების მახლობლათ. თვითონ სამეგრელოში კი სრულიად არ მოიპოვება რამდენათმე თვალსაჩინო მთები.

ჰავა სამეგრელოში თბილი და ნოტიოა. ამის მიზეზი ის არის, რომ სამეგრელო ვაკე და დაბლობი ადგილია, ჰავი ზღვაც ზედვე აკრავს და თავის გავლენას ახდენს ამ ქვეყანაზე. (ჩანს ეს გავლენა, თუ არა?). ხშირი წვიმები სამეგრელოს ვაკე ატგილებზე აჩენს ჭაობებს და ტბებს (რანაირათ?). ტბებსა და ჭაობებში უხვათ იზღება მრავალგვარი ჭაობის მცენარე. მა მცენარე ადვილათ ლპება ასეთ ნოტიო ადგილებში და მთელ სამეგრელოში ვრცელდება ცუდი სიდამპლის სუნი.

ასეთი სუნი საშინლათ სწამლავს ჰაერს და სამეგრელოს ჰავას ხსის ჯანმთელობისათვის მავნებლათ. აქ ხშირია ციებაცხელება, კუჭის ტკივილი და ფილტვების სნეულება.

ნოტიო ჰავა სამაგიეროთ ხელს უწყობს მრავალგვარი მცენარეების გავრცელებას. აქაურ ტყეებში კაცი ხშირათ შეზღდება ყოველგვარი ჯიშის ხეს: მუხა, წაბლი, ნაძვი, ფიჭვი, ცაცხვი და მრავალი სხვა მასალისითვის საჭირო ხე-ტყე ძლიერ ბევრია. სამეგრელოს თითქმის ყოველ კუთხეში. სამეგრელომ

ბალახიც უხვი და ნოყიერი იცის. ჭირნახულში გავრცელეთ ბულია აქ სიმიდის თესვა. ამ მცენარეს დასავლეთ საქართველოს არც ერთ ნაწილში არ სთესვენ იმდენს, რამდენსაც სამეგრელოში.

ძველ დროში მევენახეობასაც თვალსაჩინო ადგილი სკერია სამეგრელოში, მაგრამ ვაზის სენს თითქმის სრულიად მოუსპია მეურნეობის ეს დარგი და ახლა იწყებენ ვენახების ახალი მყნობის წესით გაშენებას. ზოგიერთ სოფელში ახლაც არის დარჩენილი „სამეგრელოში“ ოდესლაც სახელგანთქმული ვაზის ჯიში „ოჯალეში“. სამეგრელო ძველი დროიდანვე განთქმული ყოფილა მეაბრეშუმეობით. მეურნეობის ეს დარგი დღესაც უმაღლეს საფეხურზეა დაყენებული მთელ სამეგრელოში.

შინაური საქონლის მოშენებას აქ ხელს უწყობს ვრცელი საძოვარი ადგილები. მრავალრიცხოვანი საქონლის ჯოგები და ცხვრის ფარები აქაც იშვიათია, მაგრამ იმერეთსა და გურიასთან შედარებით აქ უფრო მეტ შინაურ საქონელს ინახვენ.

სამეგრელოს შეადგენს სენაკისა და ჭუგდიდის მაზრა. ძველ დროში სამეგრელოს „ოდიში“ ეძახიდენ. მთელი სამეგრელო დასახლებულია მეგრელებით, რომელნიც იგივე ქართველები არიან და არაფრით მათგან არ განირჩევიან გარდა ენისა. შართული ენა თითქმის ყოველშია მეგრელშა იცის; მიწერ-მოწერას და ლიტერატურას მეგრელები ძველათაც და ახლაც ქართულ ენაზე აწარმოებენ. საეკლესიო ენათაც მთელ სამეგრელოში ყოველთვის ქართული ენა იყო და არის. სარწმუნოებაც ისეთივე აქვთ მეგრელებს, როგორიც ქართველებს, ესე იგი, ისინიც მართლ-მაღიდებელი ქრისტიანები არიან.

გცხოვრებთა რაოდანობა მთელ სამეგრელოში უდრის. 300,000-ს.

სენაკის მაზრის ცენტრათ ითვლება დაბა ახალ-ხენაკი, რომელიც რკინის გზის ლიანდაგზეა გაშენებული. აქ არის მოთავ-

სებული ყველა სამაზრო დაწესებულებანი და რამდენიმე საქა-
ლო და სავაჭო დაბალი სასწავლებელი. ახალ-სენაკის მახლო-
ბლათ არის სოფელი ძველი სენაკი, სადაც დაარსებულია სა-
თავად-აზნაურო მოსამზადებელი შკოლა. მს შკოლა შუთაისის
სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზიის განყოფილებას შეად-
გენს. ძველ-სენაკში ყოველ წელიწადს იმართება დიდი ბაზ-



შ გ ბ რ ე დ ი.

რობა (იარმარკა). სენაკის მაზრაშივე არის სოფ. მარტვილი,
თეკლათი ქალთა მონასტრით, და სხვ. პქვე არის ს. აბაშა თავის

საუცხოო ჩანჩქერით. ამავე მაზრის ქალაქია-- ფოთი, რომელიც არის გაშენებული შავი ზღვის პირათ, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე.

მს ქალაქი საუკეთესო ნავთსადგურათ ითვლება მთელი შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე. ამ ნავთსადგურიდან გააქვთ რუსეთში და საზღვარ-გარეთ დიდიალი საქონელი: სიმილი, ლვინო, დაფნა, მარგანეცი და სხვა, ზუგდიდის მაზრის უმთავრეს ქალაქათ ითვლება ზუგდიდი. აქაც რამდენიმე საქალო და სავაჟო სასწავლებელია დაარსებული.

სწავლა-განათლების სამეცნიერო შინაგანი დამატებითი განვითარების სამსახური.

სწავლა-განათლების საქმე სამეცნიერო შინაგანი დამატებითი განვითარების დაყენებული, თუმცი მეცნიერების ნიჭი და სწავლის სურვილი დიდი აქვთ.

სხვათა შორის მეცნიერებს უფრო ემარჯვებათ ვაჭრობა. თითქმის ძავასიის ყველა მოზღიულ ქალაქებში ვაჭრების დიდ უმეტეს ნაწილს ქართველებში მეცნიერები შეადგენენ. სწორეთ ამით არსენება, რომ სამეცნიერო შინაგანი დამატებითი ფეხი ვაჭარმა სომხებმა. მეცნიერები ხშირათ ძალიან შორის მიღიან სააღებ-მიცემოთ და სხვა სამუშაოს საძებრათ. შავი ზღვის პირის ნავთ-სადგურები და ქალაქები სავსეა მეცნიერების მუშებით, მოსამსახურებით და წვრილი ვაჭრებით.

კითხვები:

დასხახელეთ სამეცნიეროს საზღვრები. რას ეძახდენ სამეცნიეროს უწინდელ დროში? როგორი მდებარეობა და ჭავა აქვს სამეცნიეროს? როგორია ჯანმთელობისათვის სამეცნიეროს ჭავა? რით გაირჩევიან მეცნიერები ქართველებისაგან? რას აწარმოებენ სამეცნიეროში? რას წარმოადგენენ მეცნიერები, როგორც ვაჭრები? რა მდგრადობებაშია სამეცნიეროში სწავლა-განათლების საქმე?

დასხახელეთ სამეცნიეროს საუკადღებო აღგიღები.

ს ა მ უ რ ზ ა ჟ ა ჟ ა ნ ო.

სამურჩაყანო აღმოსავლეთით ისაზღვრება სვანეთით, და-
სავლეთით — აფხაზეთით და შავი ზღვით, ჩრდილოეთით ძავ-
კასიონის ქედით და სამხრეთით — შავი ზღვით და სამეგრელო-
თი. ამ ქვეყანას სულ ვაკე მდებარეობა აქვს. ჰავა აქ ძლიერ
თბილი და ნოტიოს. (რატომ?).

მცენარეულობა აქ ძლიერ მდიდარია. (რატომ?). მთელი სა-
მურჩაყანო დაფარულია ხშირი ტყეებით. სახნავ სათესი ადგი-
ლები ძალიან კოტია.

სამურჩაყანოელები ხვნა-თესვას შისდევენ, უმთავრესათ კი
საქონლის მოშენებასა და ხე-ტყის წარმოებას. ზაფხული აქ
ძალიან ცხელი იკის, ცხვირის ფარა ბარად ვერ ძლებს. და ამი-
ტომ მთაში ერევებიან.. სამურჩაყანოს მცხოვრებნი დასავლეთ
საქართველოში ყველაზე უფრო შეძლებულათ ითვლებიან. მა-
მით აიხსნება, რომ აქ არაოდეს ბატონყმობა არ ყოფილა,
ადგილ-მამული ხალხს ეკუთნის და საკუთარი მამულით თავი-
სუფლათ სარგებლობენ. მათ სიმდიდრეს ხელს უწყობს აგრე-
თვე ტყეების სიმრავლე. აქაურ შეეში უხვათ იზღება სხვადა-
სხვა გვარი ხე, ამ ხეებს სჭრიან და ადვილათ ჰყიდიან შავი
ზღვის პირის ქალაქებში და ნავთსადგურებში.

სამურჩაყანოელები რიცხვით 50,000-მდი იქნებიან.
სწავლა-განათლება სრულიად არ არის გავრცელებული ამ ქვე-
ყანაში. სარწმუნოებით მართლ-მაღიდებელი ქრისტიანები
არიან. მათი ენა შერეული მეგრული და აფხარული ენაა.

საყურადღებო ადგილებათ ამ ქვეყანაში ითვლება: მანა-
ჩირე, ჭოდორი და სხვა...



სამურზაფანთელები.

კ ი თ ხ ვ ე ბ ი:

საქართველოს რომელ გუთხეშია სამურზაფანთ? დასახულებით მისი საზღვრები. როგორია ბუნება სამურზაფანთში? რა შეადგენს ოქაური ხალხის სიმდიდრეს? ვის ეპუთვნის აქაური მამულები? რას წარმოადგენს სამურზაფანთელების ენა? რა ტოშის ხალხია სამურზაფანთელები?

Ա Յ Ե Ա Զ Ե Թ Ո.

Այս վեպանա մյուս Շազո Ցորակ դա պարագա Սամեցր-
լուս հիմունքութ-ճասազլու մերուտ. Առեանցետո օսանցը ամուսազլու տոտ, ճասազլու տոտ մազյասոննու յե-
լուս յալուցիտ դա Շազո Ցորուտ, հիմունքութուտ—մազյասոննու յե-
լուտ դա սամէնը տ—Շազո Ցորուտ.

Վայլ ճրութո յս վեպանա ճութեանս ուղա Մյյրուցիւլո Սա-
յանուցելուստան դա մաստան յրուած Սայանուցելուս սաելումնիւցուս
Շյանցընդա, մագրամ յուզելու յու ան յուցուլո և Սայանուցե-
լուս նախուն. Սայանուցելուս ցազլենաս վայշ յուցնամ առեանց-
ին ծյցընդա լամինցազսա յանուցելու դա մլույրապ ճանաելու ա-
յանցեն մատ. Ամուրու ուսոնո եմուրատ տազուս ուզու յանուցելու յու-
ստան. Ամ ծովու ճրուս Առեանցին Սայանուցելուս տանճատան
համունուրդըն դա մտլատ ուսմալու ցազլենաս վայշ հայանուրդըն.

Ամ վեպանաս, հոգուրապ Ցեցուտա ցտվայտ, Շազո Ցորուս Ցո-
րուս աջուլո սկըրացս դա ճացընուլուա մազյասոննու յելուս Քո-
ւրընիս յալուցիտ, ասյ հոմ սմբերյուսո նախուն Առեանցետուսա մտա
ցուրանո աջուլուա, մեռուն Ցորուս Ցորուս ճայուլուցիտ արուս
սիրուր դա զայը աջուլո. Ֆազա Առեանցետն մյուրած նուրուու դա
արպ ցասայուրուցելուա, հաջուան յս վեպանա. Ցեց Ցորուանց արուս
մոյրուլո դա հիմունքութուն մալալո մազյասոննու յելուտ օսա-
նցը ամուսա.

Շազո Ցորութան ակուլո որույլո ամ մալալո մտաս ցեր ցո-
ճասպուլուցիտ դա վայումուս սաենու ովայ Առեանցետս ցուլոնցիտ. Կո-
նուրույ սամունատ սիմլացս այսան Ֆայրս դա ամուրու այ եմու-
րա մրացալցարու սնցուլուցիտ. Ցայքուլու յալուան սիրուր ուրուս ուրուս
դա ամուրու վայումույնուս յս ճրուս Սապեռուրութելուատ ծյցիւրատ

უარესია, ვიდრე ზამთარი. ზამთარი აქ თბილია. თოვლი თი თქმის სულ არ მოდის და ყინვები ხომ სრულიად არ იცის. ამის გამო აქ მცენარეულობა ძლიერ მდიდარია. აქაურ ჰავას ბევრი ცხელი ქვეყნის მცენარეც კი აღვილათ უძლებს. მთელი ზამთრის განმავლობაში აქაური ბალები აფერადებულია. მრავალგვარი ყვავილებით. აფხაზეთის ტყეებში ხშირათ ზეთის ხილის ხეც კი შეხვდება ხოლმე კაცს; ბალებში ხომ ბლომათ აშენებენ ამ მცენარეს. მთელი აფხაზეთის სივრცე დაბურული ტყეებით არის დაფარული. ამ ქვეყნის ხე-ტყის წარმოება აფხაზეთში უპირველეს საქმეს შეადგენს. მეტად განთქმულია აქაური მუხა, კაკლის ხე, ბზა, და სხვა. ბზა, ეს საუკეთესო ლირსების მცენარე, ჯალიან ბევრია აფხაზეთის ტყეებში.

ამ ქვეყანაში ვაზიც კარგათ ხარობს და ღილიც იზდება, მაგრამ მეღვინეობას აფხაზები ნაკლებათ მისდევენ. ვაზები აქ მაღალ ხეზეა აშვებული და მოვლას სრულიად მოკლებულია. შინაური საქონლის მოშენება აფხაზების ლმთავრესი საქმიანობა არის. საბალახე და საძოვარი აღვილები აქ ბლომათ არის და ამიტომ შინაური საქონლის მოშენება მათ არ უძნელდებათ. სხვნა-თესვასაც თვალსაჩინო აღვილი უჭირავს აფხაზების ცხოვრებაში. სთესვენ აქ ბევრ სიმიდს, რომელსაც სხვა ქვეყნებშიაც აგზავნიან გასაყიდათ.

ვაჭრობა აფხაზეთში არ არის. გავრცელებული, რაღაც ეს საქმე მათ სათაკილოთ მიაჩნიათ. ამიტომ აქაური აღებ-მიუცემობა უფრო მოსული ხალხის ხელშია ჩავარდნილი.

აფხაზები ცალკე ტომის ხალხს შეადგენენ. შართველებთან მათ ტომს არავითარი ნათესაობა არა აქვს, მაგრამ, როგორც ზევითა ვსოდეთ, ძლიერ დაახლოვებული კი არიან მათთან. ამ ღაახლოების შედეგი ის არის, რომ აფხაზები ხშირათ წმინდა ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. გათი დედა-ენა არის აფხაზური ენა.

სარწმუნოებით ისინი ამ უამათ მაჰმადიანები არიან, უწინ

კი ქრისტიანები ყოფილან. მრისტიანობა აქ პირველი საუკუნიდანვე გავრცელებულა. ქრისტეს მოძღვრებას რომ აქ მკვიდრი ნიადაგი ჰქონია, ამას ამტკიცებს ამ ქვეყანაში დღემდი დარჩესილი ეკლესიები და მონასტრები. ასეთები არიან ბიჭვინტის, დრანდის და ილორის ეკლესიები. როდესაც ეს ქვეყანა მსმალეთის გავლენას ქვეშ ჩავარდა, ქრისტიანობას აქ განსაცდელი დაადგა. მსმალები ცდილობდენ ქრისტიანობის მაგიერ აქ თავისი სარწმუნოება გაევრცელებიათ და კიდევაც ეწიენ მიზანს.

აფხაზების უმეტესი ნაწილი გამაჰმადიანდა, უმცირეს ნაწილი კი ისევ ქრისტიანებათ დარჩა. თავად-აზნაურობა თითქმის სულ ქრისტიანათ დარჩა. ხშირათ ერთ ოჯახში ზოგი ქრისტიანია, ზოგი კი მაჰმადიანი, მაგრამ ეს გარემოება სრულიად ხელს არ უშლის მათ თანხმობით ცხოვრებას.

რიცხვით აფხაზები 20,000-მდი იქნებიან. მსმალეთის გაბატონებამდი მეტი ყოფილი აფხაზები, მაგრამ მეტე ბევრი მათგანი მსმალეთში გადასახლებულა.

აფხაზეთი და სამურჩაყანო სოხუმის ოლქს შეადგენს. სოხუმი აფხაზეთის უმთავრესი ქალაქია. ის არის გაშენებული შავი ზღვის პირათ და გვარიან ნავთსაღგურათ ითვლება. აქ არის დაარსებული საქალო გიმნაზია, რეალური სასწავლებელი, სამოქალაქო ექვს კლასიანი სასწავლებელი, ქართული შკოლა და სხვა დაბალი სასწავლებელი.

ეს ქალაქი ცნობილია თავისი ნაზი და სააშო ჰავით, რომელიც ზამთრობით ბევრ სნეულს იზიდავს თავისაკენ.


ამავე სოხუმის ოლქში, სოხუმის მახლობლაო, არის ბიჭვინტა, სადაც ახლა დაარსებულია ცნობილი ახალი პოონის მონასტერი.

ს პ ა ნ ე თ ო.

სამეგრელოდან ჩრდილოეთით ძევს სვანეთი. მს ქვეყანა ისაზღვრება ჩრდილოეთიდან ძავასიონის ქედით, სამხრეთით—სამეგრეთლოთი, დასავლეთით—სამურზაყანოთი და აღმოსავლეთით—რაჭა-ლეჩებუმით. ამ საზღვრებში სვანეთს უჭირავს სულ მთაგორიანი ადგილები. ეს ქვეყანა ოთხივ მხრით შემოზღუდულია ძლიერ მაღალი მთებით და ამიტომ სვანეთში შესვლა ხანგრძლივი ზამთრის განმავლობაში თითქმის სრულიად შეუძლებელია. ჩრდილოეთიდან ამ ქვეყანას თავზე დასჩერებია მუდამ თოვლ-ყინულიანი იალბუზის მთა. მს ქვეყანა გაშენებულია მაღალი მთების ორ ვიწრო ხეობაში. მრთ ხეობას ჩაურჩის მდ. მნგური და მეორეს—ცხენის-წყალი. ჰავა აქ მეტად ცივია. მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ სამ-ოთხ თვეს გრძნობს აქ აღამიანი ზაფხულის ცხოველმყოფელ სითბოს, თორემ დანარჩენ დროს მთელი სვანეთი ზამთრის სუსტიან' ბურუსშია გახვეული. ზეღლი ზამთარი და ცივი ჰავა ძლიერ აფერხებს აქ ხენა-თესვის საჭმეს. ჰიტნახულში ქერი ყველგან მოყავს, პური და სიმიდი კი მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში. ამ მცენარეთათვის გამოსაღექი დაბლობი ადგილები ძალიან ცოტა არის სვანეთში და ამიტომამ ჭირნახულების მოყვანას სვანეთში იშვიათად მისდევენ. სვანეთის ის ნაწილი, სადაც უფრო ბლობათ არის სახნავ-სათვესი ადგილები, სულ მებატონეებს ეცუთვნის; მიწებზე ისეთი დალა და ბეგარა აძევს, რომ მისი დამუშავება ძლიერ სამძიმო ხდება სვანისათვის. შინაურ საქონლის მოვლა-მოშენებას აქ ნაკლებათ მისდევენ. გარეულ ცხოველებში ხშირათ ხვდება კაცს სვანეთის მთა-კლდეებში ჯიხვი, არჩვი, შველი, ირემი, დათვი და მრავალი სხვა.

რადგან გარეული ცხოველები ამ ქვეყანაში ბლომათ არის, მცხოვრებლებიც ძალიან ეტანებიან ნადირობას. ზოველი სვანი მონადირეა და კარგათაც ხმარობს იარაღს. ზოგი სვანი თითქმის მარტო ნადირის ხორცით იკვებება მთელი წლის განმავლობაში. ნადირის ტყავს ან თვითონ ხმარობე წნურანსა-ცმელათ ან ჰყილიან. სვანები ვაჭრობას სრულიად არ მისდევნ გარდა ლახამულებისა, რომელნიც შვემო-სვანეთში ცხოვრობენ. მთელი სვანეთის აღებ-მიცემობა ამ ლახამულების და ლეჩხუმელი სომხების ხელშია.

სვანები ქართველი ტომის ხალხია. შეხედულობით სვანები უფრო მთიულებს ჰგავან, ვიდრე ქართველებს. სვანური ენა ქართული ენის შტოს შეადგენს. სვანურში ძლიერ ხშირათ შეხვდება კაცს ქართული სიტყვები. ქართულ ენასაც სვანები ძალიან მაღე და აღვილათ სწავლობენ. სვანების სოფლებსაც ხშირათ ქართული სახელები ჰქვია. აქაური სოფლები სრულიათ არა ჰგავან საქართველოს სხვა კუთხის სოფლებს. ხშირათ სოფელი მხოლოდ 3—4 კომლისაგან შესდგება. სახლებს ქვისაგან აშენებენ და ხშირათ სახლის გვერდში კოშკებიცაა აშენებული.



სვანეთის სოფელი.

სარწმუნოებით სვანები ამ ჟამათ მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. ქრისტიანობა სვანებს ძალიან აღრე მიუღიათ. სვანები ამ ჟამათ უფრო გარეგნულათ ასრულებენ ქრისტიანული სარწმუნოების წესებს, მაგრამ ძველ დროს რომ ამ ქვეყანაში მაგრათ ჰქონია ფეხი მოკიდებული ქრისტიანობას, ამას ის ამტკიცებს, რომ სვანეთის სხვადასხვა კუთხეში ბევრია ძველი დროის აშენებული ეკლესია და სამლოცველო სახლი. წირვა-ლოცვას და სხვა ლვითის-მსახურებას სვანეთში ძველათაც და ახლაც ქართულ ენაზე ასრულებენ.

სწავლა-განათლების საქმე სვანეთში ძლიერ დაბალ საფეხურზე დგის. ამ მხრივ სვანეთი საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეზე უფრო ჩამორჩენილია. ამ უკანასკნელ დროს მთავრობა აარსებს სვანეთის ზოგიერთ სოფელში შკოლებს, მაგრამ ამ შკოლებს ხალხი ჯერ-ჯერობით თანაგრძნობით არ ეკიდება და ამიტომ სვანები ასეთ შკოლებს ნაკლებათ ეტანებიან. სწავლა განათლების მხრივ ჩამორჩენა და მრისხანე ბუნების გავლენა ხელს უწყობს სვანეთში მრავალგვარ ცრუმორწმუნეობრივ ჩვეულებათა შერჩენას და გაერცელებას. სისხლის აღება დღემდისაც არსებობს მთელ სვანეთში. ძველ დროში დედრობითი სქესის ბავშების ხოცვა ჩვეულებათ ყოფილა მთელ სვანეთში. სვანეთის მცხოვრებთა რიცხვი უდრის 25.000. მს ქვეყანა ლეჩეუმის მაზრის ერთ საბოჭაულოს შეადგენს. სვანეთი ორ ნაწილათ იყოფა: გადმოღმა — სადადიანო სვანეთი და გადაღმა — თავისუფალი სვანეთი.

გადაღმა სვანეთიც ორათ ორის გაყოფილი. ძველა სვანეთი, რომელიც დადეშქელიანს ეკუთვნის და ზედა სვანეთი, რომელიც თავისუფალ სვანეთად ითვლება. თავისუფალ სვანეთში ორც თავად-აზნაურობა და, მაშასადამე, ორც ბატონუმობა არაოდეს არ ყოფილა. სვანეთის საყურადღებო სოფლებია: ბერი, ჩუბუხევი, ლატალი, მესტია და ქალა. ქალაში არის ძველ დროში აშენებული წმიდა ძვირიკეს ეკლესია, რომელსაც სვანები დიდი სასოებით უყურებენ.



ს ვ ა ნ ე ბ ი .

კითხვები:

დაასახელეთ სფანეთის საზღვრები. ოთვორი მდებარეობა აქტის
სფანეთს? რისგან წარმოსდგება ხანგრძლივი და ციური ზამთარი სფა-
ნეთში? რა მდგრადარეობაშია მიმოსვლა სფანეთში? რატომ არის და-
რიბი ხალხი სფანეთში? სფანეთის ომები ნაწილს ეძახიან თავისუ-
ფალ სფანეთს? რა მდგრადარეობაშია სწავლა-განათლების საქმე სფა-
ნეთში?

რ ა ჭ ა.

რაჭა ზემო იმერეთს ჩრდილოეთით აკრავს იმერეთსა, და რაჭას შუა ამართულია კარგა მაღალი ნაქერალის მთა. მს მთა ოღონისავლეთიდან დასავლეთისაკენ მიიმართება და თითქმის მდ. რიონამდი უწევს. მთელი რაჭა ყოველი მხრით შემოზღუდულია კარგა მაღალი მთებით. აღმოსავლეთით რაჭას საზღვრავს ლიხის მთა, დასავლეთით — სენეთის მთები, ჩრდილოეთით — ძავკასიონის ქედი და სამხრეთით ნაქერალის მთა. ამ საზღვრებ შორის რაჭას სულ მთაგორიანი აღგილები უჭირავს.

ამ ხეობას მდინარე რიონი თითქმის შუაზე სჭრის. ვაკე ადგილებს მხოლოდ რიონის ნაპირებზე თუ შეხვდვბი კაცი, თორემ დანარჩენი რაჭა სულ მთა-გორაკებითაა დაფარული. ამ მაღალი მდებარეობის გამო რაჭაში ძალიან ცივი და გძელი ზამთარი იცის. ზაფხული გვიან იწყება და აღრე თავდება. ამის გამო ჭირნახული ზოგიერთ აღგილებში მოსვლას ვერ ასწრებს (ზემო რაჭაში). საერთოდ მცენარეობა რაჭაში ისე მდიდარი არ არის, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილებში. ჭირნახულში აქ გავრცელებულია სიმიდი და პური. აქაური ნოყიერი ნიადაგი საკმაოთ კარგ მოსავალს იძლევა, მაგრამ ეს მოსავალი მაინც არ ყოფნისთ რაჭველებს წლის საზღოთ, რადგან სახნავ-სათესი აღგილი ძალიან ცოტა არის. მევენახეობას უფრო შვემო-რაჭაში მისდევენ და ზოგიერთ აღგილებში ძლიერ კარგი ხარისხის ღვინოც მოდის. ამ მხრივ სახელგანთქმულია სოფელი ხვანჭკარა, საღაც ალექსანდროულის ჯიშის ვაზი ბლობათ არის გაშენებული. ამ ჯიშის ვაზის ღვინოს ბლობათ აყენებენ სოფ. ხვანჭკარაში შიფიანები და ამიტომ გაზარზე ამ ღვინოს „შიფიანის ღვინოს“ ეძახიან.

ადგილის სივიწროე შინაური ცხოვრების გამრავლებასაც ხელს უშლის. დასამუშავებელი მიწა რაჭაში იმდენათ ცოტაა, რომ მცხოვრებთა ღიღი ნაწილი იძულებული ხდება სხვაგან წავიდეს. სამუშაოს საძებრათ. ქავკასიის ყველა ქალაქები სავსეა რაჭველი მუშებით და მოსამსახურებით. მეთონეთ და კურტნის მუშათ თითქმის სულ რაჭველები არიან. ბევრია აგრეთვე შართლ-ჩახეთში და თბილისში რაჭველი დურგლები, მხერხავები და მებაღები. სწავლა განათლების მხრივ რაჭა ძლიერ ჩამორჩენილია. მხოლოდ მოზღვილ სოფლებში თუ შეხვდება კაცი სამინისტრო და სამრევლო შკოლებს, თორემ პატარა სოფლები სრულიად მოკლებულია ყოველგვარ ასეთ დაწესებულებებს.

რაჭაში მცხოვრებთა რიცხვი 100,000-მდი აღწევს. რაჭველებიც ქართველი ტომის ხალხს ეკუთვნიან. შართველებს გარდა რაჭაში ოთხმოც კომლამდი ებრაელი ცხოვრობს და 30 კომლამდი სომები (ონში).

მთელი რაჭა მხოლოდ ერთს რაჭის მაზრას შეადგენს. აქ შესანიშნავ ადგილებათ ითვლებიან: დაბა ონი, როგორც რაჭის უმთავრესი ადგილი, სადაც არის დაარსებული მთელი მაზრის დაწესებულებანი. ონიდან 13 ვერსის მანძილზე ჩრდილოეთით ძევს სოფ. უწერა, შესანიშნავი თავისი სამკურნალო წყლებით. რაჭაში განთქმულია უწერის სასმელი მჟავე წყალი, რომელიც კუჭის ავათმყოფობასა რგებს, და სააბანო რკინის წყალი. სხვა სოფლებში უფრო საყურადღებოა სოფ. წესი, ამბროლაური, ხვაჭყარა და ბუგეული. ზველა ამ სოფლებში ბლობათ არის გაშენებული ვენახები და კარგი ღვინოც დგება (ხვანჭყარა). სოფელ ბუგეულში 2 ენკენისთვიდან იმართება ღიღი ბაზრობა—იარმარკა. ამ ბაზრობაზე ღიღის ხალხი იყრის თავს სავაჭროთ. სოფ. ნიკორწმინდაში შესანიშნავია ძველ დროში აშენებული ეკლესია. მს ეკლე-

სია აგებულია მეთერომიეტე საუკუნეში წმიდა ნიკოლოზის
სახელზე.

კითხვები:

დაასახელეთ რაჭის საზღვრები. ორგორი მდებარეობა აქეს რა-
ჭის? თავის მდებარეობით და ჭავით ორმედ ქვეყანას უფრო გავს
რაჭა? რა აიტყვებს რაჭელებს სხვაგან წარელას სამუშაოს საძებრათ?
რას აწარმოებენ რაჭელები? რა მდგრადი რეაბილიტაცია რაჭა სწავლა-გა-
ნათლების მხრივ?

დაასახელეთ შესანიშნავი ადგილები რაჭაში.

ლ თ ჩ ხ უ მ ი.

რაჭას ლეჩეუმი აკრავს დასავლეთის მხრით. მს ქვეყანა ისაზღვრება: აღმოსავლეთიდან რაჭით, დასავლეთიდან — სამეგრელოთი, ჩრდილოეთიდან — სვანეთით და სამხრეთიდან — იმერეთით. მთელი ლეჩეუმი მთა-გორიანი ადგილებისაგან შესდგება; ვაკე ადგილი ლეჩეუმში თითქმის არსად მოიპოვება. შავი ზღვის სიახლოვე ამ ქვეყანას საკმაოთ ანოტიოვებს, რადგან ლეჩეუმსა და შავ ზღვას შუა არ არის ამართული არც ერთი შესამჩნევათ მაღალი მთა, რომელსაც შეეძლოს შავი ზღვიდან წამოსული ლრუბლების დაკავება. ამიტომ ლეჩეუმში წვიმები ხშირათ იცის და საერთოდ ჰავაც ნოტიოა. სითბო-სიცივის მიხედვით ლეჩეუმის ჰავა გრილია, რადგან მთელ ამ ქვეყანას მაღალი ადგილი უჭირავს.

მდინარე რიონი ამ ქვეყანას აღმოსავლეთის მხრივ ჩაუდის და ამ მხრიდან მხოლოდ რამდენსამე სოფელს აჭრის ლეჩეუმს. ცხენისწყალი დასავლეთის მხრით უვლის ლეჩეუმს, და ეს მდინარე უფრო სამეგრელოს ეკუთვნის, ვიდრე ლეჩეუმს. მს ქვეყანა მცენარეებით საკმაოთ მდიდარია. ლეჩეუმის მთები დაფარულია ტყეებით; სოფლები სულ ბაღებში და ვენახეებშია გაშენებული და ამიტომ ზაფხულობით და შემოდგომაზე აქაური სოფლები მშვენიერი სანახავია. ლეჩეუმის ჭირნახულში გავრცელებულია სიმიდი. ლეჩეუმში პურსაც და ღომსაც ბლომათა სთესვენ. მევენახეობა შესაძლებელია უფრო ღაბლობ ადგილებში; მდინარე რიონის დაყოლებით კარგი ვენახებიც არის გაშენებული. თითქმის ყველგან ლეჩეუმში კარგი ჯიშის ვაშლი მოდის; ეს ხილი ისე ბლომათ მოდის ლეჩეუმში, რომ გასაყიდათაც ბევრს აგზავნიან შუთაისსა და სხვა ადგილებში. საქონლის მოშენებას ხელს უშლის აქ

ადგილის სივიწროვე. დასამუშავებელი ადგილები ამ ქვეყანაში
იმდენათ ცოტაა, რომ ხშირათ სრულიად მიუვალ მთის კალ-
თებზედაც კი სთესვენ სიმინდს. ლეჩებუმი დასახლებულია ქარ-
თველებით. ხოთ. ლაილაშში ცხოვრობენ აგრეთვე ებრაელე-
ბი და სომხები. მცხოვრებთა უმთავრეს ხელობას მეურნეობა
შეადგენს. ხვნა-თესვა, მევენახეობა და მებაღეობა უფრო მეტ
ყურადღებას იქცევს აქ, ვიდრე მეურნეობის სხვა დარგი. მო-
სავალი აქაურმა ნიადაგმა ძლიერ კარგი იცის, მაგრამ გასა-
ყიდი ჭირნახული ლეჩებუმლებს იშვიათად მოუვათ. ამის მი-
ზეზიც ადგილის სივიწროვა. ამიტომ ლეჩებუმლები იძულე-
ბული ხდებიან თავის ქვეყნის გარეშე ეძებონ სამუშაო. ბავკა-
სის ყველა ქალაქებში ბლომათ არიან ლეჩებუმელი მოსამსა-
ხურები და მუშები. სწავლა-განათლების მხრივ ლეჩებუმლები
არაფრით განირჩევიან რაჭელებისაგან. სასწავლებლები აქაც
ძლიერ ცოტაა და მცხოვრებთა დიდი უმეტესობა წერა-კით-
ხვის უსწავლელათა რჩება.

ლეჩებუმს შეადგენს ერთი ლეჩებუმის მაზრა, რომლის
უმთავრეს ადგილათ ითვლება სოფელი ლაილაში და ცაგერი
ამ ორ ადგილას არის მოთავსებული მთელი მაზრის სასამარ-
თლო და საპოლიციო დაწესებულებანი.

კითხვები:

დასახელეთ ლეჩებუმის მაზრის საზღვრები. თავის მდებარეო-
ბით და ჭავით რომელ ქვეყანას უფრო გავს ლეჩებუმი? რა ჭირნახუ-
ლია უფრო გავრცელებული ლეჩებუმი? ვის ეპუთვნის ლეჩებუმში მა-
შულის უმეტესი ნაწილი? რისგან წარმოსდგება ლეჩებუმლების სიდა-
რიბე? რა მდგომარეობაშია სწავლა-განბოლების საქმე ლეჩებუმში?

დასავლეთი საქართველო

შვეიცარი, რომელიც ჩვენ აქამდი შევისწავლეთ, შეადგენერ დასავლეთ საქართველოს. მთელი დასავლეთი საქართველო ისაზღვრება აღმოსავლეთით სურამის ანუ ლიხის მთით, დასავლეთით — შავი ზღვით, ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედით და სამხრეთით — აჭარა-ახალციხის მთით. დასავლეთი საქართველო შეადგენს შუთაისის გუბერნიას. შუთაისის გუბერნია შეიცავს შვიდ მაზრასა და ერთ საბოჭაულოს.. მს მაზრები არიან: შუთაისის, შორაპნის, ღიურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, რაჭისა და ლეჩებუმის მაზრა. ცალკე საბოჭაულოთ ითვლება სვანეთი. თითოეული მაზრა შესდგება რამდენიმე საბოჭაულოსაგან. საბოჭაულო შეიცავს რამდენსამე სასოფლო საზოგადოებას. საზოგადოებას შეადგენს რამდენიმე სოფელი. მთელ გუბერნიას განაგებს გუბერნატორი, რომელიც ცხოვრობს ქ. შუთაისში.

სამაზრო საქმეებს მართავს მაზრის უფროსი, საბოჭაულოს — ბოჭაული. სასოფლო საზოგადოების უფროსათ ითვლება მამასახლისი, სოფლის გამგებლათ კი მამასახლისის თანაშემწე. ამ ჩამოთვლილ თანამდებობის პირებში გუბერნატორი, მაზრის უფროსი და ბოჭაული მთავრობისაგან ინიშნებიან. მამასახლისს და მის თანაშემწეთ კი სოფლის მცხოვრებლები ირჩევენ.

მთელი ქუთაისის გუბერნია ორი ეპარქიისაგან შესდგება. მსენი არიან იმერეთისა და ბურია-სამეგრელოს ეპარქია. იმერეთის ეპისკოპოსი ცხოვრობს ქალ. შუთაისში, ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი კი ქალ. ფოთში.

კითხვები:

დასავლეთ შეადგი დასავლეთი საქართველოს საზღვრები. ჩა-

მთვალეთ დასავლე. საქართველოს ნაწილები. უკელა ჩემთვალიდ
ნაწილში სად უფრო ცივი ჭავა არის? უკელაზე უფრო თბილი
ჭავა რომელ ნაწილშია? დაასახელეთ დასავლეთი საქართველოს უკე-
ლაზე უფრო გაეგე ადგილი. ჩემთვალეთ დასავლეთი საქართველოს
მცხოვრებლები საფხოსნობისა და სარწმუნოების მისედვით. დასავ-
ლეთი საქართველოს რომელ ნაწილში უფრო მაღლა არის დაუკა-
ბული სწავლა-განათლების საქმე? დაასახელეთ დასავლეთი საქართვე-
ლოს შატრები დაასახელეთ დასავლეთი საქართველოს შესანიშნავი
ჭალაქები და სხვა ადგილები.

გ ა რ თ ლ ი.

შართლს დასავლეთი საქართველოსაგან ჰყოფს სურამის მთა. ამ მთიდან აღმოსავლეთისაკენ შართლი გაჭიმულია დიდ ვაკე აღგილზე და მდინარე არაგვამდი უწევს. ჩრდილოეთით შართლს საზღვრავს ქავკასიონის ქედი, სამხრეთით—თრიალეთის მთა.

შართლის მდებარეობა ყველგან ერთნაირი არ არის. ამ ქვეყნის უმეტესი ნაწილი სრულიად ვაკეა, ხოლო უძვირესი ნაწილი—მთა გორიანი. მთა-გორიანი აღგილები შართლის გაშლილ ველს შხოლოდ გარშემო აქვს შემოვლებული.

შართლის უმთავრესი მდინარე არის მტკვარი; რომელიც არსიანის მთიდან გამოდის. მს მდინარე მიმდართება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, შემდეგ ბორჯომს ქვევით აღმოსავლეთისაკენ უხვევს და ქასპიის ზღვამდი მიდის.

მტკვარს შართლის მიდამოებზე მარცხენა ნაპირიდან სამი თვეალსაჩინო შენაკადი ერთვის. მსენი არიან: ლიდი და პატარა ლიახვი, რომელნიც მტკვარს ერთ მდინარე ლიახვათ ერთვის, მდ. ქსანი და არაგვი. ამ მდინარეებში შართლისთვის შენაკადები უფრო სასარგებლოა, ვიდრე მტკვარი. ამის მიზეზი ის არის, რომ მტკვარი თრიალეთის მთის პირზი მიდის, მეტად ლრმა კალაპოტი აქვს და ამიტომ აქიდან სარწყავი რუების გაყვანა შეუძლებელია. შენაკადები კი ქავკასიონის ქედიდან გამოდის, მაღლობი აღგილიდან დაბლობისაკენ მიდის, შართლის ვაკე ველზე ფართო კალაპოტი აქვთ და ამიტომ სარწყავათაც აღვილი გამოსაყენებელია.

საერთოდ მთელი ქართლი დასავლეთ საქართველოზე ბევრათ უფრო მაღალი აღგილია და ამით აიხსნება, რომ აქ

ჰავა უფრო გრილია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. ჰავის სიცივეს ისიც ხელს უწყობს, რომ შართლის გაშლილ ვაკე-ადგილს ჩრდილოეთით ახლოს აკრავს მუდამ თოვლით დაფა-რული ძავიასიონის მწვერვალები. ზამთარი შართლში უფრო გძელი და სუსხიანი იცის, ზაფხული კი მოკლე და საკმაოთ ცხელი. ისეთი ყინვა და ჭირხლი, როგორიც შართლში იცის, დასავლეთ საქართველოში უეუძღებელია. მთელი ქართლის მუდმივი სტუმარია ორგვარი ქარი. უფრო ხშირათ ქრის და-სავლეთის ქარი, რომელსაც დასავლეთ საქართველოდან შარ-თლში მოაქვს წვიმის ღრუბლები. მს ქარი ხშირათ აქ ისე ძლიერია, რომ მცხოვრებლებს დიდ ზარალს აყენებს. ხანდა-ხან ჭირნახულს სულ ერთიანათ დააგებს ხოლმე.

აღმოსავლეთის ქარი სრულიად მშრალია და ზაფხულო-ბით ცხელი. მცენარეულობას ეს ქარი დიდ ზარალს აყენებს, ნამეტურ ზაფხულში. შართლის ჰავა დასავლეთ საქართველოს ჰავასთან შედარებით მშრალია. ჰავის სიმშრალე შართლში იქიდან წარმოსდგება, რომ ეს ქვეყანა დაშორებულია შავ ზღვას, საიდანაც დასავლეთის ქარს მოაქვს წვიმის ღრუბლები. ამ ღრუბლების უმეტესი ნაწილი სურამის მთის გადაღმა ქარს ვერ გადააქვს და ამიტომ შართლში ისე ხშირი წვიმა არ იცის, როგორც დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთის ქარს შართლში წვიმის ღრუბლები სრულიად არ მოაქვს, რის გამო ჰავა აქ ჭიდევ უფრო შრება.

ხმელი და გრილი ჰავა არის იმის. მიზეზი, რომ ქართლ-ში ბევრი ისეთი მცენარე ვერ ხეირობს, რომელიც დასავ-ლეთ საქართველოში კარგათ ვარგობს. ზოგ მცენარეს, რო-გორც მაგალ., ლელვს, ბროჭულს, უნაბს და სხვ. უყვარს თბილი ჰავა და ამიტომ შართლის ცივ ჰავაში ვერ ხეირობს. ისეთი მცენარეები კი, რომელთაც სიცივის არ ეშინიათ, შართლში მშვენიერათ ხარობს. ვაშლი, მსხალი, ატამი და სხვა შართლში ბლომათ არის და საუკეთესო ხილსაც იძლევა. აქაური ხილი ბევრათ უფრო ტკბილია დასავლეთ საქართვე-

ლოს ხილზე, უფრო დიდხანსაც ინახება და შორს წალებასაც ადვილათ იტანს. მშრალი ჰავის გამო აქაური ხილი ნაკლებ წყლიანია, ზაფხულის სიცხე კი კარგათ ამწიფებს და მეტ სიტყბოსაც აძლევს. მშრალი და კარგათ დამწიფებული ხილი უფრო დიდხანსაც ინახება და შორს წალებასაც იტანს. მართლის ზოგიერთ ადგილებში ხილი იმდენი მოდის, რომ ბევრი სხვა ქვეყნებშიაც იგზავნება. თბილისის ბაზარი ხომ უმეტესად მართლის ხილით ვაჭრობს. მევენახეობას ხელს უშლის მართლში ცივი ჰავა. გაზს სიცივე არ უყვარს და ამიტომ მართლის უმეტეს წილ ადგილებში ვაზი სრულიად არ ხეირობს. აქაურ სიცივეს ეს მცენარე უძლებს მხოლოდ ისეთ ადგილებში, რომელნიც მოფარებული არიან გორაკებსა და მაღალ ადგილებს. ამიტომ ვენახებს აწენებენ მხოლოდ დაბლობ ადგილებში, ხევებში და მდინარის ნაპირებზე. საღაც ქავეასიონის ქედიდან მოსული „თელხი“ (ცივი ქარი) ხვდება, იქ ვაზი სრულიად არ ხეირობს. თუ არის სადმე ციცტა მაღალ ადგილებზე ვენახი, იქ ვაზი ზამთრობით უთუოდ უნდა დაიმარხოს. გაზის დამარხვა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ვაზის ძირში იღებენ თხრილს ვაზის სიგდეზე, შიგ აწვენენ ვაზს. და ზემოთ მიწას აყრიან. ამგვარათ დაწვენილი ვაზი ზამთარში არ იყინება და აქაურ სიცივეს უძლებს. დაბლობ და მოფარებულ ადგილებში ვაზს დამარხვა არ ჭირდება, თუმც ასეთ ადგილებშიაც კი ხშირათ იმსხვერპლებს ვენახებს ყინვა. ზოგიერთ სოფლებში ვენახები ბლობათ არის გაშენებული და კარგი ღირსების ღვინოც დგება. ასეთ ადგილებათ ითვლება მართლში სოფ. ხიდისთავი, ატენი, მეჯვრის ხევი, მუხრანი, დამპალა და სხვა. მეურნეობაში მართლში პირველი ადგილი ხვნა-თესვას უჭირავს.

ჭირნახულში ყველაზე მეტს აქ პურსა სთესვენ, შემდეგ სიმიდს და ქერს. საერთოდ აქ ჭირნახულის მოყვანას დიდი შრომა ჭირდება, რადგან მოურწყავად მოსავალი იშვიათად მოვა. აქაური ნიადაგი ძლიერ ნაყოფიერია, მაგრამ მუდმივი

ქარი, ზამთრის ყინვა და ზაფხულის სიცეე ძლიერ ახმობს ამ ნიადაგს და წლის განმავლობაში თუ რამდენჯერმე მაინც არ მოირწყო, ისე მოსავალს არ იძლევა. ამიტომ აქ გავრცელებულია მიწის ხელოვნური რწყვა. ამას ხელს უწყობს მართლის ვაკე მდებარეობა და მდინარეების გაშლილი კალაპოტებიც. მდინარიდან გაყავთ დიდი არხი, არხიდან რუები და ამნაირათ მთელი მართლის სახნავ-სათესი ადგილები დაღარულია სარწყავი რუებით. რუებით სარგებლობა მოწესრიგებულია მცხოვრებლებს შორის და ამ წეს-რიგის შესრულებას თვალ-ყურს აღევნებს ამისთვის საგანგებოთ დაყენებული პირები, რომელსაც მირაბებს და მერუეებს ეძახიან. რწყვას გარდა მართლში მიწის მუშაობას ისიც აძნელებს, რომ გუთანუ 7—8 უღელი ხარი უნდა შეაბან. ამის მიზეზი ის არის, რომ ნიადაგი აქ მეტად მაგარია, ზაფხულობით ზედა პირი მალე უშრება და, თუ მიწა ლრმათ არ მოიხნა, მცხნარეულობა სულ ერთიანად ამოხმება. შრომის ასეთი სიძნელე საშვალებას არ აძლევს აქაურ მიწის მუშას ბევრი მიწა მოხნას და ამიტომ მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს საყოფი მოსავალი ვერ მოყავს. ხაერთოდ მართლში ჭირნახული ბლომათ მოდის. აქ მოსული პური და სიმიღი სხვა ქვეყნებშიაც გააქვთ გასაყიდათ.

ადგილის ვაკე მდებარეობის გამო აქ სახნავი ადგილები ბევრია და ამიტომ ერთსა და იმავე მიწას ყოველ წელს არა ხნავენ. დასასვენებლათ დატოვებულ მიწებზე კარგი ბალახი იზდება და ამიტომ საძოვარი და სათივე ადგილები ბლომათა აქვთ. მს გარემოება ხელს უწყობს მართლში შინაური ცხოველების მოშენებას. აქ ხშირია ისეთი გლეხის ოჯახი, რომელსა 30—40 სული სხვილფეხი საქონელი ყავს. წვრილფეხ საქონელში მართლში გავრცელებულია ცხვრის მოშენება. ცხვრის ფარებს ზაფხულში მთებში აძლევენ, ზამთრობით კი ბარში ინახვენ.

მართლის ზოგიერთ ადგილებში მეაბრეშუმეობის წარმო-

ებაც შეიძლება, მაგრამ მეურნეობის ეს დარგი მართლში ჯერჯერობით ფეხს ვერ იკიდებს.

მართლის მეურნეობაში მებოსტნეობას თვალსაჩინო აღ-
დგილი უჭირავს. შეა მართლის ზოგიერი ხეობებში ბლომათ
მოყავთ ძალიან კარგი ჯიშის კომბოსტო. მას ბოსტნეული
დიდძალი იყიდება როგორც ქ. თბილისში, ისე ძავკასიის სხვა
ქალაქებშიაც. მართლის გარშემო მდებარე მთაგორიან აღგი-
ლებში სახლობენ ოსები, რომელნიც ერბოსა და ყველს აკე-
თებენ.

ქართლის პოლიტიკური მეცნიერებელი.

მთელი შართლის შევიდრი მცნოვრებლები არიან ქართველები, რომელთაც ქართლელებს ეძახიან. შართველების რიც-



ქართლელი.

ხვი მთელ შართლში 300,000 უდრის. მათ გარდა აქ ცხოვრობენ სომხები და ებრაელები.

შართლის გარშემო მდებარე მთების კალთები დასახლე-

ბულია ოსებით. უკველა ეს ხალხი შეადგენს 100,000 მცხოვრებელს. მართლელები მიწის მუშაობას მისდევენ. მეურნეობაში ხვნა-თესვას პირველი ადგილი უჭირავს. თესვენ პურს, სიმიღს, ქერსა და შვრიას. მევენახეობაც შესაძლებელია ზოგიერთ ადგილებში და ამიტომ მეურნეობის ამ დარგსაც საპატიო ადგილი უჭირავს. ქართლელების ცხოვრებაში. შინაური საქონლის მოვლა-მოშენებაც საკმარისათ არის მართლშიგვრცელებული. მებაღეობასა და მებოსტნეობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მართლის მეურნეობაში.

სწავლა-განათლების მხრივ ქარლელები ძალიან ჩამორჩენილი არიან. აქაურ სოფლებში შკოლა იშვიათ მოვლენას შეადგენს. მხოლოდ დაბებსა და დიდ სოფლებში თუ შეხვდება კაცი სამინისტრო შკოლას. მიუხედავათ იმისა, რომ მართლში ჭირნახულიც ბლომათ მოდის, შინაური საქონელიც ბევრი ყავთ და საერთოდ მეურნეობის თითქმის ყველა დარგს ნოუიერათ აწარმოებენ, ქართლელები შაინც ძლიერ ღარიბათ ცხოვრობენ. ამის მიზეზი ის არის, რომ აქაურ მურომელ ხალხს, გლეხკაცობას, სრულიად არა აქვს არც სახნავ-სათესი და არც საკუთარი საძოვარი ადგილები. მთელი ქართლის მიწა-წყალი აქაურ მემამულეებს ეკუთვნის და მიწის მუშა გლეხი სამუშაო მიწაში დიდ ღალას იხდის. ლალა ადევს საძოვარ ადგილებს, ტყეს და სარწყავ წყალსაც. მუშაობა აქ ძლიერ ძნელია; ბევრი მიწის დამუშავებას გლეხი ვერ ახერხებს და ამიტომ გასაყიდი ჭირნახული ვერ მოყავს. საქართველოს არც ერთ კუთხეში არ არის ისე დაბეხვებული გლეხკაცობა, როგორც მართლში. ფეხზე ქალამანი და ტანზე რუსის ფარაჯა შეადგენს მის ჩვეულებრივ სამოსელს. ზღების უმეტეს ნაწილს თავის საცხოვრებელი სახლები მიწაში აქვთ მოთავსებული. ასეთ გომურებში ცხოვრობენ თვითონაც მთელი ზამთრის განმავლობაში და საქონელსაც იქ ინახავენ. ასეთ პირობებში ცხოვრება, ცხადია, კარგათ არ იმოქმედებს ქართლელი გლეხის ჯანმთელობაზე. სიღარიბის

გამო საკმაო სასმელ. საჭმელიც არა აქვს გლეხკაცობას და ეს კიდევ უფრო აუტანელათ ხდის მიწის მუშის ბეღს. შართლელი გლეხი ფულის საშოვრათაც იშვიათად მიღის სხვა ქვეყნებში. იგი არამც თუ შორს სამუშაოს საძებრათ, არამედ



ქართლელი ქალი.

იქვე შართლზე მიმავალ რკინის გზის ლიანდაგზედაც იშვიათად გავა სამუშაოთ. ამის გამო ქართლელი გლეხი ძლიერ ხელმოკლეთ ცხოვრობს, ფულს ვერ შოულობს და, საჭიროების დროს იძულებული ხდება ლიდალი სარგებელი აძლიოს ფულში აქაურ მევახშეებს. ასეთი მევახშეები კი,

რასაკვირველია, აქ ისინი არიან, ვინც ვაჭრობას აწარმო-
ებენ, ვისაც ფულთან აქვთ საქმე. ჩალოობას და შენოდგო-
მაზე მთელ ჩართლში დაძრწიან აუარებელი მევახშეები და
ჩარჩები, რომელნიც გლეხის მთელ მოსავალს ფულის სარგე-
ბელში ითვისებენ. მრთი მხრით მებატონ ეების ღალა-ბეგარა,
მეორე მხრით სახელმწიფო და სხვა გადასახადები უკიდურეს
მდგომარეობაში აგდებენ აქაურ გლეხებს. ამნაირათ დაბეჭა-
ვებულს და გაჭირვებულ ხალხს სწავლა-განათლებაზე ფიქრი
და ზრუნვა შესაძლებლათ არ მიაჩნია და არც იწუხებს თავს
მისთვის ხარჯის გაწევით. მძიმე შრომისაგან წელში გაწყვეტი-
ლი გლეხკაცობა მუდამ დედამიწას ჩასჩერებია და, თუ ოდე-
სმე თავს ზევით ასწევს, მხოლოდ იმისთვის, რომ ზევით ცას
შეხედოს და ლმერთს გამოსთხოვოს კარგი მოსავალი და ოჯა-
ხის წევრთა ჯანმრთელობა. მისი ბედი ლვთის განგებაზეა და-
მყარებული და მის მოსამაღლიერებლიათ არავითარ საშვალე-
ბას არ ზოგავს ქართლელი გლეხი. საქართველოს არც ერთ
კუთხეში არ არის გავრცელებული სალოცავ ადგილებში სი-
ართული და ხატობა ისე, როგორც ჩართლში. მთელი ზაფხუ-
ლი და შემოდგომა აქაურ გლეხს სალოცავებსა და ხატობაზე
სასიარულოთ უნდება. ასეთი გადაჭარბებული ხატობა რამდე-
ნათმე აფერხებს ქართლელი გლეხის ცხოვრებას. ხატობაში
წასასვლელათ ქართლელი გლეხი მთელი წლის განმავლობაში
ემზადება. გაათავებს თუ არა რთველის, მაშინვე სალოცავათ
წასვლისათვის თავდარიგს შეუდგება. უნდა მოამზადოს ურემი,
საგზალი, შესაწირავი და ბევრი სხვა. სალოცავათ მიდის მთე-
ლი ოჯახობა ღიღიან-პატარაიანათ. ვისაც შეთქმული აქვს, ფეხ-
შიშველა მიდის თეთრ ტანთსაცმელში გამოწყობილი. ღიღია-
ლი მლოცველები დაღიან ჩართლში სოფ. არბოში, საღაც-
თერთმეტ მარიამბისათვიდან ღლესასწაული თცდახუთამდი
გრძელდება. მს სოფელი არის პატარა ლიახვის პირზე, ზორი-
დან ოცდახუთი ვერსის მანძილზე. თვითონ ნამდვილ სა-
ლოცავი, არბოს ხატი, კი დასვენებულია ამ სოფლიდან

კარგა მოშორებით, ასე ათი-თორმეტი ვერსის მანძილზე, მაღალ მთაზე. მლოცველები სოფელ პრბოში იყრიან თავს; აქ იმართება ფარდულები და კარვები მომსვლელთათვის; მთელი ორი კვირის განმავლობაში აქ გაჩაღებულია ვაჭრობა და ქიფი.

აღმოსავლეთ საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდიან აქ, როგორც მლოცველები ისე ვაჭრები და მოქეთეები. თუმც დღთისმშობლის სახელის ეკლესია ქვია, მაგრამ უძლიერეს სალოცავ ხატათ ითვლება ის, რომელიც დასვენებულია მთაში, აჩბოს ეკლესიაში; ამიტომ მლოცველთა უმეტესი ნაწილი ღამის სათევად და შესაწირავათ იქ მიდის. მთელი ორი კვირის განმავლობაში ცხინვალის გზატკეცილი სავსეა დაჩარდახებული ურმებითა და თეთრად შემოსილი მლოცველებით.

ასეთი დღესასწაულები ბუკ სხვა აღგილსაც იციან შართლში და თითქმის ყოველ წლის ურიცხვი ხალხი ეტანება ასეთ სალოცავ ადგილებს.

სომხები შართლში უფრო ქალაქებში და დაბებში ცხოვრობენ. მათ უმთავრეს ხელობას ვაჭრობა შეადგენს. ზოგიერთ სოფლებშიაც ბლომათ ცხოვრობენ სომხები. მსენი თითქმის ყველანი მიწის მუშები არიან და ქართველებისაგან არაფრით გაირჩევიან გარდა სარწმუნოებისა. სომხური ენა აქაურმა სომხებმა თითქმის სულ არ იციან; ყველანი ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. წირვა-ლოცვას და სხვა დღისმასახურების კი სომხურ ენაზე ასრულებენ.

ებრაელები აქ არიან დასახლებული დაბა სურამში, ცხინვალში, შარელში და ქალ. დუშეთში. შეველა ესენი ვაჭრობას მისდევენ.

მთელი შართლი ორი მაზრისაგან შესდგება. მსენი არიან: ზორისა და დუშეთის მაზრა. ზორის მაზრაში შესანიშნავ ადგილებათ ითვლებიან: სამაზრო ქალაქი ზორი, რომელიც მდებარეობს იქ, სადაც ლიახვი ერთვის მტკვარს. ამ ქალაქის შუაზე, ამაღლებულ გორაკზე, აშენებულია კარგა მოზღიული ზორის ციხე, რომელიც იმოდენაა, რომ მტკრის შემოსევის

დროს მთელი ქალაქის მცხოვრებლებს და ჯარს იტევდა. გორ-
ში არის დაარსებული სამასწავლებლო სემინარია, საქალებო და
სავაჭო გიმნაზია, სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებელი
და რამდენიმე სამრევლო შკოლა. ბორის მაზრაშივეა დაბა
სურამი, რომელიც მაღალი მდებარეობის გამო კარგ სააგარა-
კო ადგილათ ითვლება. სურამშიაც აგებულია კარგი დიტი
ციხე, რომლის შესახებაც გავრცელებულია ხალხის მოკლე
ლექსი:


სურამისა ციხე,
სურვილითა გნახე.
ჩემი ზურაბ მანდ არის,
კარგათ შემინახე!

საუკეთესო სააგარაკო ადგილათ ითვლება აგრეთვე ბორ-
ჯომის ხეობაში მდებარე დაბა ბორჯომი. აქ არის ჯანმთე-
ლობისათვის მარგებელი სასმელი მუსე წყალი, რომელიც შო-
რეულ ქვეყნებიდანაც კი იზიდავს მრავალ მოაგარაკეს.

ბორიდან აღმოსავლეთისაკენ, 8 ვერსის მანძილზე, არის
სოფ. უფლის—ციხე, რომელიც შესანიშნავია მით, რომ აქ
ძველ დროში კლდეში ყოფილი გამოქვაბული მთელი სოფე-
ლი, თუ ქალაქი. ახლა ამ გამოქვაბულ სოფელში აღარავინ
ცხოვრობს, მაგრამ მნახველს შეუძლია დაათვალიეროს ეს გა-
მოქვაბული და წარმოიდგინოს, თუ რა გაჭივრება უნდა დგო-
მადა ხალხს იმ დროს, როდესაც ასეთ საცხოვრებელ ადგი-
ლებს იმზადებდა. რკინის გზის სადგურ შენიდან ჩრდილოეთით,
8 ვერსის მანძილზე, მდებარეობს სოფ. მუხრანი. მთელი ეს
სოფელი და მისი მიდამო აღგილები ეკუთნოდა მუხრან ბა-
ტონს, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინათ მთელი ეს მამულე-
ბი შეიძინა საუფლისწულო უწყებამ. ამ უამათ იქ გაშენებუ-
ლია დიდალი ვენახები და ამზადებენ თუარებელ ღვინოს.
რომელსაც ბაზარზე მუხრანის ღვინის სახელწოდებით ჰყიდიან.

სადგურ შენისა და მცხეთას შუა, მტკვრის მარცხენა

ნაპირზე, მიუვალ კლდეებში აგებულია შიო მლვიმელის მონასტერი. ამ მონასტერს კარგა ბლომათა აქვს თავისი საკუთარი მამული და თავის შემოსავლით თითქმის 30 ბერს ინახავს.



მცხეთის ტაძარი.

საღგური მცხეთის მახლობლათ, სოფ. მცხეთაში, აგებულია ლირსშესანიშნავი მცხეთის ტაძარი. ეს ტაძარი იქცევს მნახველის ყურადღებას თავის სიღიღით და უძველესი ხუროთმოძღვრებით. უწინდელ დროში მცხეთა სატახტო ქალაქი ყოფილა ახლა კი მხოლოდ პატარა სოფელი არის. მცხეთის ტაძარსა და მის გალავანში დასაფლავებულია საქართველოს რამდენიმე შეფე.

სოფელი მუხრანი და მცხეთა მდებარეობს ღუშეთის მა-

ზრაში. ამ მაზრის უმთავრეს ქალაქათ ითვლება დუშეთი, საღაც რამდენიმე დაბალი სასწავლებელია დაარსებული. დუშეთის მახლობლათვე არის დაბა ახალგორი, საღაც მცხოვრებთა დიდ უმეტესობას სომხები შეადგენენ.

თბილისის მაზრის იმ ნაწილში, რომელიც ძართლს ეკუთვნის, მდებარეობს მთელი საქართველოს უპირველესი ქალაქი თბილისი. თბილისი მეხუთე საუკუნემდი სოფელი ყოფილა და მხოლოდ ამ დროს გადაუკეთებია ის ქალაქათ მეფე ვახტანგ ბორგასლანს. ამ დრომდი საქართველოს უპირველეს ქალაქათ ითვლებოდა მცხეთა. ამის შემდეგ კი საქართველოს სატახტო ქალაქათ გახდა თბილისი. ამ ქალაქში საყურადღებოა სიონის ტაძარი, რომელიც აშენებულია იმავე მეფე ვახტანგ ბორგასლანის მიერ. თბილისი ამ უამათ მთელი ძავკასიის უმთავრეს ქალაქათ ითვლება. ამ ქალაქში ცხოვრობს მეფის მოადგილე; აქვეა დაარსებული მთელი ძავკასიისთვის უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებანი. ამ ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი $250,000$ -ს აღემატება. მცხოვრებთა მეტი წილი სომხებია. ძართველებსა და სომხებს გარდა აქ ცხოვრობენ თიოქმის ყოველი ხალხის წარმომადგენლები. ბლომათ არიან აქ დასახლებული სპარსელებიც.

თბილისს სწავლა-განათლების მხრივაც პირველი ადგილი უჭირავს მთელ ძავკასიაში. ამ ქალაქში არსებობს უმაღლესი კურსები ქალებისათვის, საოსტატო ინსტიტუტი, სასულიერო სემინარია, ხუთი სავაჟო კლასიკური გიმნაზია, რამდენიმე საქალებო გიმნაზია, სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზია და მრავალი სხვა საშვალო და დაბალი სახელმწიფო და საზოგადო სასწავლებელი. ვაჭრობისა და მრეწველობის მხრივაც ქ. თბილისს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. აქ ვაჭრობა უფრო სომხებს აქვთ ხელში ჩაგდებული. მრეწველობაშიაც სომხები ბატონობენ, ქართველები კი უფრო მუშები არიან.

ადგილ-მდებარეობა თბილისს ვერა აქვს მოსაწონი. მს ქალაქი შუაში ჩაღრმავებულია და გარშემო კარგა მაღალი

ტიტველი მთებითაა შემოფარგლული. ჭაფხულობით აქ ძალიან ცხელა და ამიტომ, ვისაც კი შეძლება ხელს უწყობს, სააგარაკოთ მიღის. თბილისის ბუნებრივის სიმღიდრეს შეაღენს გოგირდის ცხელი წყალი, რომელიც ბლომათ გამოდის ქალაქის სამხრეთ ნაწილში. ვს ცხელი წყალი იხმარება სააბანოთ და ამიტომ ქალაქის იმ ადგილში, სადაც ეს წყალი გამოდის, აგებულია რამდენიმე აბანო. თბილისში ლირს შესანიშნავ და თვალსაჩინო ადგილათ ითვლება მთაწმინდა, სადაც აგებულია წმინდა დავითის ეკლესია. ამ ეკლესიის გალავანში არიან დასაფლავებული გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი პიფიანი და დიდებული პოეტი ილია ჭავჭავაძე. აქვე ასაფლავია რუსეთის გამოჩენილი მწერალი ბრიბოედოვი.

ხელურადღებოა თბილისში აგრეთვე მუზეუმი. ამ მუზეუმში ირის მოთავსებული ბევრი ისეთი რამ, რის ნახვაც ნათელ წარმოდგენას აძლევს მნახველს ძავისის სხვადასხვა ხალხებსა, მათ ზე-ჩვეულებასა, მეურნეობასა და სხვაზე.

ო ს მ თ ი.

თუმცა მსეთი საქართველოს ნამდვილ ნაწილს არ შეაღენს, მაგრამ იმდენათ არის დაახლოებული ჩვენს ქვეყანაზე, რომ მისი გაცემბა ჩვენთვის ფრიად სასარგებლო იქნება. ვს ქვეყანა მოთავსებულია ძავისიონის ქედის შუა წელში. მდებარეობს ხევსურეთსა და სვანეთს შუა. მრთი ნაწილი ამ ქვეყნისა ძავისიონის ქედის ჩრდილო კალთებზეა გაშენებული, ხოლო მეორე ნაწილი ამავე ქედის სამხრეთ კალთებზე. იქითა მსეთს ჩრდილო მსეთს ეძახიან, აქეთას—სამხრეთ მსეთს. ჰავა ამ ქვეყანაში მეტად ცივია, რაღაც ამ ქვეყნის შუა ადგილი უჭირავს მუდმივი თოვლით დაფარულ ძავისიონის ქედს. ამის გამო აქ არავითარი ჭირნახული არ მოღის გარდა ქერისა. ვაზს აქ სრულიად ვერ შეხვდებით.

ოსების უმთავრეს საქმეს შინაური საქონლის მოშენება შეადგენს. ამას ხელს უწყობს აქ მთის საუცხოვო საძოვარი აღილები. ბლომათ აშენებენ ოსები ცხვარს და საუკეთესო ყველის მკეთებლებათაც ითვლებიან. მსური ყველი ცნობილია როგორც დასავლეთსა, ისე აღმოსავლეთ საქართველოშიც. მიუხედავათ ამისა მსეთი ძლიერ ღარიბი ქვეყანაა. სილარიბე უფრო საგრძნობელია სამხრეთ მსეთში. ამ სილარიბით აიხსნება ის გარემოება, რომ ოსები ბლომათ არიან დასახლებული საქართველოში. აქ ისინი ესახლებოდენ ქართველ მემამულეების მიწებზე განსაზღვრული პირობით და ამ გვარით ხდებოდენ საქართველოს მკვიდრ მცხოვრებლებათ. მს განსაზღვრული პირობები იმდენათ ხელსაყრელი იყო უმიწაწყლო თავებისათვის, რომ სრულიად არ ერიდებოდენ სხვის მამულზე დასახლებას. მემამულე დასახლებულ თესლებიდათ თავის ბინიდან და თავის ჩებით ვერც გადასახადს მოუმატებდა. ასეთ დამოკიდებულებას ეძახოდენ ხიზნურ, დამოკიდებულებას და მათ კი ხიზნებს.

ხიზანი თავები დღესაც ბლომათ არიან საქართველოს მთიან აღგილებში. შართლის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი სულ თავებით არის დასახლებული. ხიზანი თავები ტრიალეთის მთაშიაც ბლომათ არიან. ხიზნური დამოკიდებულება ამ უამათ სადაოთ არის გამხდარი, რაღაც ახლანდელი მემამულეებისათვის ხელსაყრელი აოარ არის ძველი პირობებით ხიზნებისათვის მამულის მიცემა.

მსები ცალკე ტომის ზალხს შეადგენენ. შართველებთან მათ არავითარი ნათესაობა არა აქვთ, მაგრამ საქართველოსთან დაახლოებამ ისინი ძლიერ მჭიდროთ შეკავშირა ქართველებთან. მს შეკავშირება უფრო თვალსაჩინოა სამჩრეთის ნაწილის თავებისა.

როგორც ზევითა ვსთქვით, ეს თავები უმეტეს ნაწილათ საქართველოს ხიზნებათ გამხდარან, მუდამ ქართველებში ტრიალობენ და ნათესაურ კავშირსაც ხშირათ კვრენ მათთან.

მნა მათ თავისი აქვთ, მაგრამ ქართულათაც თავისუცლათ
ლაპარაკობენ.

სარწმუნოებით ოსები ძველ დროში მაჰმადიანები იყვნენ;
მაგრამ ამ უამათ თითქმის ყველა ქრისტიანია. ამ ბოლო
დრომდი მათ თავისი საკუთარი ანბანი არა ქონდათ და ჩრდი-
ლოეთში ღვთისმსახურებას რუსულ ენაზე ასრულებდენ,
სამხრეთ რსეთში კი—ქართულათ. ამ უკანასკნელ დროს ოსები-
მა საკუთარი ანბანი შეიმუშავეს და საღვთო წერილის წიგ-
ნებიც ამ ანბანით დაიწერეს.

რსები სწავლა—განათლებას ძლიერ ეტანებიან და კარგ
ნიჭია და მუყაითობას იჩენენ. იარსებენ შკოლებს, წიგნთსა-
ცავებს და ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებებს. ბევრი
მათგანი განათლებას იღებს რუსეთის საშვალო და უმაღლეს
სასწავლებლებშიაც.

ოსეთის უმთავრეს ქალაქათ ითვლება კავკავი. ამ ქალაქ-
ში არსებობს გიმნაზიები ქალებისა და ვაჟებისათვის, რე-
ალური სასწავლებელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოებისაგან დაარსებული კარგათ
მოწყობილი ქართული შკოლა და მრავალი სხვა დაბალი სა-
სწავლებელი... რსეთში სხვა საყურადღებო ადგილები: ჭავა,
ალაგირი და არდონი. ჭავა სამხრეთ რსეთშია, ალაგირი და
არდონი კი ჩრდილო რსეთში.

რიცხვით ოსები 200,000-დი იქნებიან.

პ ა ხ ე თ ი.

აღმოსავლეთი საქართველოს მეორე კარგა მოზრდილ
ნაწილს ძახეთი შეადგენს. ძახეთი შემდეგი ნაწილებისაგან შეს-
დგება: საკუთარი ძახეთი, ძიზიყი, საინგილო, თუშეთი,
თიანეთი და ვშავ-ხევსურეთი. მთელ ძახეთში 400,000 მცხოვ-
რებელი ითვლება. დასავლეთიდან ამ მხარეს საზღვრავს მდ.

არაგვი, აღმოსვლეთიდან და ჩრდილოეთიდან -- ქავკასიონის ქედი და სამხრეთიდან — მდ. მტკვარი. მთელ ქახეთს შუაზე ჰყოფს კარგა მაღალი ცივ-ზომბორის მთა. ეს მთა იწყება ქავკასიონის ქედიდან და მიიმართება სამხრეთისაკენ. მოხაზულობა ამ მთას ნამგლის მზგავსი აქვს. ამ ნამგლის ზურგისაკენ არის ზარეთ-ქახეთი, ხოლო მოხრილი გვერდისაკენ -- შიგნით-ქახეთი. შიზიყი, საინგილო და თუშეთი შიგნით-ქახეთს ეკუთვნიან, თიანეთი და ფშავ-ხევსურეთი -- ზარეთ-ქახეთს. ზარეთ-ქახეთი ირწყვის მდინარე იორიო, შიგნით-ქახეთი -- მდ. ალაზნით. მრივე ეს მდინარე ქავკასიონის ქედიდან გამოდის, სამხრეთისაკენ მიიმართება, აქ ცივ-ზომბორის მთის ბოლოზე ერთმანეთს უერთდება და მდინარე მტკვარს ერთ მდინარეთ ერთვის. ზარეთ-ქახეთი თავისი მდებარეობითა და ჰავით უფრო ძართლას ჰგავს, შიგნით-ქახეთი კი შევმო იმერეთს. ზარეთ-ქახეთის უმეტესი ნაწილი ვაკეა. შიგნით-ქახეთი შუაზე ჩალრმავებულია, აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა და დასავლეთისკენ კი ამაღლებული. ქახეთის ამ ნაწილს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან აფარებული აქვს ქავკასიონის მთები, დასავლეიიდან კი ცივ-ზომბორის მთა. ამ ორ მთას შუა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიიზღაზნება; მდინარე ალაზანი. ამ მდინარის ორსავე ნაპირზე კარგა ფართო ვაკე აღგილი მიყვება; ამ ვაკე აღგილს ალაზნის ველს ეძახიან. თავის ბუნებრივი სიმდიდრით და სიმშვენიერით ალაზნის ველი მთელ საქართველოში ერთ საუკეთესო აღგილათ ითვლება. ჰავა აქ ზომიერია: აღმოსავლეთის ცივი ქარი შიგნით ქახეთს თავისუფლათ ვერ ხვდება (რატომ?). დასავლეთის ქარი ცივ-ზომბორის მთაზე აღვილათ გადაღის და თან გადააქვს წვიმის ღრუბლები. სამხრეთის მხრით ეს ქვეყანა სრულიად გაშლილია და აქიდან აღვილათ შემოდის ნელ-თბილა ქარი, რის გამოც ჰავა აქ არც ძალიან ცხელდა და არც ცივი. ჩანმთელობისათვის აქაური ჰავა საერთოდ არ არის მავნებელი, მაგრამ ზოგიერთ აღგილებში კი იმდენათ ცუდია

რომ თითქმის შეუძლებლათ ხდის აქ ცხოვრებას. ბლაზნის ველზე საშინელი ციებ-ცხელებისაგან რამდენიმე სოფელი სრულიად ამოწყვეტილა. ციებ-ცხელება უფრო ხშირათ იცის საერთოდ ბლაზნის ნაპირების დაცუმულ ადგილებში. საკმაო სინოტიე და ზომიერი სითბო-სიცივე ხელს უწყობს მცენარე-ულობის სიმდიდრეს. შიგნით ძახეთი თავის მცენარეებითაც ძალიანა ჰგავს ზემო იმერეთს: ყველა მცენარე, რომელიც ზემო იმერეთში ვარგობს, შიგნით ძახეთშიაც კარგათ ხეირობს, აქ კი ყველა ეს მცენარე მშვენიერად იზდება. ზამთარში აქ არ იცის დიდი ყინვები, ზაფხულში კი ნაშეტანი სიცხე, ამიტომ აქ ძალიან კარგათ ხარობს ვაზი. ამ მცენარის მოვლა-მოშენებას შიგნით კახეთის მეურნეობაში უპირველესი ადგილი უჭირავს. მოელი ალაზნის ველი და იქით-აქით მთის კალთები საუცხოო ვენახეებითაა დაფარული. მცხოვრებთა უმთავრესი ყურადღება ვენახების მუშაობაზეა მრქცეული. შიგნით კახეთის უმეტესი ნაწილი სახელვანთქმულია თავისი საუკეთესო კახური ღვინით. ისეთი ღვინო, როგორიც შიგნით-ძახეთში მოდის, საქართველოს არც ერთ კუთხეში არა დგება. მეურნეობის სხვა დარგები შიგნით-ძახეთში იმდენათ საყურადღებო არაა. მოყავთ აქ პური. სიმიდი და სხვა ჭირნახული, მაგრამ იმდენი არა, რამდენიც საჭიროა ადგილობრივ მცხოვრებთა გამოსაკვებათ. ღვინის მოსავლით ცნობილია ძახეთის უმეტესი ნაწილი, აგრეთვე ბლომათ მოყავთ სიმიდი, პური, ფეტი და სხვა. შიგნით ძახეთში საკმაო ყურადღება აქვს მიქცეული შინაური საქონლის მოვლა-მოშენებასაც. აქ ხშირათ შეხვდებით ისეთ მოსახლეს, რომელსაც რამდენიმე ათასი ცხვარი და გუთნეული საქონელი ჰყავს.

საერთოდ ძახეთში ბლომათ არის ჭალებში გარეული ფრინვლები: ხოხობი, გნოლი, ლალლა, კაკაბი, მწყერი და ხხვა. ამის გამო ამ ქვეყანაში ფრინვლებზე ნაღირობაც ხშირათ იციან ხოლმე.

მთელი შიგნით ძახეთი ორ მაზრისაგან შესდგება. მსენი არიან თელავისა და სიღნალის მაზრები. თელავის მაზრა მდებარეობს შიგნით-ძახეთის ჩრდილოეთ ნაწილში, სიღნალის მაზრა კი სამხრეთსა და დასავლეთ ნაწილში. ტრივე მაზრის მცხოვრებთა უმეტესობას ქართველები შეადგენენ. ამათ გარდა აქ ცხოვრობენ სომხებიც. ძართველები, როგორც ყველგან საქართველოში, აქაც მიწის მუშაობას მისდევენ. თითქმის მათ ხელშია მთლიად აქაური ხვნა-თესვა და მევენახეობა. სომხების უმეტესი ნაწილი ვაჭრობას მისდევს. ხვნა-თესვა და მევენახეობა მათვეს მეორე ხარისხოვან საქმეს შეადგენს. ცხადია, რომ ვაჭრობის მიმდევარი ხალხის ხელში ფული ტრიალებს; ამ ფულს აქაური ვაჭრები მოხერხებულათ ასარგებლებენ და მისი შემწეობით მთელი ძახეთის სიმდიდრეს ხელში იგდებენ. მიწის მუშა გლეხ-კაცობა მუდამ საჭიროებს ფულს სხვადასხვა ვალდებულების თავიდან მოსაშორებლათ. მოსავალს ბუნება ერთხელ იძლევა წელიწადში, საჭიროება-კი ამ მოსავალს არ უცდის. აი, გლეხის ასეთი საჭიროებით სარგებლობს აქაური ჩარჩი-ვაჭარი და დიდალ სარგებელს ახდევიებს გლეხს ნასეხებ ფულში. ამ დიდი სარგებლის გადახდას უნდება გლეხის მთელი წლის ნაჭირნახულევი ღვინის მოსავალი, თვითონ გლეხი კი სრულიად ცარიელი რჩება. აქ ხშირია ისეთი გლეხის ოჯახი, რომელსაც შემოღვიმაზე ორასი ჩაფი (ფუთი) ღვინო მოუვა და რთველს შემდეგ ერთ თვეს იქით მის სახლში კაცი ღვინოს ვერ ნახავს. ბლეხები ფულის სარგებელს და ყოველგვარ სხვა საჭიროებას თავიდან წლის მოსავლით იშორებენ. სულ სხვა არის აქაური მემამულე. მემამულებიც აქაური ჩარჩებისაგან სესხულობენ ფულს, აძლევენ ფულში ვექსილებს, რომლებშიაც ნასესხები ფულის რაოდენობა ერთი-ორათ იწერება. სარგებელს თავის ღროზე ვერ იხდიან, რადგან მამულის შემოსავალი საჭმელათაც არ ყოფნისთ. სარგებელი თავნს ემატება, ვალი იზდება და ერთ მშვენიერ დღეს მებატონის მა-


მული საჯარო ვაჭრობაზე მევახშეს ხელში უვარდება. სწორეთ ამგვარათ გადავიდა ძახეთის საუკეთესო ზვრები და მამულები აქაური სომხების ხელში. აქაური ხალხის დავალიანებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ეს მხარე სრულიად მოწყვეტილია დიდ სავაჭრო აღგილებს და ძლიერ დაშორებულია რკინის გზას.

თბილისიდან შეა ძახეთამდი 100 — 120 ვერსი იქნება. ასეთ მანძილზე ჭირნახულის ზიდვა ურმით ძალიან ძვირათ ჯდება და ამიტომ წლის მოსავალს მუქთად იგდებენ ხელში აღგილობრივი და ობილისელი ჩარჩი-ვაჭრები. შეპველია, შესამჩნევათ გააუმჯობესებს ძახეთის ქონებრივ მდგომარეობას რკინის გზა, რომლის გაყვანასაც უკვე შეუდგენ. ცხოვრების ქონებრივათ გალონიერებას აუცილებლათ თან მოყვება სწავლა-განათლების საქმის რიგიან ნიაღაზე დაყენებაც. ახლა-კი კახეთი ამ მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია. სასწავლებლები კახელებს ძალიან ცოტა აქვთ; შვილების შორს წაყვანა და აღზდა კი არ ეხერხებათ სილარიბისა და უგზოობის გამო.

როგორც ზევითა ვსოდეთ, შიგნით-ძახეთი თელავისა და სილნალის მაზრებისაგან შესდგება. თელავის მაზრის ქალაქიდ ითვლება თელავი. მს ქალაქი გაშენებულია ცივგომბორის მთის კალთებზე; მდებარეობა მაღლობი აქვს და საუცხოვო წყაროებით არის მდიდარი. მთელი ქალაქი ბაღებში და კენახებშია გაშენებული. მკეოვრებთა რიცხვი 10,000 უდრის. ცხოვრობენ აქ ქართველები და სომხები. სომხები ქართველებზე მეტი არიან. ძალაქის შუაგულში გაშენებულია კარგა მოზღვილი სასეირნო ბაღი. იქვე ბაღის გვერდზე არის დიდებული თელავის ციხის გალავანი. ამ გალავანში ძველათ ყოფილი მეფის სასახლე. ამ ციხეს იმოდენა აღგილი უჭირავს, რომ მის გალავანში თავისულავ, ეტევა რამდენიმე დაწესებულება. ამ გალავანში აშენებულია სასულიერო სასწავლებელი, სახელმწიფო ხაზინა, ქალთა გიმნაზია, საკათედრო ტაძარი და სატუსალო. შველა ამ დაწესებულებას თავისი

საკუთარი ეზო აქვს და კიდევ არის დარჩენილი კარგა მოზ-დილი მოედანი. მალთა გიმნაზიაში არის ერთი პატარა ოთახი, რომელსაც კედელში დატანებული აქვს მარმარილოს ფიცა-რი ზედწარწერით: „აქ გარდაიცვალა 1796 წ. მეფე მრეკ-ლე. მეორე“. ამ ოთახს მრეკლეს ოთახს ეძახიან. აქ ყოფილა მრეკლეს საზაფხულო სასახლე. მს სასახლე დაუნერევიათ, დაუ-ტოვებიათ მხოლოდ პატარა ოთახი და ზედ საქალო გიმნაზია აუშენებიათ. თელავიდან ჩრდილოეთით, 18 ვერსის მანძილზე, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს პატარა სოფელი ალა-ვერდი, რომელიც შესანიშნავია თავისი მონასტრით. მს მონა-სტერი აშენებულია მე-VI საუკუნეში და საყურადღებოა თავის სიდიდით. ამ მხრივ მას მცხეთის მონასტერი თუ შეედრება. ალავერდის მონასტერი ჯვართა-ამალების სახელზეა აშენებუ-ლი და ამიტომ აქ 14 ეკენისთვეს დიდალი ხალხი იყრის თავს. საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან მოდიან აქ მლოცველები და მთელი კვირის განმავლობაში. აქ დროს უფრო ქიიფა და მოლხენაში ატარებენ, ვიღრე ლოცვაში. ზარდა მლოცველებისა აქ ყოველი კუთხიდან მოდიან სავა-ჭროთაც. მონასტრის გარშემო, დიდ მიღორზე, აშენებენ ფარ-დულებს და ვაჭრობენ ყოველგვარი საქონლით. მთელი კვი-რის განმავლობაში მთელი მიღორი დფარულია ხოლმე ურიცხვი ხალხით. აქ არიან: ქართველები, სომხები, ლეკები, თუშები, ფშავ-ხევსურები, თათრები და მრავალი სხვა. ალა-ვერდის მონასტერში სალოცავათ თათრები და ლეკებიც შე-დიან, ხატს სანთელს უნთებენ და შესაწირავს მიართმევენ ხოლმე. საერთოდ მლოცველებს დიდალი შესაწირავი მიაქვთ ამ მონასტრისათვის. დღესასწაულის დროს აქ შეიწირება რამ-დენიმე ასი ძროხა და ხარი, ცხვარსა და შინაურ ფრინვ-ლებს ხომ ანგარიში არა აქვს. მონასტრის კარგა მოზდილი დერეფანი შეწირული საქონლის თავფეხითა და ტყავებით ასვ-სება ხოლმე. მიღორზე ხალხი ერთმანეთში ირევა, ალაგ ცე-კვა-თამაშია გამართული, ალაგ სიმღერა; ეგერ დიდი წრე

გაუკეთებიათ და ჭილაობა გაუჩაღებიათ; აგერ ჯირითი გაუ-
მართავთ და ქართველები და ლეკები ერთმანეთს ეჯიბრებიან.



ალავერდის მონასტერი.

ხალხის უმეტესი ნაწილი აქ სიამოვნებასა და გართობას, ეტა-

ნება, მაგრამ ზოგჯერ ამ სიამოვნებას ჩხუბი და უსიამოვნებაც მოჰყება ხოლმე.

მს მონასტერი ალაზნის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული. აქ უწინ სოფელი ყოფილა, მაგრამ ახლა აღარავინ ცხოვრობს ამ სოფელში. ხერთოდ ალაზნის ნაპირი ჭაობიანი აღგილია და ამიტომ აქ მცხოვრებლები ფეხს ვერ იკიდებენ. ამ სოფელს გარდა ბევრი სხვა სოფლის მცხოვრებლებიც ამოუწყეტია ციებ-ცხელებას ალაზნის პირზე.

ალავერდიდან დასაკლეთისაკენ, გომბორის მთის კალთებში, გაშენებულია მეორე მონასტერი, რომელსაც შუამთის მონასტერს ეძახიან. მს მონასტერი შვერიერ აღგილას არის გაშენებული და ორივე ამ მონასტრის ბერებიც აქა ცხოვრობენ.

საყურადღებოა თელავის მაზრაში რამდენიმე სოფელი თავისი ვენახებითა და კარგი ღვინით. ასეთია სოფ. ჭინანდალი, პონდოლი, ქუდღელაური, მნისელი და შვარელი. მს უკანასკნელი სოფელი არის სამშობლო ჩვენი სახელოვანი პოეტის ილია ჭავჭავაძისა. აქ ვადმოიტანეს სოფ. საცხენისიდან ამ უკანასკნელ ხანებში საცხენისის სამეურნეო სასწავლებელი. ჭინანდალი, ნაფარეული და რამდენიმე სხვა სოფელი მით არის შესანიშნავი, რომ ამ სოფლებში არის დიდალი საუფლისწულო მამული. მს მამულები უყიდია რუსეთის მეფის გვარეულობას კახელი მებატონეებისაგან და შიგ საუკეთესო ვენახები გაუშენებიათ. საუფლისწულო ვენახებს, რასაკვირველია, კარგათ ამუშავებენ, კარგათ უვლიან და მშვენიერ ღვინოსაც აყენებენ ამ მამულში. სოფ. ჭინანდალში აშენებულია მშვენიერი სასახლე და საუკეთესო ღვინის სარდაფები. ღვინოს ამ სარდაფებში ინახავენ რამდენიმე ჭილის განმავლობაში და შემდეგ გზავნიან გასაყიდათ რუსეთს. საუფლისწულო მამულების ზერები საუცხოო სანახავია რთველის დროს. ზეარში ხშირათ 400 ქალი და კაცი კრეფს ყურძენს. ზოგიერთის ზერის კრეფა მთელ თვეს გძელდება ხოლმე. ნაფარეულის

ზვარი, მაგალითად, ოთხასი დღის ვენახს შეიცავს ერთ ლობეს შიგნით და აბა რა სანახავი უნდა იქოს ასეთი სივრცის ზერის ნახვა და ისიც ისე მშვენიერათ. დამუშავებულის! საჭულის-წულო მამულების დამუშავებას მთელი წლის განმავლობაში დიდძალი მუშა ხელი სჭირდება. ამ მხრივ ეს მამულები კარგ საქმეს უშვრება ადგილობრივ ლარიბ ხალხს. სამუშაოს აქ ადვილათ შოულობს მუშა კაცი და ქალი და ბავშიც. სიღნა-ლის მაზრას შიგნით მახეთის სამხრეთი ნაწილი უჭირავს.. ამ ნაწილს შიზიყს ეძახიან.

პ ი ზ ი ზ ი.

შიზიყი ბევრათ უფრო გაშლილი ადგილია, ვიდრე თელა-ვის მაზრა. ამ გაშლილ ადგილებზე მევენახეობას გარდა წარმა-ტებით აწარმოებენ ხენა-თესვასაც. შიზიყს სახნავ-სათესი მიწა და საბალახე ბლომათ აქვს და ამიტომ აქ გლეხ-კაცობა უფრო გამართულია წელში, ვიდრე თელავის მაზრაში. სამუშაო მიწა და საბალახე აქ არავის კერძო საკუთრებას არ შეადგენს. თითოეულ სოფელს თავისი საკუთარი მიდორ-ველი აქვს მიჩე-ნილი და მთელი სოფლის მცხოვრებნი საერთოდ ფლობენ ამ ადგილებს. თითოეული კომლი იმდენს მუშაობს, რამდე-ნის დამუშავებაც შეუძლია. აქაური ნიადაგი კარგ მოსავალს. იძლევა, თუ გვალვამ არ შეუშალა ხელი. ზვალვიან წელიწად-ში კი ხშირათ მუშა თავის-ნაწვავ ნადაგიდან თესლისაც ვერ მაიღებს. უხვი საბალახე უა საძოვარი შეძლებას აძლევს აქაურ მცხოვრებს ბლომათ შეინახოს შინაური საქონელი. აქ ხშირია ისეთი მოსახლე გლეხი, რომელსაც ათასობით ჰყავს ცხვარი. ცხვრის ფარებს ზამთრობით ბარში ინახვენ, ხოლო ზაფხულში თრიალეთისა და დალესტნის მთაზე ერეკებიან. ცხვარს გარდა ბლომათ აშენებენ აქ ლორს, ძროხას და სხვა შინაურ საქონელს. აქაური თბილი ჰავა ხელს უწყობს ბამბის მცენარის მო-

შენებასაც. ამ უკანასკნელ დროს ამ მცენარესაც კარგა ბლომათ სთესვენ შიზიყში. საერთოდ შიზიყის მცხოვრებნი ბევრათ უფრო მდიდარი არიან, ვიღრე თელავის მაზრის მცხოვრებნი. მდიდარ ბუნებას გარდა ამ მავლენის მიზეზათ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ შიზიყში არაოდეს ბატონყმობა არ ყოფილა. აქაური გლეხები სახელმწიფო გლეხებათ ითვლებიან და ამიტომ სახაზინო მიწებით თავისუფლათ სარგებლობენ. ბუნებრივ სიმდიდრეს ხელი შეუწყო მცხოვრებთა თავისუფლობა შრომაშ და კიდევაც დაეტყო ყოველივე ეს აქაური გლეხის კეთილდღეობას.

სწორეთ ქონებრივი შეძლების ბრალია, რომ აქაური გლეხები თამამი და ამაყი არიან. ისინი ცოტაოდენ შეურაცხუფასაც არავის აპარიებენ და თავს არ დააჩავრიებენ. საერთოდ შიზიყელები თავისუფლების მეტად მოყვარულნი არიან და ადვილათაც შეატყობს კაცი, რომ ბატონყმობის მძიმე უდელი მათ არაოდეს კისერზე არა დგმიათ.

მიუხედავათ იმისა, რომ შეძლება ხელს უწყობს ჭიზიყელებს, სწავლა-განათლების საქმეში ისინი ჟლიერ. ჩამორჩენილი არიან. ამის მიზეზი ის არის, რომ ეს მხარე ძლიერ დაშორებულია, როგორც განათლებულ დიდ ქალაქებს, ისე რკინის გზასაც. სწავლა-განათლებაში ჩამორჩენა ხელს უწყობს ათასგვარ კრუმორწმუნოებრივ ჩვეულებათა შენარჩუნება: ადგავრცელებას.

შიზიყის სამაზრო ქალაქათ ითვლება სილნალი. მს ქალაქიც ცივგომბორის მთის კალთებზეა გაშენებული; მდებარეობა მაღლობი იქვს და ამიტომ აქიდან მთელი ალაზნის გაღმა მხარე ხელის გულივით მოჩანს. მრეკლე მე-II მეფობამდი ს. ლნალი სოფელი ყოფილა. მრეკლე მეII-ს ეს სოფელი ქალაქათ გადაუკეთებია და შიგ კარგა მოზღილი ციხეც აუშენებია. სილნალში 12,000 მცხოვრები იქნება. მცხოვრებთა უმეტესობას აქ სომხები შეაღენენ.

საყუჩადღებო ადგილებათ შიზიყში ითვლება: სოფ. ხირ-

სა და ბოდბის-ხევი. ხირსაში არის ძველი მონასტერი, ბოდბეში — წმინდა ნინოს საფლავი და მისივე სახელის მონასტერი. ზე-მოხსენებულ სოფლებს გარდა სიღნაღის მაზრაში მოზღვილი სოფ-ლებია: ვაქირი, ანაგა, ბურჯაანი, მუკუჩანი, ველის ციხე და სხვ.

ს ა თ ნ გ ი ლ ო.

პახეთს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან აკრავს საქართ-ველოს ერთი კუთხე, რომელსაც სახელათ საინგილოს ეძა-



ი ნ გ ი ლ ო ე ბ ი.

ხიან. ეს მხარე ერთ დროს სპარსელებმა დაიპყრეს და მცხოვ-

რეგნი სულ ერთიანათ გაამაჰმადიანეს. ამ უკანასკნელ დროში სსკართველოსთან ერთად ეს ქვეყანაც რუსეთის ხელში გადავიდა და ამას შემდეგ მკეოვრებთა დიდი ნაწილი ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდა. ინგილოელის სამშობლო ენათ ქართული ენა ითვლება, თუმც მან თათრული ენაც ძალიან კარგათ იცის. მს ქვეყანა ბუნებისგან უხვათ არის დაჯილდოებული ყოველ გვარი სიმღიღრით. ზომიერი პაკა და ნაყოფიერი ნიადაგი ხელს უწყობს აქ მეურნეობის ყოველი დარგის წარმოებას. მოსავალი ყველაფრის უხვი იცის. სთესენ აქ ქერს, პურს, სიმიღს და ხშირათ ბრინჯასც. ბლომათ არის აქ გაშენებული ვენახებიც, თუმც აქ ისეთი ხარისხის ღვინო არ მოდის, როგორც შიგნით-ძახეთში. სახელგანთქმულია ეს მხარე ხილის უხვი მოსავლითაც.

მეაბრეშუმეობასაც ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული მთელ საინგილოში. აქაური მცხოვრები ბევრათ უფრო შეძლებული არიან, ვიღრე შიგნით კახელები. საინგილოს შუა ადგილათ ითვლება პატარა ქალაქი ზაქათალა. მთელ ამ კუთხეს ზაქათალის ოლქს ეძახიან.

თ უ შ ე თ ი.

შიგნით ძახეთს ჩრდილოეთით აკრავს თუშეთი. მს ქვეყანა სულ ერთიანათ ძავკასიონის ქედის მაღალ კალთებზე გაშენებული და, რიცგანაც აქ ძლიერ ცივა, ხვნა-თესვა თითქმის შეუძლებელია. თუშები მხრივ შინაური ცხოველების მოვლა-ძოშენებას მისდევენ. შინაურ ცხოველებში ცხვარს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ. აქ ხშირია ისეთი მოსახლე, რომელსაც 10,000 სული ცხვარი ჰყავს. აქაური ცხვრის მატყლი, ერბო და ყველი ყოველთვის მეტ ფასათ იყიდება ბაზარზე, ვიდრე სხვა ადგილებისა.

სალაპარაკოთ თუშებიც ორგვარ ენას ხმარობდნ. თით-ქმის ყველა მამაკაცმა იცის ქართული ენა, ხოლო მათ საკუ-თარ ენათ ითვლება თუშური ენა, რომელიც ქართული ენის ძლიერ მახლობელ ტოტათ ითვლება. თუშს, როგორც საერ-



თ უ შ ე ბ ი.

თოდ ყოველ მთის მცხოვრებს, საშინლათ უყვარს თავისი სამ-შობლო ქვეყანა. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ თუშს უმაღ-ლესი განათლება მიუღია და ისევ მეცხვარეობას დაბრუნე-ბია. ვერც სიმდიდრე და ვერც განათლება თუშს თავის სა-ყვარელ მთებზე ხელს ვერ ააღებიებს. განათლების მხრივ თუ-შები ბევრათ უფრო ჩამორჩენილი არიან, ვიდრე საქართვე-ლოს სხვა კუთხეების მცხოვრებნი. თუშეთში შეკვლა თითო-ოროლაა.

გარეთ კახეთი.

გარეთ, ძახეთში შედის თიანეთის მაზრა და თბილისის მაზრის ნაწილი. მისი ნაწილებია: ივრის ხეობა, თიანეთი და ფშავ-ხევსურეთი. ივრის ხეობის შესანიშნავ აღგილათ ითვლება სოფ. მარტყოფი თავის მონასტრით, სოფ. საგარეჯო, ხაშმი, სართიჭილა და სხვა.



ფშაველები.

მარტყოფის მონასტერის ძევს თბილისიდან ოცდახუთი ვერსის მანძილზე. ამ მონასტერს ხალხი ანტონის მონასტერს ეძახის, რადგანაც იგი დაარსებულა მეექვსე საუკუნეში წმ. ანტონის მიერ.

გარეთ-ძახეთს ჩრდილოეთით აკრავს თიანეთი. მს ქვეყანა მთავორიანია. აქაური მცხოვრებნი მისდევენ ხვნა-თესვას. სთესენ აქ პურს, სიმიდს და ქერს. ხაყურადღებო ადგილია აქ დაბა თიანეთი.



ხ ე გ ს უ რ ე ბ ო.

თიანეთიდან ჩრდილოეთით ძევს ფშავ-ხევსურეთი. მს ქვეყანა ძალიან შთიანი და უივი ადგილია. ამიტომ აქ ხვნა-თესვას სრულიად არ მისდევენ. მხოლოდ ქერს თუ დასთესენ ალაგ-ალაგ, თორემ პური და სიმიდი სრულიად არ მოდის.

რასაკვირველია, აქ არც ვენახი და არც ხეხილი ხარობს. შინაურ საქონელში უფრო ხარსა და ძროხას აშენებენ. მეცხვარეობას თითქმის სრულიად არ მისდევენ. ვშავ-ხევსუ-რებიც სამშობლოს შესანიშნავი მოყვარულნი არიან. მგოსანი რაფიელ ერისთავის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ მშვენივ-რათ გვიხასიათებს საერთოდ მთიელის შეხედულობას სამშობ-ლოს სიყვარულზე.

ზარეთ-ძახეთში ქართველებს გარდა ცხოვრობენ აგრეთ-ვე რუსები; გერმანელები და თათრები. პამატში უფრო სა-ყურადღებოა რუსები და გერმანელები. როგორც რუსებს, ისე გერმანელებს აქვთ თავისი საკუთარი სოფლები. ისინი არ არიან არეული სხვა აქაურ მცხოვრებლებში რუსებიც და გერმანელებიც გადმოუსახლებიათ საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის პირ-ველ ნახევარში. მათთვის ბლომათ მიუკიათ დასასახლებლათ სა-უკეთესო ადგილები და კარგათაც არიან დასახლებული. მთელ ქახეთში მნახველის ყურადღებას იქცევს გერმანელების ახალშე-ნი მარიენფერდი და მკატერინფერდი. მს ახალშენები გაშენე-ბულია მდინარე იორის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ სართიჭალას გვერდით. ზერმანელების სოფელი მნახველს პატარა ლამაზ ჭალაქს მოაგონებს. ჩუჩები აქ ფართოა და მოკირწყლული; ამ ქუჩების პირებზე ჩაყოლებულია ერთნაირი პლანით აგე-ბული სახლები. ჩუჩებს აქით-იქით მიყვება სუფთა რუები; რუებს ჩაყოლებული აქვს ალვის ხეები. ისეთ ლარიბ გერმა-ნელს იქ ვერ ნახავს კაცი, რომ სამ ოთახიანი სახლი მაინც არ ედგას. აქვს სასაღილო ოთახი, სასტუმრო და დასაძინებელი. მთელ ახალშენს აქვს აგებული მშვენიერი საზოგადო სახლი, საღაც მოთავსებულია ახალშენის სამმართველო. აქ, ამ სა-მართველოში, ირჩევა ყოველგვარი საზოგადო საქმე.

ზერმანელების მეურნეობა საუკხოოთ არის დაყენებული. მიწის მუშაობასა და ყოველგვარ საქმეს ისინი შანქანის შემ-წეობით ასრულებენ. უველასა აქვს სხვადასხვა გვარი გუთა-ნი, ფარცხი, სათესი და სხვა შანქანები. დიდ მანქანებს მოე-

ლი ახალშენი საერთოდ იძენს. პურის სალეჭი, სამკელი და სანიავებელი მანქანები თითო უბანს თავისთვის აქვს შეძენილი. ახალშენში აგებულია ძვირფასი ეკლესია და შეკლა. ახალშენის მოძღვარი და მასწავლებელი უწარჩინებულესი პირები არიან. მათ უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული და თავის ჟეკიალობას გარდა აქიმობასაც ასრულებენ, რაღვან ეს ცოდნაც მიღებული აქვთ. ახალშენის გერმანელები ქართულათაც ძალიან კარგათ ლაპარაკობენ.

იქვე ახალშენის გვერდით გაშენებულია ქართველების სოფელი სართიჭალა. რომ შეადაროთ ეს სოფელი ახალშენს, იტყვით, რომ ახალშენი მდიდარი ქალაქია, სართიჭალა კი ჩვეულებრივი სოფელიო. სართიჭალას მიწურ სახლებსა და გერმანელების სახლებს შორის ისეთი განსხრავებაა, როგორც ძალასახლება და უბრალო ქოხს შორის. ასეთი საუცხოო ახალშენის გვერდით ქართველები ყოველგვარ სამუშაოს ძევლი, მამაპაპური წესით აწარმოებენ. ზაუმჯობესებული რკინის გუთნის და სხვა სამუშაო იარაღის ხმარება ნაკლებათ აქვთ შემოღებული აქაურ ქართველებს. გერმანელების ვენახები და ბოსტნები მშვენიერათ არის დამუშავებული, ქართველების კინახევრათ გავერანებულია.

ქართველებზე ბევრათ უკეთ აქვთ მოწყობილი ცხოვრება ქახეთში დასახლებულ რუსებსაც, თუმც გერმანელებს ვერც ესენი შეედრებიან. გარეთ-ქახეთში რუსების სოფლებია: ნიკოლაევკა, მუხრანვანი, ზომბორი და მალხაზოვკა. მს სოფლებიც სუფთად და შნოიანათ არის გაშენებული. სახლები რუსებსაც კარგი აქვთ და მეურნეობასაც გაუმჯობესებული იარაღებით აწარმოებენ. ამათში მხოლოდ მევენახეობას ვერ მოუკიდია ფეხი. ვაზს სრულიად არ აშენებენ. სამაგიეროთ ხენათესვა და მებოსტნეობა საუცხოოთ აქვთ დაყენებული. მათ ძლიერ ბევრი მოჰყავთ კომბოსტო, კარტოფილი და ხახვი. შოველსავე ამას ისინი დიდალს ჰყიდიან თბილისში.. მათ

აქვთ გაწყობილი მშვენიერი ცხენის ურმები (ფურგუნები) და ადვილათ ეზიდებიან საქონელს თბილისის ბაზარზე.

რუსები შინაურ საქონელსაც ბლომათ აშენებენ და ამიტომ დიდალ თივას სთიბვენ ხოლმე.

სოფ. მუხრანვანის მახლობლათ აღმოაჩინეს ერთგვარი მარილი, რომელსაც ჭურჭლის ქარხნებში თიხაში გასარევათ ხმარობენ. ამ მარილის გასაწმენდათ და დასამზადებლათ იქ დიდი ქარხანაა აგებული. მარილი აქ ნიადაგშია შერეული. მარილის ამოსაღებათ ფართო ორმოებსა სთხრიან; ორმოებში დგება წვიმის წყალი. წყალი ნიადაგში მარილს აღნობს და დამდნარი მარილი ორმოების ძირზე ილეკება. წყალი რომ დაშრება, მარილს იღებენ, ქარხანაში ასუფთავებენ და დამზადებულს სხვა ქვეყნებში გზავნიან. ამ მაღანს „გლაფტერის ზარილს“ ეძახიან.

ახალციხის მხარე და ჯავახეთი.

აღმოსავლეთი საქართველოს ნაწილს შეადგენს ახალციხის მხარე და ჯავახეთი. მს მხარეები დიდი ხნის განმავლობაში იყო ისმალეთის ხელში და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში შემოიერთა რუსეთმა. ახალციხის მხარე ძლიერ მაღლობი აღვილია. ზამთარი აქ ხანგრძლივი და ცივი იცის. ჩართლის და ქახეთის მრავალი მცენარე აქ სრულიად არ ხეირობს. ვაზი თითქმის სრულიად არ მოიპოვება. ცხოვრობს აქ ქართველი ტომის ხალხი. სარწმუნოებით მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ისევ მაჰმადიანები არიან. ჩართული ენა თითქმის ყველა ახალციხელმა კარგათ იცის. მთელი ახალციხის მხრის მამულები აქაური მემამულების, ბეგების, საკუთრებას შეადგენს. ზლეხიკაცი მემამულის მიწებს ლალით მუშაობს. ბატონ-ყონბა აქ არაოდეს არ ყოფილი. აქაური მცხოვრებლები მისდევენ ხვნა-თევსვას, მებაღეობასა და შინაური საქონ-

ლის მოშენებას. ახალციხის მხარე განტქმულია თავის ბოს-
ტნეულითა და ხილით, მეტადრე ვაშლითა და სხლით. ჭირ-
ნახულში სთესვენ უფრო სიმიღს, ქერს და პურს. ახალციხის
სამაზრო, ქალაქათ ითვლება ახალციხე, რომელსაც ძვე-
ლათ ლომისი რქმევია. მალაქი მდინარე ფოცხოვით შეუ-
ზე იყოფა. სამხრეთის მხარეს ახალი ქალაქია გაშენებული,
ჩრდილოეთის მხარეს კი ძველი ქალაქი, რომელსაც რაბათს
ეძახიან. მალაქის ახალი ნაწილი სომხებს უჭირავთ, ძველი
ნაწილი—ქართველებს. მართველების ერთი ნაწილი მართლ-
მადიდებელნი არიან, დანარჩენები—კათოლიკური სარწმუ-
ნოებისა. ახალციხეში ცხოვრობენ ებრაელებიც. სულ ამ
ქალაქში 15,000 მცხოვრები იქნება. ახალციხის მხარეში
შესანიშნავი ადგილებია: უწარჩინებულები აგარაკი აბასთუ-
მანი, სადაც არის შესანიშნავი სამკურნალო გოგირდის წყა-
ლი, სოფ. რუსთავი, სადაც დაიბადა საქართველოს დიდე-
ბული პოეტი შოთა რუსთაველი, აწყური—თავისი ციხით, ასპინ-
ძა, სადაც მრეკლე მეფემ საშინლათ დაამარცხა ოსმალოს ჯა-
რი და სხვა. ახალციხის მხარეს აღმოსავლეთით აკრავს ჭავა-
ხეთი. მს მხარე ახლა ახალქალაქის მაზრას შეადგენს. ჭავა-
ხეთს ახალციხის მხარეზე ბევრათ უფრო მაღალი ადგილი
უჭირავს. ამ მაღლობ ადგილზე ტყეები სრულიად არ არის.
ჰავაც აქ ბევრათ უფრო ცივია, ვიდრე ახალციხის მხარეში.
ნიადაგი აქ ძლიერ ნაყოფიერია და ამიტომ აქაური მცხოვრებ-
ლების უმთავრეს საქმეს ხენა-თესვა შეადგენს. სთესვენ აქ პურ-
სა და ქერს. პური აქ იმდენი მოდის, რომ დიდ ძალა ყი-
დიან სხვა ქვეყნებში გასაგზავნათ. თუმც ხელოვნური რწყვა
აქ ხმარებაში არ არის, მაგრამ მოსავალი მაინც არასოდეს არ
მოცდება, რადგან ზავი ზღვიდან მუდამ მოაქცეს ქარს წვიმის
ღრუბლები და ამიტომ სინოტიე მუდამ საკმარისია ჭირნახუ-
ლის მოსაყვანათ. ხენა-თესვას გარდა აქ საპატიო ადგილი
უჭირავს შინაური საქონლის მოვლა-მოშენებასაც. განსაკუთ-
არებით გავრცელებულია აქ ცხვრის მოშენება. ჭავახელები

ძლიერ შეწუხებული არიან უტყეობით. შეშის მაგიერათ მთელ ჯავახეთში ხმარობენ წივას ¹⁾. ჯავახური სოფლები საქართველოს სხვა კუთხეების სოფლებს არა ჰგავს. აქ ბალები და ვენახები სრულიად არ არის. არავითარი ხილი არ მოდის. სახლებს ქვითა და ტალახით აშენებენ. საქართველოს არცერთ კუთხეში არ არის იმდენი ტბა, რამდენიც ჯავახეთში. აქაურ ტბებში უფრო შესანიშნავია თავისი სიღიღით ვარავნისა და ბარალეთის ტბა.

ჯავახეთის სამაზრო ქალაქია ახალქალაქი. მს ქალაქი შალლობ ადგილზე გაშენებული ორ დიდ ხევს შეუა. ახალქალაქის მცხოვრებლები სულ სომხები არიან. ამ ქალაქში 1,500 კომლამდი მცხოვრებია. ძართველი აქ მხოლოდ რამდენიმე მოსახლეა. შესანიშნავი სოფლებია: ზომარეთი, ხიზაბავრა, ბარალეთი და სხვა. ამ სოფლებში თითქმის მარტო ქართველები ცხოვრობენ.

მონასტრები ახალციხის მხარეში.

ძველით, როდესაც ახალციხის მხარე საქართველოს ნაწილს შეადგენდა, აქ ბევრი მონასტერი იყო აგებული. ამ მონასტრების უმეტესი წილის ამ უამათ მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. მონასტრები ვარძია, საფარა და ზარზმა გადარჩენია მუსულმანთა მიერ აოხრებას და დღესაც იქცევს ყურადღებას თავის სიღიადით და სიმშვენიერით. ვარძიის მონასტერი აგებულია ხერთვისის ხეობაში, ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. შტკურის მახლობლათ. მს მონასტერი მით იქცევს მნახველის ყურადღებას, რომ მისი შენობები ჩვეულებრივათ კი არ არის ნაშენები; არამედ გამოქვაბულია კლდეებში. მონასტერი დაარსებულია თამარ მეფის დროს. აქვე ჰქონია აგებული თამარ მეფეს ორი სასახლე: საზამთრო და

¹⁾ წივა საქონლის გამხმარი ფუნქა.

საზაფხულო. თრივ სასახლე კლდეშია გამოქვაბული.

ვარძიის მონასტერი ბევრჯერ გამხდარა ხაქართველოს მტრების სისახტიკის სხვერპლათ. ბევრჯერ გაუძარცვავთ და აუოხრებიათ ეს მონასტერი მტრებს და ბოლოს სრულიად გაუნადგურებიათ ოსმალებს, როდესაც მთელი ეს მხარე მათ ჩაუვარდათ ხელში. მეთექვსმეტე საუკუნეს შემდეგ, როდესაც ოსმალებმა ეს მონასტერი უკანასკნელათ ააოხრეს, აქ ბერები აღარც ცხოვრობდენ და მონასტერი აღარ განახლებული.

ამ მონასტრის დღესასწაული მოდის 15 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს. ამ დღესასწაულზე დიღალი ხალხი მოდის აქ სალოცავათ და ღამის სათევათ. მოდიან არა მარტო ქრისტიანები, არამედ გამაჭმადიანებული ქართველებიც.

მეორე — საფარის-მონასტერი — ახალციხიდან ექვსი-შვიდი ვერსის მანძილზე მდებარეობს. მს მონასტერი რომ ძველ ღროში დიღებული ყოფილა, ამას ის ამტკიცებს, რომ აქ დღემდი არის დაცული თერთმეტი ეკლესია. მათ შორის ყველაზე საყურადღებოა თავის სიმშვენიერით წმ. საბას ეკლესია. ეს ეკლესია თავის ფორმით ძალიან ჰგავს ბელათის ტაძარს. თსმალების შემოსევის შემდეგ ეს ეკლესია სრულიად გაუქმდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ისევ განახლეს რუსმა ბერებმა და ამ უამათ ეს უკანასკნელები პატრიონობენ ამ მონასტერს.

მესამე — ზარზმის მონასტერი — მდებარეობს ახალციხიდან დასავლეთით ოცდაათი ვერსის მანძილზე. სიღიღით ეს მონასტერი სხვა აქაურ მონასტრებს ვერ შეედრება, მაგრამ სიმშვენიერით კი არც ერთ მათგანს არ ჩამოუვარდება მისი ეკლესიები. მს მონასტერი ოსმალებმა გააუქმეს და იქ მონასტრის ცხოვრება და ღვთის-მსახურება დღემდი არ განახლებულა.

აღმოსავლეთი საქართველო.

საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს ერთი მხრით ლიხის მთასა და მეორე მხრით დაღესტნის მთებს შეუ, ეძახიან აღმოსავლეთ საქართველოს. მს არის მთელი საქართველოს უდიდესი ნაწილი. მას შეადგენს მართლი და მახეთი. მს უკანასკნელი შესდგება შიგნით და გარეთ-ძახეთისაგან. შიგნითა ძახეოს ნაწილებათ ითვლება: თუშეთი, საინგილო და შიზიყი, ზარეთ ძახეთის—თიანეთი და ფშავ-ხევსურეთი. მთელი აღმოსავლეთი საქართველო მოთავსებულია. ხუთი უმთავრესი მდინარის ხეობაში. ამ ხეობებში უდიდესია მტკვრის ხეობა, რომელიც იწყება ბორჯომის ხეობიდან და უწევს ბანჯის გუბერნიის საზოვრამდი. ამ დიდ ხეობაშია მოთავსებული მთელი მართლი. მართლს სჭრის სამი ხეობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მს ხეობებია ლიახვისა, ქსნისა და არაგვისა. მთელი მართლის საუკეთესო ნაწილია ლიახვის ხეობა. მს ხეობა ყველაფრით მდიდარია: პურით, სიმიდით, ღვინით და ხილით. არაგვის ხეობაში მდებარეობს ლუშეთის მაზრა. ამ ხეობას მიყვება ეგრეთ წოდებული „საქართველოს სამხედრო გზა“.

აღმოსავლეთი საქართველოს მეორე ნაწილი, ძახეთი, მდებარეობს იორისა და ალაზნის ხეობაში. მს ორი მდინარე რწყავს მთელ ძახეთს. მრივე მდინარის ხეობა ბუნებით ძალიან მდიდარია: პური, სიმიდი და ღვინო ორივე ხეობაში ძალიან კარგი და ბევრი მოღის. ღვინის მოსავლით უფრო სახელგანთქმულია ალაზნის ხეობა. აქაური ღვინო ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ უკხო ქვეყნებშიაც.

მთელ აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებთა დიდ უმეტესობას ქართველები შეადგენენ. მართლელები და ძახელები ერთმანეთისაგან დიდათ არ განირჩევიან. ბარეგანი შეხედულებით ქართლელი ბევრათ უფრო დაბექავებულია, ვიდრე კახელი. მართლელის დაბექავებას ხელს უწყობს მართლის

ბუნების სიმკაცრე. მთელი ქართლის გაშლილ ველზე ზამთრის განმავლობაში საშინელი ყინვა მძვინვარებს, ზაფხული კი ამ ველზე ძლიერ ცხელი იცის. მთელი ქართლის მიღამოებს ზაფხულის პირველ თვეშივე გადახრუკავს საშინელი სიცხე. ურწყავ ადგილებში ყოველგვარი ჭირნახულის მოყვანა საძნელოა.

ქრთლში ნიადაგიც ძლიერ მაგარია და ამიტომ მიწის მუშაობა მეტად სამძიმოა. ჟოველსავე ამას დავუმატოთ ისიც, რომ ქართლში მესაკუთრე გლეხეცაცობა თითქმის სულ არ არის. ქართლის გლეხები დღემდი დროებით ვალდებული იყვნენ, ესე იგი, მებაზონის მამულზე ცხოვრობდენ და ამ მამულის პატრონს დიდ ლალა-ბეგარას აძლევდენ. ჟოველივე ამან აქაური გლეხი დააბეჩავა, დაასაწყილა და მუდამ სხვის ხელში შემყურეთ გახადა. ამ მხრივ ქახეთი სულ სხვა პირობებშია. აქ ბუნება ბევრათ უფრო ნაზია, ზამთარ-ზაფხული: ზომიერი. არც ნიადაგია აქ ისე მძიმე სამუშაო, როგორც ქართლში. ზლეხეცაცობის უმრავლესობაც აქ თავიდანვე მესაკუთრეა და ამიტომ წელშიაც გამართული. ქახელი გლეხი უფრო გაბედულია, ამაყი და თავმომწონე. ის ადვილათ არ მოიხრის ქედს სხვის წინაშე. საერთოდ აღმოსავლეთი საქართველოს გლეხეცაცობის დამხავრელი აქაური მევახშეები არიან. ახლანდელ დროში უფულოთ ცხოვრება მოუხერხებელია; ფულის შოვნა კი ქართლელი გლეხისთვის ძლიერ საძნელოა. სამუშაოო ის შორს ვერ მიდის, ადგილობრივ ფულის ასალებ სამუშაოს კი ვერ შოულობს. საჭიროების დროს ფულს სესხულობს მევახშისაგან და ამგვარათ უვარდება მას-ხელში. მთელ საქართველოში არსად არ არის გლეხეცაცობა ისე დავალიანებული, როგორც ქართლში. ქართველებს გარდა აღმოსავლეთ საქართველოში ბლომათ ცხოვრობენ სომხები. სოფლათ მცხოვრები სომხები მიწის მუშაობას მისდევენ, უფრო კი ვაკრობას ეტანებიან, სადაც ეს მოსახერხებელია. ჩარჩები და მევახშეები მთელ ქართლ-ქახეთში უმეტეს ნაწილათ სომხები არიან.

აღმოსავლეთი საქართველო შეადგენს ობილისის გუბერნიას, რომელიც ცხრა მაზრისაგან შესდგება.

სამხრეთი საქართველო ანუ მესხეთი.

სამხრეთ საქართველოს ეძახიან იმ ქვეყანას, რომელიც ახალკიხის და ჭავახეთის მხარეს აკრავს დასავლეთის მხრიდან, უწინდელ ღროში ახალკიხის მხარე და ჭავახეთი ამ ქვეყანას ეკუთვნოდა. საქართველოს ამ ნაწილის საზღვრებია: აღმოსავლეთით — სომხეთი, დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით — თრიალეთისა და აჭარა-ახალკიხის მთები, სამხრეთით — ტრაპიზონი. მს ქვეყანა ამ უამათ შეადგენს ახალკიხისა და ახალქალაქის მაზრებს და ბათუმისა და ართვინის ოლქებს. ახალკიხის მხრისა და ჭავახეთის გამორიცხვით სამხრეთი საქართველოს ნაწილებია: აჭარა, შობულეთი, შავშეთი, ლივანა და ჭანეთი.

აჭარა მდებარეობს მესხეთის ჩრდილოეთ ნაწილში. მს ქვეყანა მთაგორიანია, დასერილია მრავალი ხეობით და კარგათ ირწყვის მთის პატარა მდინარეებით. ხეობები ალაგ-ალაგ საქმაოთ ფართოა, ნოკიერი ნიადაგი აქვს და ამიტომ აქ უმთავრესათ მიწის მუშაობას მისდევენ. შინაური საქონლის მოშენებასაც საპატიო ადგილი უჭირავს აჭარლების ცხოვრებაში. ჭირნახულში პირველი ადგილი სიმიდს უჭირავს, რადგან აქაური ჰავა ამ მცენარის მოშენებას ხელს უფრო უწყობს და გარდა ამისა ადგილის სივიწროეც აფერხებს პურის თესვას. პური იმდენ მოსავალს ვერ იძლევა, რამდენსაც სიმიდი და ამიტომ უჭირატესობა ამ უკანასკნელ ჭირნახულს ეძლევა. მეაბრეშუმეობასაც საქმაოთ მისდევენ აჭარაში. აქ თითქმის ყოველგვარი ხილი მოდის. დაბლობ და მყუდრო ადგილებში ლიმონი, ფორთოხალი და ზეთისხილიც კი ხარობს. მევენახეობასაც აწარმოებენ აჭარლები, მაგრამ ღვინოს ნაკლებათ აყენებენ, რადგან აქაურ მცენარებლებს მაჰმადის სარწმუნოება

ლვინის სმის ნებას არ აძლევს. მთელი აჭარა მოკლებულია რიგიან გზებს, რის გამოც აჭარლები სიმღიდრეს ვერ იძენენ.

აჭარა დასახლებულია წმინდა ქართველებით. მხოლოდ მეღუძნეები და ვაჭრები სხვა ტომის ხალხი არიან. აჭარლები ენითა და ზე-ჩვეულებით ნამდვილი ქართველები არიან. ამ ხალხს მხოლოდ სარწმუნოება გამოუცვლია სმალების გავლენას ქვეშ, თორემ სხვა ყველაფერი მამა-პაპური შეურჩენია. მართულათ ყველა კარკათ ლაპარაკობს. თათრული მხოლოდ მოხუცმა მამაკაცებმა იციან. აჭარლები ძალიან ჰგავან გურულებს: მათსავით მარდი, მხნე და გამბედავი არიან. ნადირობა და იარაღის ხმარება მათი საყვარელი საქმეა.

აჭარაში შესანიშნავი სოფლებია: თხილოვანი, ხულა, ქედა და სხვა.

შ ა ვ შ ე თ ი.

აჭარას სამხრეთიდან აკრავს შავშეთი. აჭარასა და შავშეთს შუა კარგა მაღალი ძარჩხალის მთა არის ამართული.

შავშეთი უფრო მთაგორიანი ადგილია; ვაკე აქვს მხოლოდ შუაში. მს ვაკე ადგილი ძლიერ ნოყიერ ნიადაგს შეიცავს და ამიტომ აქ მიწის მუშაობას საპატიო ადგილი. უჭირავს. ჭირნახულში უფრო სიმიღს სთესვენ. მს ჭირნახული იმდენი მოყავთ, რომ საზღვარგარეთაც ბლომათ გააქვთ გასაყიდათ.

შავშელებიც წმინდა ქართველები არიან. თითქმის მარტო ქართულ ენაზე ლაპარაკობენ და ზე-ჩვეულებაც ქართველებისა იქვთ შერჩენილი. სარწმუნოებით ესენიც მაპმადიანები არიან. შავშეთის შესანიშნავი სოფლებია: ტბეთი, არტანუჯი და სხვა.

ე რ უ შ ე თ ი.

შავშეთს აღმოსავლეთით აკრავს მრუშეთი. შავშეთსა და მრუშეთს შუა ამართულია პრინცის ვთა. მს ქვეყანა შავშეთს ძლიერა ჰგავს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მრუშეთში ბლომათ ცხოვრობენ სომხები და ოსმალები. ჩართული ენა აქ ისე კარგათ არ იციან, როგორც შავშეთში. აქაური ქართველების ზე-ჩვეულებაც თანდათან ადგილს უთმობს ოსმალურს. მრუშეთის შესანიშნავი ადგილია პატარა ქალაქი არტაანი. ამ ქალაქში თითქმის სულ სომხები და ოსმალები ცხოვრობენ, ქართველები ძალიან ცოტაა.

ა ღ ბ უ ლ ე თ ი.

ჩობულეთი უწინ ბურიის ნაწილათ ითვლებოდა და სრულიად არ გაირჩევა ბურიისაგან. ჰავა, ბუნება და მრებარეობა აქ ისეთივეა, როგორც ბურიაში. ხალხიც გარეგნობით და ზე-ჩვეულებით იგივე გურულები არიან. ლაპარაკის კილო და ხასიათი წმინდა გურული აქვთ, ენა—წმინდა ქართული, მხოლოდ სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან. ბურულებსა და ქობულეთლებს ერთმანეთში მეზობლური და მოყვრული დამოკიდებულება აქვთ. ხშირათ ერთმანეთის ქალებსაც კი ირთავენ ცოლათ. ქობულეთს უმეტეს ნაწილათ მთავორიანი ადგილი უკირავს. სახნავ-სათესი ადგილი აქ ძალიან ცოტაა და ამიტომ ქობულეთლებს საკმარისი სიმიღი და ლომი ვერ მოჰვავთ. საერთოდ ქობულეთლები ლარიბები არიან და ამიტომ უფრო ხშირათ საზღოს საშოვრათ სხვაგან მიღიან. ქობულეთის ჰავა ხელს უწყობს ცხელი ქვეყნების მცენარეების მოშენებას. აქ კარგათ ხეირობს და კარგი ხარისხის მოსავალსაც იძლევა ჩაისა და ბამბის მცენარე. აქაური ფორთოხალიც საუკეთესო ხილათ ითვლება. ამ მცენარეთა ნაყოფს ქობულეთიდან სხვა ქვეყნებშიც ბლომათ ეზიდებიან.

მობულეთში, შავი ზღვის პირას, არის ქალაქი ბათუმი. მს ქალაქი ერთ საუკეთესო ნავთსადგურათ ითვლება წოდელ. შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე. ბათუმი შეერთებულია ოკინის გზით ქალ. თბილისსა და ბაქოსთან.

მობულეთის შესანიშნავი სოფლებია: მობულეთი, სამება და ციხისძირი. ამ უკანასკნელ სოფელში ისეთი მიუვალი ციხეა აგებული, რომ მას ქართველებმა შაჯეთის ციხე დაარქვეს.

ლ ი ვ ა ნ ა.

მობულეთს სამხრეთით აკრავს ლივანა. მს ქვეყანა და-ფენილია ჭანეთისა და ქარჩხალის მთების კალთებით. მაშასა-დამე, მდებარეობა აქ მთა-გორიანია, ჰავა თბილი და საკმაო ნოტიო. შოველივე ეს ხელს უწყობს მცენარეულობის სიმდი-დრეს. ჭირნახულში უფრო გავრცელებულია სიმიდი, თუმც პურსაც ბლობათ სთესვენ. ჭირნახული იმდენი მოყავთ აქ, რომ საზღვაოგარეთაც ბევრი გააქვთ გასაყიდათ. აქაური ბა-ლები სავსეა უოველგვარი ხილით. ბევრი მოდის ლიმონი, ფორთოხალი და ზეთის-ხილი. საქონლის მოვლა-მოშენებასაც საპატიო ადგილი უჭირავს ამ ქვეყანაში. საერთოდ ლივანე-ლები ბევრათ უფრო შეძლებულნი არიან, ვიდრე მესხეთის სხვა მცხოვრებნი. მათ სიმდიდრეს, გარდა ბუნების სიმდიდრი-სა, ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ზღვის პირათ ცხოვ-რობენ. ამის გამო მენავეობასა და მეთევზეობასაც ეწევიან. ამ საქმეებში ისინი ძალიან დახელოვნებული არიან. ლივანა-ში შესანიშნავი ქალაქია ართვინი, სადაც 2000-მდი მცხოვ-რებია. მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს გამაჰმადიანებული ქართ-ველები შეადგენენ. არიან აგრეთვე აქ ქართველი კათოლი-კეები და სომხები.

ართვინის არემარეში არის სპილენძის მაღანი.

ჭ ა ნ ე თ ი.

ჭანეთიც მესხეთის ნაწილათ ითვლება. მს ქვეყანა მდებარეობს შავი ზღვის პირზე, ბათუმსა და ტრაპიზონს შეუ.

შწინდელ დროში ჭანეთი საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ შეძლებ რსმალეთმა ჩაიგდო ხელში და მისი უმეტესი ნაწილი დღესაც რსმალეთის კუთვნილებას შეადგენს. ჭანეთის მხოლოდ მცირედი ნაწილი ეკუთვნის ამ უამათ რუსეთს. ჭანები მეგრელების ახლო ნათესავები არიან. ძალიანა ჰგავან მეგრელებს გარეგნობით, ზენ-ჩვეულებით და ყოფა-ცხოვრებითაც. ჭანური ეჩა მხოლოდ ცოტათი განსხვავდება მეგრული ენისაგან. ძართული ენაც ბევრმა ჭანმა ძალიან კირგათ იცის. ამ ქვეყანას უცხოელები ლაზისტანს ეძახიან და ჭანებს ლაზებს. საერთოდ მთელი ჭანეთი მთა-გორიანი ადგილია. ჰავა, ნიადაგი და საერთოდ ბუნება ძლიერ უწყობს. ხელს აქ მცენარეულობის სიმდიდრეს. აქაური ნიადაგი ჭირნახულის კარგ მოსავალს იძლევა, მაგრამ მიწის მუშაობას აქ ძალიან ნაკლებათ მისდევენ. ხილიც ყოველნაირი მოდის ჭანეთში, მაგრამ მეურნეობის ეს დარგიც რიგიანათ ვერ არის დაყენებული. შოველისავე ამის მიზეზი ის არის, რომ აქ ადგილის დიდი სივიწროუეა. მთელი ეს ქვეყანა მთებითა და გორაკებით არის დაფარული. ადგილის სივიწროვის გამო არც შინაური ცხოველების მოვლა-მოშენებას მისდევენ. ცხენს, ძროხას და ხარს კაცი აქ იშვიათად ნახავს. ცხვრის ყოლა კი ოციან, მაგრამ ძალიან ნაკლებათ. უფრო გავრცელებულია აქ თხის მოშენება. ჭანეთში მეურნეობა თუმცა რიგიანათ ვერ არის დაყენებული, მაგრამ სიმდიდრით ისინი არავის არ ჩამოუვარდებიან. ზღვის სიახლოვის გამო მათ ხელი მოუკიდიათ მეზღვაურობისათვის და საუკეთესო მენავეებათ ითვლებიან. ზღვაზე თავისუფლათ მოგზაურობამ ისინი ვაჭრობასაც შეაჩინა. ჭანები თავის ქვეყნის ნაწარმოებს: ლიმონს, ფორთხხალის, ზეთისხილს და ხე-ტყეს უცხო ქვეყ-

ნებში ჰყიდიან, უცხოეთის საქონელს კი გასაყიდათ ზიდვენ
ფოთსა, ბათუმსა და სხვა ზღვის-პირის ქალაქებში.

ოუ მამაკაცები მთელ თავის დროს ვაჭრობასა და უცხო
ქვეყნებში სიარულს ანდომებენ, დედაკაცები შინაურ საქმეებს
აწარმოებენ. ხვნა-თესვა, მკა და საერთოდ მიწის მუშაობა
სულ დედაკაცებსა აქვთ ნაკისრები. შოველივე ამის გამო ჭა-
ნები საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებლებზე ბევრათ უფ-
რო მდიდარნი არიან და ყველა ქართველებზე უკეთესათაც
ცხოვრობენ.

კ ა ვ კ ა ს ი ა.

მოელი მავკასია მავკასიონის ქედით ორ დიდ ნაწილათ
იყოფა. მავკასიონის ქედი გაჭიმულია შავ ზღვისა და მასპის
ზღვას შუა. კავკასიაც ამ ორ ზღვას შუა მდებარეობს. მავკა-
სიონის ქედიდან სამხრეთით მდებარე აღგილებს ამიერ ძივკა-
სიას ეძახიან, ჩრდილოეთით მდებარე აღგილებს კი— იმიერ
მავკასიას, ანუ ჩრდილოეთ მავკასიას. საქართველო ამიერ მავ-
კასიაში იმყოფება. მთელ საქართველოს ორი გუბერნია და
ერთი ოლქი შეადგენს: შუთაისისა და თბილისის გუბერ-
ნია და ბათუმის ოლქი. შუთაისის გუბერნია შესდგება შვიდი
მაზრისა და ერთი საბოქაულოსაგან: შუთაისის, შორაპნის,
ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, რაჭისა და ლეჩეუმის მაზ-
რები და სვანეთის საბოქაულო. შუთაისის გუბერნიასვე ეკუთ-
ნის სოხუმის ოლქიც. თბილისის გუბერნიას შეადგენს ქართ-
ლი, ქახეთი და სამხრეთი საქართველოს ერთი ნაწილი. ამ
გუბერნიაში სულ ცხრა მაზრა ითვლება: თბილისის, თიანე-
თის, თელავის, სიღნაღის, ლუშეთის, ბორის, ახალციხის,
ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრა. თბილისის გუბერნიასვე
ეკუთვნის ზაქათალას ოლქი, რომელშიაც შედის საინგილო.
ამიერ მავკასიის სხვა გუბერნიიებია: მრევნის, მლისავეტოპო-

ლის, ანუ ბანჯისა და ბაქოსი. ამათ გარდა ამიერ ქავკასიაში არის ორი ღიდი ოლქი: დაღესტანისა და შარსისა.

მთელ ამიერ ქავკასიაში ითვლება 5,000,000-მდი მცხოვრები.

რ უ ს ა თ ი.

როგორც საქართველო, ისე მთელი ამიერ ქავკასია რუსეთის იმპერიის ერთ პატარა ნაწილს შეადგენს. რუსეთი მთელ დედამიწის ზურგზე თითქმის ყველა სახელმწიფოზე უდიდესი სახელმწიფოა. ამ სახელმწიფოს უჭირავს მთელი შერობის მატერიკის თითქმის ორი წილი და აზიის თითქმის ნახევარი. რუსეთის იმპერია თავის სივრცით მთელი ხმელეთის თითქმის მეექვსედ ნაწილს შეადგენს. ამ უზარმაზარ სახელმწიროში მხოლოდ 160 მილიონი მცხოვრებელი ითვლება. ამ მხრივ რუსეთი ზოგ სხვა სახელმწიფოზე ბევრათ ჩამორჩენილია: ჩინეთში, მაგალითად ითვლება 400 მილიონი და ინგლისში 390 მილიონამდი შცხოვრები.

რუსეთის სატახტო ქალაქია პეტერბურგი. მეორე ძველ სატახტო ქალაქათ ითვლება მოსკოვი:

მთელ რუსეთში უმაღლესი სწავლის მისაღებათ არის და-არსებული 10 უნივერსიტეტი და მრავალი სხვა სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი. უნივერსიტეტი არის დაარსებული: პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა, ხარკოვისა, შაზანისა, იურიევისა, მდესასა, სარატოვისა, ვარშავისა და ტოშისკში.

91

6 712